

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

მარიამ ნანაძე

სკოლამდელი ასაკის ქართულენოვანი ბავშვების ენისა და
მეტყველების ათვისების ნეიროფსიქოლოგიური
თავისებურებები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კლინიკური
ნეიროფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

პროფესორი თამარ გაგოშიძე

კონსულტანტი: ასოც.პროფესორი შორენა მამუკაძე

თბილისი 2018

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Master's Degree in Clinical Neuropsychology

Mariam Nanadze

Neuropsychological analysis of peculiarities of the speech and
language acquisition of Georgian children in preschool age

Master's thesis is held to obtain a master's degree in clinical neuropsychology

Academic Advisor:

Professor Tamar Gagoshidze

Consultant: Assoc. Professor Shorena Mamukadze

Tbilisi 2018

ანოტაცია

ენისა და მეტყველების ათვისება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ჩვილობის ასაკიდანვე იწყება. მასზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად, ენისა და მეტყველების დაუფლებას განსაზღვრავს იმ კონკრეტული ენის სპეციფიკა, რომელზეც ბავშვი საუბრობს, ენის გრამატიკული და ლექსიკური მრავალფეროვნება. შესაბამისად, ექსპრესიული და რეცეპტული ენისა და მეტყველების ათვისების პროცესის მიმდინარეობა, ენის კომპონენტების დასწავლის თანმიმდევრობა და ნაირგვარობა, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ბავშვებისთვის, განისაზღვრება სწორედ ამ ენის სპეციფიკური მახასიათებლებით და არა საყოველთაო კანონზომიერებით.

ამასთან ერთად, სკოლამდელი ასაკის ბავშვების ყოველდღიურობაში კომპიუტერული ტექნიკის ჩართულობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, მკვლევარების ყურადღება, დღეისათვის, მიმართულია მშობლიური ენისა და მეტყველების ათვისების პროცესზე მოქმედი კიდევ ერთი ფაქტორის კვლევისკენ. ამდენად, დღეისათვის აქტუალური საკითხია სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტექნიკასა და მზრუნველებთან გატარებული დროის თანაფარდობის გავლენა მშობლიური ენისა და მეტყველების ათვისების თავისებურებაზე.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართულენოვან პოპულაციაში, დღის განმავლობაში ტექნიკასთან გატარებული 1 საათზე მეტი დრო, 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების არსებითი სახელებისა და ზმნების პირის, რიცხვის, დროის გაგებისა და წარმოების უნარის უარყოფითი პრედიქტორია. კვლევის შედეგად შეიძლება ამგვარი დასკვნის გაკეთება: უცხოენოვანი ვიდეო-გადაცემები უარყოფითად ზემოქმედებს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ექსპრესიულ და რეცეპტულ მორფო-სინტაქსის განვითარებაზე.

Analyzing the peculiarities of the speech and language acquisition of Georgian children in preschool age

Nanadze M.

Abstract

The acquisition of speech and language is a complex and long process, which starts from infancy. There are many factors influencing on it. There is a viewpoint, according which the language and speech are defined by specifics of grammar and lexical diversity of the particular language, on which the child speaks. Consequently, the process of acquisition of expressive and receptive language and speech, the sequence of acquisition language components, are defined by the specific characteristics of this language and not by the general regularity.

In addition, due to the high quality engagement of computer hardware in school children's everyday life, the researchers' attention is now focused on exploring another factor in the process of native language and speech usage. Thus, the current issue is the impact of the time spent with the computer gadgets and with caretakers on the peculiarity of the development of native language and speech.

As a result of the study, it was revealed that in Georgian population more than 1 hour spent with computer gadgets during the day, is a negative predictor of the skill to understand and use the verbs and plural forms of verbs and nouns of children from 3 to 6 years of age. As a result of research, such a conclusion can be made: foreign-language video programs negatively affect the development of receptive and expressive morpho-syntax of preschool age children.

სარჩევი

შესავალი	7
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	9
§ 1. 1 ენის განმარტება	9
§ 1. 1. 2 ენა და მეტყველება	10
§ 1. 1. 3 ენის კომპონენტები	12
§ 1. 2. ენის ათვისების თეორიები	15
§ 1. 2. 1 ნატივისტური თეორია	15
§ 1. 2. 2 ბიჰევიორისტური თეორია	19
§ 1. 2. 3 მოდულარული თეორია	22
§ 1. 2. 4 სოციოლინგვისტური თეორია	23
§ 1. 2. 5 კონსტრუქტივიზმი	24
§ 1. 2. 5 სოციოკულტურული თეორია	25
§ 1. 2. 7 ფსიქოლინგვისტური პოზიცია	26
§ 1. 3 ენის კომპონენტების განვითარება	29
§ 1. 4 მიზანი და კვლევის ამოცანები	54
§ 1. 4. 1 ქართულენოვან პოპულაციაში ჩატარებული კვლევები	54
§ 1. 4. 2 ტექნიკასა და მზრუნველთან გატარებული დროის გავლენა მეტყველებაზე. თანამედროვე კვლევები	57
თავი II. მეთოდი, მასალა, პროცედურა და მონაწილეები	63
თავი III. კვლევის შედეგები	65
თავი IV. შედეგების ინტერპრეტაცია	83

გამოყენებული ლიტერატურა	94
დანართი 1	1
დანართი 2	24
დანართი 3	27
დანართი 4	40

შესავალი

ენისა და მეტყველების ათვისების პროცესის თეორიულ ახსნასა და ემპირიული კვლევის მეთოდების შემუშავებას მრავალი წლის ისტორია აქვს. ენის ათვისების შესახებ პირველი დაკვირვებაზე დაფუძნებული მოსაზრება ეკუთვნის ბერძენ ფილოსოფოს პლატონს, რომელიც საუბრობდა სიტყვების მნიშვნელობის თანდაყოლილი ცოდნის შესახებ და მეორე, ჩვენამდე მოღწეულ კვლევას წარმოადგენს სანსკრიტული გრამატიკის ათვისების თავისებურებებზე თეორიული მსჯელობა.

შედარებით უფრო თანამედროვე ემპირიული მონაცემები დაკავშირებულია ჯონ ლოკის სახელთან, რომელიც ენისა და მეტყველების ათვისების პროცესში გარემოსგან მიღებულ სენსორულ სტიმულებს ანიჭებდა კრიტიკულ მნიშვნელობას.

ენის, მეტყველების ათვისებასა თუ განვითარებაზე გენეტიკისა და გარემო ფაქტორების შეფარდებითი გავლენა მეცნიერებისთვის დღემდე საკამათო თემაა. არის თუ არა ბავშვი გენეტიკურად მიდრეკილი ლაპარაკისადმი, თუ მას ასწავლიან ლაპარაკს? ენა სრულიად თანდაყოლილია თუ მხოლოდ მისი გარკვეული კომპონენტები? თუ ასეა-რა არის თანდაყოლილი და რა დასწავლილი? რა წვლილი აქვს ენისა და მეტყველების ათვისებაში თანდაყოლილ შინაარსებს და რა გავლენა აქვს მის განვითარებაზე გარემო ფაქტორებს? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა განვიხილოთ ენისა და მეტყველების ათვისების ამხსენელი თეორიული მოდელები.

ენისა და მეტყველების ათვისების პროცესში ბუნებისა თუ აღზრდის წამყვანი მნიშვნელობის გათვალისწინების მიხედვით თეორიები შეიძლება დავყოთ ორ მიმდინარეობად: ნატივიზმი და ემპირიზმი.

ნატივისტებისა და ემპირისტების უმრავლესობა თანხმდება, რომ ბავშვის გრამატიკული ცოდნა მოიცავს აბსტრაქტულ სინტაქსურ კატეგორიებს, მაგრამ ძირითადი განსხვავება სწორედ ამ კატეგორიების წარმომავლობაა, როგორ და როდის დაისწავლა ბავშვმა ისინი.

ნატივიზმი ამტკიცებს რომ სულ მცირე რამდენიმე სინტაქსური კატეგორია მაინც არის თანდაყოლილი, ხოლო ემპირიზმის მტკიცებით არც ერთი სინტაქსური კატეგორია არ არის თანდაყოლილი, ბავშვი იბადება როგორც სუფთა დაფა. ამგვარი აზრთა სხვადასხვაობა არ ნიშნავს იმას, რომ ნატივისტი დასწავლის ფუნქციას არ აღიარებს. ნატივიზმის თანახმად, კონკრეტული სიტყვების კატეგორიები დაისწავლება, მაგრამ თავად აბსტრაქტული კატეგორიები უკვე წარმოდგენილია დაბადებისას.

1950იანი წლების დასაწყისში ნოემ ჩომსკიმ დაიწყო ენის უნივერსალურობის კვლევა. ის ცდილობდა აღმოეჩინა უნივერსალური სინტაქსური წესები და პრინციპები, რომლებსაც იყენებს ყველა ენაზე მოსაუბრე ადამიანი.

ემპირიზმის წარმომადგენელთაგან ერთ-ერთი პირველი თეორიტიკოსი, რომელიც დაინტერესდა მეტყველების ათვისების პროცესით იყო ბ.ფ. სკინერი. 1957 წელს სკინერმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ვერბალური ქცევა“, რომელშიც ის ამტკიცებდა რომ ენის ათვისება ჰგავს ნებისმიერი სხვა ქცევის დასწავლას. სკინერის მოსაზრების თანახმად, ბავშვის სამეტყველო მოდელები არიან მშობლები, რომელთა მიზმივითაც ბავშვი სწავლობს მეტყველებას.

სხვადასხვა ენოვანი ბავშვების ენისა და მეტყველების ათვისების პროცესის მიმდინარეობისა და კრიტიკული მნიშვნელობის ფაქტორების კვლევა დღემდე აქტიურად მიმდინარეობს.

სხვადასხვა ენის გრამატიკა მრავალმხრივ განსხვავდება ერთმანეთისგან. ყველას ენას გრამატიკულად გამართული წინადადების ასაგებად განსხვავებული წესები აქვს. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ენის ათვისების უნარი თანდაყოლილია და არსებობს ყველა ენისთვის საერთო ბაზისური წესები. ყოველ კონკრეტულ ენას აქვს თავისი სპეციფიკური ნაწილი, რომელიც დასწავლილია (Hulit, Howard, Fahey, 2012).

საინტერესოა იმ მექანიზმის კვლევა, რომელიც საფუძვლად უდევს ბავშვის ამეტყველებას. ბავშვი სიცოცხლის პირველ 3-4 წელიწადში ახერხებს მშობლიური ენის მთლიანად ათვისებას და უკავშირებს მას გრამატიკულ კანონზომიერებებს. ამის

საფუძველზე მას შეუძლია გაიგოს და ააგოს მშობლიური ენის წინადადებების უსასრულო რაოდენობა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე საზოგადოებაში კომპიუტერული ტექნოლოგიის როლი საგრძნობლად გაიზარდა. კომპიუტერმა სამუშაო ოფისიდან გადაინაცვლა სკოლებსა და სახლებში. ამდენად ბავშვებს სულ უფრო და უფრო მეტი დროის გატარება უწევთ კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან. ამ ფაქტმა განაპირობა ყურადღების გამახვილება ისეთ თემაზე, როგორცაა ტექნიკასთან გატარებული დროის გავლენა ბავშვის ენისა და მეტყველების ათვისების პროცესზე. საინტერესოა ამ პროცესის განხილვა არა მხოლოდ რეცეპტული და ექსპრესიული ენის, არამედ ენის კომპონენტების ათვისების თავისებურებების თვალსაზრისითაც.

ქართულ ენოვანი ბავშვების მონაწილეობით მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა, მაგრამ არსებობს მცირე მონაცემები რა თანმიმდევრობითა და რა სპეციფიკით მიმდინარეობს ქართული ენის ათვისების საწყის ეტაპზე მყოფი ბავშვების ენისა და მეტყველების ათვისების პროცესი.

მოცემული კვლევა ემსახურება საქართველოს პოპულაციისთვის დამახასიათებელი ენისა და მეტყველების ათვისების პროცესის ანალიზსა და მასზე ტექნიკის ჩართულობის ხარისხის გავლენის დადგენას.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა და საკითხის დაყენება

§ 1.1. ენის განმარტება

ენა არის პირობით ნიშანთა სისტემა რომელიც გამოიყენება ადამიანთა საზოგადოებაში აზრის გამოხატვისა და კომუნიკაციის, ინფორმაციისა და აზრთა - გაცვლა-გამოცვლის საშუალებად. ენა არის სისტემა, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული სტრუქტურებისგან შედგება. აღნიშნული სტრუქტურების, ერთეულების ერთმანეთთან მიმართება შეიძლება იყოს სინტაგმატური ან პარადიგმატული. სინტაგმატურ მიმართებას ერთეული ამყარებს წინამავალ ან მომდევნო ერთეულებთან, პარადიგმატული მიმართება, კი გულისხმობს მსგავსი ელემენტების ერთ სისტემაში არსებობას. სწორედ პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებები ქმნიან ენის მთლიანობითი სისტემის საფუძველს. ენა არის ნიშანთა სისტემა. ენის ყოველი მნიშვნელობის მქონე ელემენტი, რომლის ფუნქციაა ექსტრალინგვისტური სამყაროს სიტუაციებისა და ობიექტების (საგნები, მოვლენები, თვისებები და ა.შ.) აღნიშვნა წარმოადგენს ნიშანს (ჩიქობავა ა., 2008).

ენა და ენის გამოყენება ორი განსხვავებული რამ არის. ენა გონებაში არსებობს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა გამოხატვის საშუალება. ენა უნდა გავიაზროთ როგორც აბსტრაქტულ ნიშანთა ნაკრები, რომელიც ორგანიზებული და დალაგებულია ყველა ენისთვის საერთო ძირითადი წესების მიხედვით (Hulit, Howard, Fahey, 2012).

§ 1.1.2. ენა და მეტყველება

ენა და მეტყველება ცალკეული, თუმცა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია, რომლებიც ერთიანდებიან უფრო დიდ პროცესში-კომუნიკაციაში.

ენა უზრუნველყოფს მეტყველების უნარის ფუნქციონირებას. თავის მხრივ მეტყველება არის ენის რეალიზაცია.

მეტყველებისგან განსხვავებით, ენა სასრული სისტემაა. მისი არსებობს აუცილებელია, რათა მეტყველება გასაგები და კომუნიკაციისთვის გამოსადეგი იყოს. ამავე დროს მეტყველება ენის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. ცნებას ვერ დავაკავშირებთ აკუსტიკურ ხატთან (მაგ: სიტყვასთან) თუ ეს კავშირი წინასწარ არ გამოვლინდა სამეტყველო აქტში; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცნებასა და აკუსტიკურ ხატს შორის კავშირი უნდა იყოს ენაში ასახული. ამდენად, ენა მეტყველების საფუძველიც არის და მისი პროდუქტიც.

ბუნებრივ ენას აქვს სპეციფიკური მახასიათებლები, რომლითაც იგი არსებითან განსხვავდება ცხოველთა საკომუნიკაციო სისტემისგან. ესენია-ენობრივი სისტემის დუალობა და პროდუქტიულობა.

დუალობის წყალობით მოლაპარაკეს შეუძლია მცირე ერთეულების დალაგებით, მათი გარკვეული შეერთების გზით წარმოქმნას უფრო რთული და გრძელი ერთეულები. მაგალითად: მნიშვნელობას მოკლებული ბგერითი ერთეულებისგან შექმნას უფრო რთული, მნიშვნელობის მატარებელი ერთეულები-სიტყვები; სიტყვების გაერთიანებით ააგოს წინადადება. მაშასადამე ერთი მხრივ გვაქვს ბგერითი გამოხატულების მქონე ერთეულები, ხოლო მეორე მხრივ - ამ ერთეულთა გაერთიანების, კომბინირების წესები. ე.წ. გრამატიკა. დუალობის თვისება საშუალებას იძლევა ადამიანის ენის სასრული რაოდენობის ერთეულებების სხვადასხვაგვარი დალაგების გზით, შეიქმნას უსასრულო რაოდენობის გამონათქვამები. ენის დუალობისა და პროდუქტიულობის თვისებების წყალობით ადამიანს შეუძლია წარსულის, დროსა და სივრცეში დაშორებული მოვლენების შესახებ უსასრულოდ დიდი რაოდენობის შეტყობინების შექმნა და გადაცემა. (ციტირებულია : Hulit, Howard, Fahey, 2012).

ენა ეს არის მეტყველებაში გამოყენებული ელემენტების სელექცია და კომბინაცია, რომელიც მოიცავს ისტორიულ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტს. ენა მოიცავს 5 პარამეტრს: ფონოლოგიას, მორფოლოგიას, სინტაქსს, სემანტიკასა და პრაგმატიკას. თითოეული მათგანის დასწავლა განპირობებულია ბიოლოგიური, კოგნიტური, ფსიქოსოციალური და გარემოს ფაქტორებით. ხოლო კომუნიკაცია

გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას როგორც ენისა და მეტყველების, ასევე არავერბალური მიმანიშნებლების გამოყენებით. (Owens, R.E. Jr, 2012).

§ 1.1.3. ენის კომპონენტები

ენა შეიძლება გაანალიზდეს შემდეგი კატეგორიების მიხედვით: ენის ფორმა, ენის შინაარსი და ენის გამოყენება. თავის მხრივ ენის ფორმა მოიცავს : ენის ისეთ კომპონენტებს როგორცაა ფონოლოგია, მორფოლოგია და სინტაქსი, ენის შინაარსი გულისხმობს სემანტიკას, ხოლო ენის გამოყენება გულისხმობს ენის პრაგმატულ მხარეს. (Owens, R.E. Jr, 2012).

ფონეტიკა

ფონეტიკა არის ენათმეცნიერების ის დარგი, რომელიც შეისწავლის ადამიანის ბუნებრივი ენის ნიშანთა ფიზიკურ სუბსტანციას, სამეტყველო ბგერებს. მისი ამოცანაა სამეტყველო ბგერების მაქსიმალური სიზუსტით აღწერა. სამეტყველო აპარატით წარმოქმნილი ბგერების შესწავლა. ბგერების წარმოქმნის პროცესში საარტიკულაციო აპარატის ნაწილების ჩართულობის მიხედვით, ბგერები შეიძლება იყოს: ბაგისმიერი, ენისმიერი, სასისმიერი, ხორხისმიერი, კბილისმიერი, ორალური, ნაზალური, ნუნისმიერი. ბგერების გამოთქმის მიხედვით შეიძლება იყოს მჟღერი და ყრუ. მაგ: ქართულ ენაში მჟღერი ბგერებია- ბ დ გ ზ ჟ ლ, ყრუ ბგერებია- ფ თ ქ ს შ ხ. გამოთქმის დიაობის მიხედვით შეიძლება იყო ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები. ფონეტიკის შესწავლის საგანია საარტიკულაციო აპარატის მიერ წარმოქმნილი ერთეულების, ბგერების ისეთი ფიზიკური მახასიათებლების შესწავლა როგორცაა სიხშირე, ხანგრძლივობა და ამპლიტუდა.

ყველა ენა განსხვავდება ფონეტიკის თავისებურებების მიხედვით, არსებობს ბგერები რომლებიც მხოლოდ ერთეულ ენებში გვხვდება. აქედან გამომდინარე თითოეული ენის ათვისებაც განსხვავდება ფონეტიკური თვალსაზრისით. (გამყრელიძე თ., 2012).

ფონოლოგია

ფონოლოგია შეისწავლის ენაში სამეტყველო ბგერათა ფუნქციონირებას. ფონოლოგიის წესების მიხედვით ყალიბდება უმცირესი, მნიშვნელობის განმასხვავებელი მარცვლები და ბგერები. (Owens, R.E. Jr, 2012). ფონოლოგიის მთავარი დაშვება გულისხმობს იმას, რომ ბგერების გარკვეული თანმიმდევრობები ქმნიან ენობრივ ერთეულებს, რომლებსაც ერთსა და იმავე ბგერებად აღვიქვამთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი და იგივე ბგერა ფონოლოგიურად შეიძლება იყოს იდენტური, თუმცა ფონეტიკურად (ფიზიკური და აკუსტიკური მახასიათებლების მიხედვით) ურთიერთგანსხვავებული.

ქართულ ენაში არსებობს 33 ფონემა და ისინი ანბანის ასო-ბგერების იდენტურია. ამისგან განსხვავებით ინგლისურ ენაში არსებობს 43 ფონემა, რომელთაგან ნაწილი წარმოდგენილია არა მხოლოდ ანბანის ასო-ბგერებით, არამედ რამდენიმე ბგერის კომბინაციით.

მეტყველების მნიშვნელოვანი საფუძველია ფონოლოგიური ანალიზი, რაც გულისხმობს მინიმალური ბგერითი წყვილების ურთიერთგანსხვავებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფონოლოგიური ანალიზი არის პროცესი რომლის საშუალებით ვიგებთ მსგავსი ჟღერადობისა და განსხვავებული შინაარსის მქონე სიტყვებს შორის უმცირეს განსხვავებას. მაგ: განსხვავება სიტყვებს შორის ბარი-კარი, ფერი-ბერი. (გამყრელიძე თ., 2012).

მორფოლოგია

მორფოლოგია განსაზღვრავს სიტყვის ფორმირების პროცესს. მნიშვნელობის უმცირეს ერთეულს მორფემა ეწოდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ თავისუფალი (სიტყვა რომელიც ვერ დაიშლება, მაგ: შენ, ხვალ) ან ბმული ფორმა (სიტყვის ფუძე, სუფიქსები, პრეფიქსები, ბრუნვის, პირისა და რიცხვის ნიშნები) რომელიც არ დაიშლება ფონემური შემადგენლობის თვალსაზრისით უფრო მცირე ფორმებად არრის მორფემა. სიტყვები შედგება მორფემებისგან, მაგ: ქართულ ენაში მო-ვალ, გა-ვალ. მო, გა, ვალ ცალკეული მორფემებია. მორფემები შეიძლება იყოს თავისუფალი და კიდურა ტიპის. თავისუფალი ტიპის მორფემები მოიცავს მხოლოდ ერთ სიტყვას, რომლებიც განცალკევებულად არსებობენ და აქვთ შინაარსი. მაგ: სიტყვა კატა, ფანჯარა. (Hulit, Howard, Fahey, 2012).

მორფემული ანალიზის პროცესი ჰგავს ფონემური ანალიზის პროცესს. ეს პროცესი გულისხმობს გამონათქვამის მორფემებად სეგმენტაციას და ერთნაირი მნიშვნელობის მორფემების კლასებად გაერთიანებას. გამონათქვამი შეიძლება დაიშალოს მნიშვნელობის მქონე უმცირეს ფორმებად, მორფემებად. მაგ: მე გან-ზრახ-ულ-ი მ-აქვ-ს ხვალ წარ-მო-დგ-ენ-ა-ს- არ და-ვ-ე-სწრ-ო გამონათქვამში 21 მორფი გამოიყოფა. მორფოლოგია შედგება მორფემათა სხვადასხვა კლასისგან (ფუძე, ბრუნვის ნიშანი, პირისა და რიცხვის ნიშანი, სუფიქსები და პრეფიქსები), რომლებიც ქმნიან სიტყვათა განსაზღვრულ კლასებს-მეტყველების ნაწილებს. , რაც გრამატიკის შესწავლის საგანია.

სინტაქსი

წინადადების ფორმა და სტრუქტურა აიგება სინტაქსის წესების მიხედვით. სწორედ სინტაქსის წესები განსაზღვრავს სიტყვებისა და ფრაზების თანმიმდევრობას, პირის, რიცხვისა და ბრუნვის მიხედვით ერთმანეთთან შეთანხმებას (Owens. R. E. Jr, 2012).

სინტაქსური ანალიზის დონეზე გვაქვს სხვადასხვა სიგრძის გამონათქვამი, რომლებიც შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ 1 სიტყვათფორმისგან (მაგ: შემახილი: წამოდი) ან ჰქონდეს მრავალსიტყვიანი კომბინაციის სახე-წინადადება. წინადადების სხვადასხვა ფუნქციის მქონე ელემენტებად დანაწევრებით გამოიყოფა მისი სტრუქტურულ-სემანტიკური კომპონენტები, წინადადების წევრები. ეს ერთეულები განსაზღვრავენ წინადადების სინტაქსურ სტრუქტურას. წინადადების წევრების როლს ასრულებენ ისეთი სიტყვათფორმები, რომლებიც ლექსიკურ მნიშვნელობას გამოხატავენ (ე.წ. სრულმნიშვნელობიანი სიტყვები) და შეუძლიათ დაამყარონ გარკვეული მიმართება წინადადების სხვა კომპონენტებთან. წინადადების მთავარ წევრებად მიიჩნევა ქვემდებარე, შემასმენელი და დამატება. მთავარ წევრებს შეიძლება დაუკავშირდეს სხვადასხვა სახის მსაზღვრებელი-მეორეხარისხოვანი წევრები: ქვემდებარესა და დამატებას უკავშირდება განსაზღვრებები, ხოლო შემასმენელს-გარემოებები. მაგალითად: პატარა ბიჭი კარგად თამაშობს ბურთს. წინადადებაში ბიჭი-ქვემდებარეა, თამაშობს-შემასმენელი, ბურთს-პირდაპირი დამატება, პატარა-განსაზღვრება, კარგად-გარემოება.

ქართული ენის სინტაქსური სპეციფიკურობა შეიძლება განვიხილოთ ქვემდებარე-შემასმენლის თვალსაზრისით. ქართულში არსებობს სიტყვა-წინადადებები, სადაც შემასმენელი თავის თავში მოიაზრებს ქვემდებარეს, მაგ: ვწერ-მე ვწერ, ერთიდაიმავე მნიშვნელობას ატარებს.

სემანტიკა და ლექსიკა

სემანტიკა არის წესების სისტემა, რომელსაც ექვემდებარება სიტყვებისა და სიტყვათა კომბინაციის მნიშვნელობა და შემადგენლობა. ენის ზოგიერთ ელემენტს აქვს უნიკალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობა, ხოლო სხვა ერთეულებს გადამფარავი ან მსგავსი მნიშვნელობები აქვთ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ სინონიმები, ომონიმები და ანტონიმები. (Owens. R. E. Jr, 2012).

სიტყვა არის მნიშვნელობის მქონე უმარტივესი ერთეული, სიტყვათა სრული ერთობლიობა კი, ქმნის ლექსიკურ შემადგენლობას-ლექსიკას. ლექსიკური მარაგის მრავალფეროვნება განსხვავებულია სხვადასხვა ენაში. შესაძლოა ამა თუ იმ ენაში განსაკუთრებით მრავალფეროვანი იყოს ერთი გარკვეული კატეგორიის ლექსიკა. მაგ: არაბულ ენაში აქლემის აღმნიშნელი სიტყვები, პოლარული მოსახლეობის ენაში თოვლის აღმნიშნელი სიტყვები და ა.შ. ქართულ ენაში მსგავსი მკაფიო სპეციფიკა არ გვაქვს. (გამყრელიძე თ., 2012).

პრაგმატიკა

ენის პრაგმატული მხარე გულისხმობს მეტყველების, როგორც კომუნიკაციის ინსტრუმენტის გამოყენებას. პრაგმატიკა მოიცავს: 1. კომუნიკაციის განზრახვას, 2. დიალოგის პრინციპებსა და წესებს; 3. დისკუსიის ტიპებს: თხრობა, ხუმრობა და მათ აგებას. პრაგმატული მეტყველებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციოკულტურული მახასიათებლების ცოდნა და გათვალისწინება. შეიძლება ითქვას, რომ პრაგმატიკა ენისა და მეტყველების ორგანიზაციული კომპონენტია. (Owens. R. E. Jr, 2012).

§ 1.2 ენის ათვისების თეორიები

§ 1.2.1. ნატივისტური მიდგომა:

მიმდინარეობის სახელიდან გამომდინარე ცხადია, რომ ის ენისა და მეტყველების განვითარებაში ბუნებას, თანდაყოლილობას ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას. ნატივისტები ემხრობიან ენის, როგორც თანდაყოლილისა და ბიოლოგიურად განპირობებული უნარის იდეას. ეს მიდგომა ამტკიცებს, რომ ადამიანი იბადება ენის სპეციფიკური შესაძლებლობებით, რომელიც გარემოს მინიმალური დახმარებით რეალიზდება. მაშინ როცა ბიჰევიორისტები აქცენტს აკეთებენ ქცევაზე, ნატივისტები ყურადღებას ამახვილებენ ცოდნასა და კომპეტენციაზე, რომელსაც ქცევამდე მივყავართ.

ნატივიზმის მთავარი კითხვა გულისხმობს აქვს თუ არა ბავშვს გამოცდილებისგან დამოუკიდებელი, თანდაყოლილი შინაარსები?! ამ შინაარსებში კი, იგულისხმება თანდაყოლილი, ადამიანის სახეობისთვის სპეციფიკური ცოდნა.

ნატივისტური მიდგომა ამტკიცებს, რომ ბავშვები იბადებიან მეტყველების ათვისების მზაობით, მათ დაბადებიდანვე აქვთ ენის წესებისა და პრინციპების შესახებ ცოდნა (Chomsky N. 1965a). ამ მიდგომის მომხრეები მიიჩნევენ, რომ შეუძლებელია ბავშვმა გარემოდან მიღებული სიგნალების, სამეტყველო ინფორმაციის საფუძველზე დაისწავლოს ენა, რადგან ბავშვების სმენითი აღქმა შეზღუდულია, ხოლო გარემოდან მომდინარე ინფორმაცია ხშირად მცდარი და არასრულყოფილი (Chomsky N. 1965a). ბავშვებს კი ამ შეზღუდული რესურსების პირობებშიც კი შინაგანი, თანდაყოლილი ლინგვისტური მზაობის საფუძველზე შეუძლიათ ენის ათვისება.

1950იანი წლების დასაწყისში ნ. ჩომსკიმ დაიწყო ენის უნივერსალურობის კვლევა. ის ცდილობდა აღმოეჩინა უნივერსალური სინტაქსური წესები და პრინციპები, რომლებსაც იყენებს ყველა ენაზე მოსაუბრე ადამიანი. სხვაგვარად, რომ ვთქვათ ენა არსებითად ერთნაირი გამოცდილებაა ადამიანებისთვის, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ენაზე ლაპარაკობენ, სად ცხოვრობენ ან როგორ ურთიერთობენ ენობრივი მოდელების მომწოდებელ ადამიანებთან. ყველა ენას აქვს სიტყვების გრამატიკულად დალაგების წესები. რა თქმა უნდა ეს წესები ურთიერთგანსხვავებულია, მაგრამ ყველა ენის საერთო, სტრუქტურულ საფუძველს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ თანდაყოლილ წესებს ნატივისტები უწოდებენ ლინგვისტურ უნივერსალიებს.

მიიჩნევა, რომ ლინგვისტური უნივერსალები დაბადებისთანავე ყველა ადამიანში წარმოდგენილია თავის ტვინის იმ ნაწილში, რომელსაც თეორიულად უწოდებდნენ „მეტყველების ათვისების მექანიზმს (The language acquisition device or LAD) (Chomsky. N, 1984). ამ მექანიზმს ჩომსკი განიხილავს, როგორც ენის ათვისების თანდაყოლილ მზაობას, ენობრივი სტრუქტურების შესახებ ინფორმაციის თანდაყოლილ საცავს. ნატივისტური პოზიციის მიხედვით, მეტყველების ათვისების მექანიზმი უნდა მივიჩნიოთ თავის ტვინის ნაწილად, რომელიც სპეციფიკურად მეტყველებითი ინფორმაციის გადამუშავებისთვისაა შექმნილი. მექანიზმი ბავშვისთვის მიწოდებული მოდელის საშუალებით იღებს სინტაქსურ ინფორმაციას და წარმოშობს ბავშვის მშობლიური ენის გრამატიკას. ვინაიდან წინასწარ არ არის განსაზღვრული მშობლიური ენა, ენის ათვისების მექანიზმი ყველა ენისთვის საერთო ინფორმაციით მუშაობს. აქედან გამომდინარე, ნატივისტები ფიქრობენ, რომ ენის სტრუქტურა ერთგვარად დამოკიდებულია, მაგრამ არ ეფუძნება მის გამოყენებას.

ნ. ჩომსკი განასხვავებს ენის ათვისებასა და ენის დასწავლას. მისი აზრით ხდება არა ენის დასწავლა, არამედ ენის ათვისება თანდაყოლილი კოგნიტური სტრუქტურების საფუძველზე. ჩომსკის ცნება „ლინგვისტური უნივერსალები“ შეესაბამება თანდაყოლილი შინაარსის განსაზღვრებას. ეს უნივერსალები არის პრინციპები და მახასიათებლები, რომლებიც აქვს ყველა ენას და რომლებიც განსაზღვრავენ რა კონსტრუქცია უნდა ჰქონდეს ენას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანდაყოლილი ცოდნა გულისხმობს სინტაქსის ცოდნას, რაც განსაზღვრავს წინადადების აგებას (Lust B.C, 2006).

ლინგვისტური უნივერსალები ორი ტიპისაა: აბსოლუტური და შეფარდებითი (რელატიური). აბსოლუტური უნივერსალები არის სინტაქსური პრინციპები ან ის სტრუქტურები რომლებიც ყველა ენაში არსებობს (Chomsky N., 1981).

თავის მხრივ რელატიური უნივერსალებიც ორი სახისაა: 1) სინტაქსის ელემენტები: სინტაქსური კატეგორიები, თანდაყოლილია ყველა ენისთვის დამახასიათებელი აბსტრაქტული სინტაქსური კატეგორიები, რომელთაგან ბავშვი გამოიყენებს მხოლოდ მისი მშობლიური ენისთვის დამახასიათებელ კატეგორიას და 2) პარამეტრები: რაც გულისხმობს ლინგვისტური ელემენტების (ზმნა, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი) თანმიმდევრობასა და ერთმანეთთან შეთანხმებას.

აღნიშნული რელატიური და აბსოლუტური უნივერსალიები ქმნიან უნივერსალურ გრამატიკას. (Tomasello, 2006).

ენის ათვისებისას ბავშვი იწყებს თანდაყოლილი უნივერსალური გრამატიკის მშობლიური ენის სტრუქტურაზე მორგებას. ათვისება მოიცავს: მშობლიური ენის ყველა სიტყვის, იდიომისა და კონსტრუქციის დაუფლებას; უნივერსალური გრამატიკის საფუძველზე მშობლიური ენის საკვანძო სტრუქტურების დაკავშირებას (Owens, R.E. Jr, 2012).

ლინგვისტური უნივერსალიების ცნების ჩამოყალიბების შემდეგ, ნატივისტები ეცადნენ დაედგინათ და აღეწერათ ის სინტაქსური წესები, რომლებიც ზრდასრულებს საშუალებას აძლევს ერთ სისტემაში მოაქციოს მშობლიური ენისთვის დამახასიათებელი უსასრულო რაოდენობის წინადადება. ამ თვალსაზრისით ნატივისტები განიხილავდნენ ენის უნივერსალურ წესებს, რომელიც მეტყველების ათვისების მექანიზმშია (LAD), როგორც მშობლიური ენის გრამატიკის გაგებისა და ათვისების ინსტრუმენტშია ფიქსირებული. ამ თვალსაზრისით, ნ. ჩომსკიმ შეიმუშავა ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკის თეორია. (ციტირებულია(Hulit, Howard, Fahey, 2012). ამ თეორიის მიხედვით, ენის გადამუშავება მიმდინარეობს ორ დონეზე, რომელთა მიმდინარეობასაც აღწერს ორი წესი: 1) ფრაზის სტრუქტურული წესები: რომლებიც აღწერს სიტყვებისა და ფრაზების ურთიერთკავშირს. გადამუშავების ამ დონეს ღრმას უწოდებენ. აღნიშნული წესები უნივერსალურია და ყველა ენაში მოქმედებს. 2) ტრანსფორმაციები ის წესებია, რომლებიც ღრმა სტრუქტურების გადაწყობას აღწერენ სტრუქტურის სხვა დონეზე გადანაცვლებისას, ამ დონეს ზედაპირულს უწოდებენ. ეს წესები უნივერსალური არ გახლავთ. თითოეულ ენას თავისი ტრანსფორმაციის ნაკრები აქვს, თუმცა ძირითადი პრინციპები, რომლებიც ტრანსფორმაციაში მოქმედებს თითქმის ყველა ენაში მსგავსია. (Lust B.C., 2006).

ნატივიზმის ჰიპოთეზების კრიტიკა მოიცავს შემდეგ არგუმენტებს:

- ✓ არსებობს ისეთი ფრაზები, რომლებიც არ აიგება გრამატიკული წესების მიხედვით, არამედ არსებობს სპეციფიკური ფორმით, მაგალითად ინგლისურ ენაში არსებული ფრაზა „ How do you do?“;

- ✓ თანდაყოლილი ცოდნა არ არის საკმარისი იმის გასაგებად თუ როგორ იწყებს ბავშვი ლაპარაკს, როგორ ხვდება რომელი არსებითი სახელი ან ზმნა არის სპეციფიკური, გამონაკლისი. ამ ფენომენს ბიჰევიორისტული მოსაზრება ხსნის, იმ ფაქტით, რომ ბავშვები გამონაკლისი ზმნების მნიშვნელობას ზრდასრულების ლაპარაკის მოსმენით ხვდებიან (Goldin-Meadow S., 2008).
- ✓ კროსკულტურული ლინგვისტური კვლევების შედეგად, არ დადასტურდა მსოფლიოს ყველა ენაში თუნდაც ერთი ფორმალური გრამატიკის საერთო წესის არსებობა. (Slobin D., 1973).
- ✓ არაერთი თეორიტიკოსი ამტკიცებდა, რომ მეტყველების განვითარების ადრეულ ეტაპზე წამყვანი არის არა სინტაქსი (როგორც ეს ზრდასრულებთანაა) არამედ სემანტიკურ-კოგნიტური ელემენტი. სემანტიკისა და სინტაქსის მიმართება განსხვავდება მეტყველების ათვისების საწყისი ეტაპისა და განმტკიცების ეტაპის მიხედვით. ზრდასრულები წინადადების აგებისას იყენებენ არსებით სახელსა და ზმნას, ხოლო მეტყველების განვითარების ადრეულ სტადიაზე მყოფი ბავშვები, იყენებენ მნიშვნელობის მქონე ერთ ელემენტს; ერთგვარ აგენტს, რომელიც ასრულებს მოქმედებას და ობიექტს. მაგ: „დედამ ისროლა ბურთი“, ადრეულ ეტაპზე მყოფი ბავშვის მეტყველებაში იქნება შემდეგი სახით „დედა ბურთი“ (Owens R.E., Jr. 2012).

§ 1.2.2 ბიჰევიორისტული თვალსაზრისი: აღზრდის როლი-მეტყველების განვითარებაში გარემოს წვლილის შესახებ რადიკალური თეორია.

ბიჰევიორისტული შეხედულების მომხრეები მეტყველების განვითარების ამხსნელად იმ ქცევებზე ამახვილებელ ყურადღებას, რომლებზეც შესაძლებელია დაკვირვება. ბიჰევიორისტები ეძებენ ბავშვის მიერ გამოვლენილ ენობრივ ფორმებს. მაგალითად, როგორ დააჯგუფებს ინგლისურად მოსაუბრე ბავშვი ორ არსებით სახელს. დაკვირვებასა და გაზომვაზე დაყრდნობით ისინი აკეთებენ დასკვნებს გარემოსა და ბავშვის მეტყველებაში გამოვლენილ კანონზომიერებებს შორის კავშირების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ბიჰევიორისტები ისეთ კოგნიტურ

აქტივობებს, როგორცაა ყურადღება ან მეხსიერება, არ ანიჭებენ კრიტიკულ მნიშვნელობას, რადგან ენის ათვისების პროცესში მათზე უშუალოდ დაკვირვება შეუძლებელია. თუმცა აღიარებენ მათ არსებობას და მეტყველების განვითარებაში მათ მნიშვნელობას.

ერთ ერთი პირველი თეორიტიკოსი, რომელიც დაინტერესდა მეტყველების ათვისების პროცესით იყო ბ.ფ. სკინერი. 1957 წელს სკინერმა გამოაქვეყნა „ვერბალური ქცევა“, რომელშიც ის ამტკიცებდა რომ ენის ათვისება ჰგავს ნებისმიერი სხვა ქცევის დასწავლას. სკინერის მოსაზრების თანახმად, ბავშვის სამეტყველო მოდელები არიან მშობლები, რომელთა მიმართ მიბაძვითაც ბავშვი სწავლობს მეტყველებას (Owens R.E., Jr. 2012).

ბიჰევიორისტთა ერთერთი ყველაზე საკამათო მოსაზრების მიხედვით, ენის ათვისების პროცესში ბავშვი პასიურია (Hulit, Howard, Fahey, 2012). ენის ათვისების თვალსაზრისით ბავშვი დაბადებიდან ცარიელი ავზია, რომელსაც მის გარშემო არსებული ენობრივი მოდელებისგან მიღებული გამოცდილება ავსებს. ბავშვი მეტყველებას იწყებს იმიტაციით; ის იმეორებს იმ სიტყვებსა და წინადადებებს რაც ესმის. ბავშვი არ არის სამეტყველო ქცევების ინიციატორი, არამედ მხოლოდ მიბაძვით იმეორებს სამეტყველო ფორმებს.

ენის ათვისების ერთერთ მექანიზმად, ბიჰევიორისტული თეორიის თანახმად, ითვლება მშობლების მხრიდან მიღებული უკუკავშირი. განვითარებადი მეტყველების ფორმას ბავშვი თავისივე აღმოჩენებით თუ შემოქმედებითი ექსპერიმენტებით კი არ განსაზღვრავს, არამედ იგი დამოკიდებულია სამეტყველო და ენობრივი მოდელებისგან მიღებულ შერჩევით განმტკიცებაზე. ეს გულისხმობს მშობლების მხრიდან გრამატიკულად გამართული წინადადების დადებითად განმტკიცებას, ხოლო გრამატიკულად მცდარი წინადადების იგნორირებას. ამ გზით ბავშვი დაისწავლის გრამატიკული წესებით წინადადების სწორად აგებას.

ამდენად, ბიჰევიორისტული პოზიციის ამოსავალი დებულება გულისხმობს ენის ათვისების პროცესში გარემო ფაქტორების კრიტიკულ მნიშვნელობას. ბიჰევიორისტები ყურადღებას ამახვილებენ გარემო ფაქტორებზე, რომლებიც ბავშვის ვერბალურ ქცევებს მეტყველებად აყალიბებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ ბავშვი მხოლოდ ამ გარეფაქტორების უშუალო ზეგავლენის ქვეშ იმყოფება.

ბიჰევიორისტების მოსაზრებით, მეტყველება დაისწავლება ოპერანტული განპირობების პრინციპით. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სამიზნე ქცევისკენ (მეტყველება) მიმავალი მცირე საფეხურების თანდათანობითი ფორმირება. ეს შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: როცა ბავშვი პირველად ცდილობს კონკრეტული სიტყვის წარმოთქმას, ბუნებრივია, იგი სიტყვას ამახინჯებს, მაგრამ უფროსი იღებს მის გამონათქვამს, როგორც სიტყვის გამოთქმის პირველ ნაბიჯს და განამტკიცებს მას. ზრდასრული ბავშვს აწოდებს იმ საგანს, რომლის სახელის თქმასაც პატარა ცდილობს. პირველ ცდას მოჰყვება მეორე, მესამე და ასე შემდეგ სანამ ბავშვი საბოლოოდ სწორად არ გამოთქვამს ამ კონკრეტულ სიტყვას. ქცევის ფორმირების პროცესში ყოველ საფეხურზე ხდება იმ ელემენტის განმტკიცება, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავს სამიზნე სიტყვას. ჩვეულებრივ, ელემენტებს, რომლებიც არ უმჯობესდება ან პირიქით, უარესდება, უფროსები ყურადღებას არ აქცევენ. ბევრი ქცევა, მათ შორის მეტყველება, ვლინდება თანმიმდევრულად. ამ თანმიმდევრობას ბავშვი სწავლობს ქცევითი ჯაჭვის აწყობის გზით. სიტყვების ერთმანეთზე გადაბმა, წინადადებაში გაერთიანება სწორედ ამ ქცევითი ჯაჭვის აგების შედეგია.

სკინერი ამტკიცებდა, რომ ვერბალური ქცევები 5 ფუნქციიდან ერთერთს ემსახურება. ფუნქციები მიზნების მიხედვით არის განსაზღვრული.

- ✓ ექოსებრი - ექოსებრი ქცევა, უმარტივესია, როცა ბავშვი ცდილობს სიტყვის შესაბამისი სტიმულის არსებობისას, ამ სიტყვის მოდელის იმიტაციას. მაგალითად: დედა აწოდებს ბავშვს ნამცხვარს და ეუბნება: „ნამცხვარი“, ბავშვი იღებს მას და იმეორებს „ნამცხვარი“. დროთა განმავლობაში ბავშვი სიტყვასა და მის აღსანიშნ საგანს ერთმანეთთან აკავშირებს და იმეორებს მას შესაბამისი საგნის მოთხოვნის დროს.
- ✓ „ტაქტი“ - მას შემდეგ რაც ბავშვი საგანსა და სიტყვას ერთმანეთთან აკავშირებს. ექოსებრი ქცევა ხდება ტაქტი, რაც გულისმობს საგნის სახელდებისთვის გამოყენებულ ვერბალურ ქცევას.
- ✓ „მენდი“ - მისი ფუნქციაა ითხოვოს ან მოითხოვოს რაღაც. მას განმამტკიცებლის იდენტიფიცირებაც შეუძლია. მაგალითად: როცა ბავშვი დამახინჯებულად ითხოვს წყალს, ფრაზით „წყალი უნდა“, ეს გულისმობს მის თხოვნას, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში წყალი ხდება განმამტკიცებელი.

- ✓ „ინტერვერბალური ქცევა“ - ისეთი პროდუქციაა, რომელსაც ხშირად არ აქვს კავშირი წინმსწრებ გამონათქვამთან. ეს ძირითადად თავს იჩენს სპონტანური მეტყველების დროს.
- ✓ „ავტოკლიტური ქცევები“ - მათი ინტერპრეტაციის ორი გზა არსებობს: 1) მოცემული პასუხები გავლენას ახდენს მოლაპარაკის ქცევებზე და თვითონაც განიცდის მოლაპარაკის ქცევების ზეგავლენას; 2) ავტოკლიტური პასუხები პასუხისმგებელია სიტყვების წინადადებად გაერთიანებაზე. ოპერანტული განპირობების ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, თითოეული სიტყვა მომდევნო სიტყვაზე ზემოქმედებს, როგორც დისკრიმინაციული სტიმული.

ბუნებრივია, ემპირისზმის ჰიპოთეზებსაც აქვთ თავისი კრიტიკა, რომელთა თანახმად შეუძლებელია ყველა სიტყვის, ყველა ვერბალური ქცევის დასწავლა, რადგან სამყაროში სტიმულების შეუზღუდავი რაოდენობაა. ამასთან ერთად, ენისა და მეტყველების ათვისების ბიჰევიორისტული მოდელით ვერ აიხსნება ენის შემოქმედებითობა, ახალი ინფორმაციის წარმოქმნა. ნ. ჩომსკის მოსაზრების თანახმად ბავშვის მიერ ენის ათვისების კომპლექსურ პროცესს ვერ განვილიხავთ მხოლოდ ქცევისა და რეაქციის ტერმინებით. გრამატიკა არის აბსტრაქტული წესების სისტემა, რომელიც რეალიზდება ინდივიდუალური ცოდნის მიხედვით (Chomsky N., 1965). ამასთან ერთად ჩომსკი აკრიტიკებს ენის დასწავლის ბიჰევიორისტული ხედვის ძირითად პრინციპებს შემდეგი მოსაზრებებით: მშობლები ერთმანეთთან საუბრისას იყენებენ ერთფეროვან სამეტყველო პატერნებს; ბავშვს არ შეუძლია ენის ყველა კონსტრუქცია აითვისოს იმიტაციით და მშობლები ხშირად არ განამტკიცებენ ბავშვის გრამატიკულად გამართულ კონსტრუქციებს.

ამასთან, სხვა კრიტიკოსების მოსაზრებით, ყველა ბავშვს არ შეუძლია იმიტაციით მეტყველება ან/და ყველა ბავშვი სწორად და სრულყოფილად ვერ იმეორებს მოსმენილ ვერბალურ ინფორმაციას, რადგან მათ მეტყველების განვითარების საწყის ეტაპზე არსებული კოგნიტური უნარები არ აძლევს საშუალებას სრულად გადაამუშაოს მთელი ინფორმაცია. (Goldin-Meadow S., 2008).

§ 1.2.3 ენის ათვისების მოდულარული მოდელი

ენის ათვისების მოდულარული მოდელი ეკუთვნის უილიამ ო'გრედის, რომელიც ამ მოდელს ზოგადი ნატივიზმის პოზიციიდან წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მოდულარული ათვისების თეორია მოიცავს კოგნიტური პროცესების ახსნის კომპიუტერულ მიდგომას. (William O'Grady W., 1996)

მოდულარული ათვისების თეორიის თანახმად, ენის ათვისება მიმდინარეობს უნივერსალური გრამატიკის გარეშე. მას უზრუნველყოფს მოდულარული ათვისების თანდაყოლილი მოწყობილობა, რომელიც შედგება 5 მოდულისგან: პერცეპტული მოდული უზრუნველყოფს სმენით მიღებული ინფორმაციის ფონეტიკური ტრანსკრიპტის შექმნას. პროპოზიული და კონცეპტუალური მოდულები ერთად ქმნიან აღქმული გამონათქვამის შინაარსის რეპრეზენტაციას, რაც მოიცავს ინფორმაციას ქვემდებარე-შემასმენელის ურთიერთმიმართების შესახებ. კომპიუტერული მოდული უზრუნველყოფს ლინგვისტური ერთეულების კომბინაციის ოპერაციებს და დასწავლის მოდული, რომელიც მონაწილეს აზრის ფორმირებისა და გადმოცემის პროცესში. (William O'Grady W., 1996)

§ 1.2.4 სოციოლინგვისტური თეორია

სოციოლინგვისტური თეორიის მიხედვით, ბავშვი ენის წესებს ითვისებს მშობელთან კომუნიკაციის პროცესში, ამ პროცესში კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სოციალურ ინტერაქციასა და სოციალურ კონტექსტს, რომელიც ქმნის ვერბალური ინფორმაციის კოდირებისა და დეკოდირების ჩარჩოს. ეტაპობრივად კი, განმეორებითი კომუნიკაციისა და ინტერაქციის საფუძველზე, ყალიბდება ბავშვის მეტყველება უფრო მეტად ემსგავსება მოზრდილის მეტყველებას (Owens, R.E. Jr., 2012).

სოციოლინგვისტური თეორიის მიხედვით, ბავშვის მეტყველების ათვისება არ ხდება სპეციფიკური ენის ათვისების მექანიზმით, არამედ ბავშვი იყენებს იმ ზოგად, კოგნიტურ მექანიზმებს რაც მას უკვე აქვს. ბავშვი განიხილება, როგორც გარემოსთან აქტიურ ინტერაქციაში მყოფი. ბავშვი აქტიურად ურთიერთობს მშობლებთან, მომვლელებთან, რაც განაპირობებს მოვლელების მხრიდან ბავშვზე მიმართულ

მეტყველებას. როგორც წესი, ამ ტიპის მეტყველების ტემპი არის ნელი, წინადადებები უფრო მოკლეა, მეტყველება ხასიათდება მაღალი ხმოვანი ტონებით, გამოკვეთილი ინტონაციებით. სწორედ ამგვარად მიმდინარე მეტყველება აძლევს ბავშვს საშუალებას ყურადღება მიაქციოს მშობლის მეტყველებას და დაიწყოს მისი იმიტირება. ბუნებრივია, ამ პროცესში აუცილებელია ბავშვის კოგნიტური პროცესები სათანადოდ იყოს მომწიფებული. ამდენად, მეტყველებას და ენას ბავშვი ეუფლება უკვე არსებული კოგნიტური შესაძლებლობებისა და გარემოს ურთიერთობის პროცესში.

სოციო-კულტურული თეორიის კრიტიკის თანახმად, ბავშვზე მიმართული მეტყველება ბავშვის მიერ ენის ათვისების უნივერსალური ფაქტორი ვერ იქნება, რადგან ყველა კულტურაში ბავშვი არ არის მეტყველების აქტიური ადრესატი, არამედ ის არის პასიური მსმენელი. ამის მიუხედავად პატარები მაინც ახერხებენ გრამატიკული წესების დასწავლასა და იწყებენ მეტყველებას. ამდენად, შესაძლებელია იყოს ენის ათვისების სხვა გზებიც, ამიტომ მიიჩნევა რომ ვერც სოციოლინგვისტური თეორია ვერ აღწერს სრულყოფილად ენის დაუფლების პროცესს (Goldin-Meadow S.2008).

§ 1.2.5 კონსტრუქტივიზმი, როგორც ნატივიზმისა და ემპირიზმის ალტერნატივა. ენის გამოყენებაზე დამყარებული მიდგომა

კონსტრუქტივიზმი, როგორც ალტერნატივა, ითვალისწინებს ორივეს, როგორც ენის ათვისების გენეტიკურ პრედისპოზიციას, ასევე ენის დაუფლების პროცესში გარემოსთან ინტერაქციის მნიშვნელობას (Valian V., 2009).

გამოყენებაზე დამყარებული მიდგომა ენას აღწერს, როგორც სიმბოლოების ერთიანობას, რომელიც მოიცავს მორფემებს, სიტყვებს, იდიომებსა და წინადადებებს. ეს მიდგომა ამტკიცებს, რომ ლექსიკა და მეტყველების გრამატიკული სტრუქტურა აღმოცენდება მეტყველების გამოყენების შედეგად, მეტყველების განვითარებაში კრიტიკულ ფუნქციას ანიჭებს სოციალური ინტერაქციას. ბავშვები ისმენენ ცალკეულ გამონათქვამებს და შემდეგ მათ არგებენ კონკრეტული ენის კონსტრუქციებს. ამ პროცესის საფუძველია ზოგადი კოგნიტური პროცესები და ენაში არსებული

უნივერსალური წყობა. ენის გამოყენებაზე დაფუძნებული ათვისების თეორიის მიხედვით, ბავშვი ენობრივ კონსტრუქციებს სწავლობს ეტაპობრივად, ენის გამოყენების პროცესში მიღებული ვერბალური სიგნალების საპასუხოდ.

მეტყველების ათვისების პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ათვისებული სიტყვების გრამატიზაცია, მაგალითად: ბავშვი ბევრჯერ, განმეორებით ისმენს ერთი და იმავე კონსტრუქციას, იწყებს მისი სტრუქტურის დაკვირვებას და გამოყენებას. მაგ: ინგლისურად He's+verb-ing კონსტრუქციის ხშირად მოსმენის შემდეგ თავად იყენებს მას წინადადებაში He's running and He's jumping. ეს შეიძლება იყოს ენის ათვისების საწყის ეტაპზე, ხოლო შემდგომ ეტაპებზე მეტყველება რთულდება და შესაძლებელია ბავშვმა ნაცვალსახელი ჩაანაცვლოს არსებითი სახელით (ქვემდებარით) და ა.შ.

მ. ტომასელოს მიხედვით, (Tomasello M., 2006), ზემოთ აღნიშნული, ზოგადი კოგნიტური პროცესები შეიძლება დავყოთ ორ პროცესად: 1) ინტენციის გაგება (intention-reading), შედგება სხვადასხვა სახის სოციალური და კოგნიტური უნარებისგან, რომლებიც არიან პასუხისმგებლები სიმბოლოების ათვისებასა და ენის ფუნქციურ ასპექტებზე; 2) ნიმუშის პოვნა (pattern-finding), კოგნიტური უნარები, რომლებიც ათვისებული კონსტრუქციების განზოგადებაზეა პასუხისმგებელი (Tomasello M., 2009). ტომასელოს ენის გამოყენებაზე დაფუძნებული ათვისების თეორიის კრიტიკის თანახმად, თეორიაში გამოყენებული ზოგადი კოგნიტური პროცესების ცნება ბუნდოვანია და არ არის სათანადოდ განმარტებული.

§ 1.2.6 ლ.ვიგოტსკი: ენის განვითარების სოციოკულტურული თეორია

ლ. ვიგოტსკი ენას მიიჩნევდა კოგნიტური განვითარებისა და დასწავლის ცენტრალურ მექანიზმად. ვინაიდან სწორედ ენის მეშვეობით მიმდინარეობს სამყაროს აღქმა და რეპრეზენტაციების შექმნა, ენა არის კომუნიკაციისა და მეტყველების სიმბოლური სისტემა. ვიგოტსკის თეორიის მიხედვით არსებობს ენის განვითარების სამი ეტაპი:

1. სოციალური მეტყველების ეტაპი (ექსტერნალური მეტყველება)-3 წლამდე-მეტყველება გამოიყენება როგორც ქცევის გაკონტროლების საშუალება, გამოხატავს მარტივ აზრებსა და ემოციებს.

2. ეგოცენტრული მეტყველება-3-7 წელი: ბავშვი ესაუბრება საკუთარ თავს ხმამაღლა, ახმოვანებს ქცევებს: რას და რატომ აკეთებენ.
3. შინაგანი მეტყველების ეტაპი-7წლის შემდეგ: მეტყველება გადადის შინაგან პლანში, აზრებისა და ქცევების ხმამაღლა გახმოვანება იცვლება ქცევის შინაგანი მეტყველებით მართვით. ვიგოტსკისთვის შინაგანი მეტყველების ეტაპის დასრულება დაკავშირებულია უმაღლესი კოგნიტური ფუნქციების მომწიფებასთან.

ლ. ვიგოტსკის თეორიის მიხედვით ენა არის აზროვნების ორგანიზების ცენტრალური ინსტრუმენტი, ამდენად მეტყველების განვითარება გადაჯაჭვულია აზროვნების განვითარებასთან. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ენის განვითარება გაშუალებულია კულტურის ზეგავლენითა და ბავშვის სოციალიზაციით (Oakley, L., 2004).

ენის ათვისება ბავშვის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია. ენა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომლის საშუალებითაც მოსწავლეებისთვის სხვების ცოდნა ხელმისაწვდომი ხდება. გარდა ამისა ენა ის კოგნიტური იარაღია, რომელიც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაგეგმონ და აკონტროლონ თავიანთი ქცევები. ისევ ლ. ვიგოტსკის შეხედულებებს რომ მივუბრუნდეთ, 2 წლის ასაკამდე აზროვნება და მეტყველება ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფუნქციას წარმოადგენს. აზროვნება ენისგან დამოუკიდებლად ხდება. ენის განვითარების დასაწყისში მეტყველება მხოლოდ კომუნიკაციისთვის გამოიყენება და არა როგორც აზროვნების მექანიზმი; ხოლო 2 წლის შემდეგ, ენა და აზროვნება ერთიანდება, ბავშვები იწყებენ ენის საშუალებით თავიანთი აზრების გამოხატვას. ენისა და აზროვნების გაერთიანებისას თავიდან ბავშვები ხშირად საკუთარ თავს ელაპარაკებიან. ამ მოვლენას ეგოცენტრული მეტყველება ეწოდება. გარკვეული დროის შემდეგ, ბავშვები უკვე საკუთარ თავთან გონებაში ლაპარაკობენ. ამ მოვლენას აფასებენ როგორც შინაგან მეტყველებას. ეგოცენტრული მეტყველებიდან შინაგან მეტყველებაზე გადასვლა ხდება 3-7 წლის ასაკში და ამას თან სდევს ჩურჩულისა და ტუჩების უხმოდ მოძრაობის სიხშირე.

§ 1.2.7 ფსიქოლინგვისტური პოზიცია

ფსიქოლინგვისტური პოზიცია ეფუძნება კოგნიტური ნეირომეცნიერების ექსპერიმენტთა შედეგად მიღებულ მონაცემებს და ენის ათვისებას ბიოლოგიურად სპეციფიკურ პროცესად წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ენის ათვისებაზე პასუხისმგებელია თავის ტვინის სხვადასხვა უბანი: მარცხენა ჰემისფეროში ბროკას არე, ვერნიკეს არე, თაღის კონა, სილვიის ნაპრალის ირგვლივ მდებარე რეგიონი. ამ არეების ადრეულ ასაკში (1 წლამდე) დაზიანება იწვევს ენის ათვისების გადავადებას ან/და ენის კომპონენტების სპეციფიკურ დარღვევას (Anderson V., 2001).

თანდაყოლილი სიყრუის მქონე პაციენტების კვლევის შედეგების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ ენის ათვისებაზე პასუხისმგებელი ანატომიური არეები კომუნიკაციის პროცესში აქტიურდებიან, მიუხედავად კომუნიკაციის ფორმა იქნება ვერბალური თუ ჟესტებით კომუნიკაცია (Johnson M.H. De Haan M., 2011). უმეტეს შემთხვევაში, მეტყველებით დომინანტური ჰემისფერო არის მარცხენა ჰემისფერო, რომელიც დაბადებიდან მოკლე დროში იწყებს რეცეპტული მეტყველების საპასუხოდ აქტივაციას. კვლევებით დასტურდება, რომ ენის ათვისების საწყის ეტაპზე, ფუნქციური დიფერენციაცია და ენის ლატერალიზაციის პროცესი არ არის დასრულებული და ენისა და მეტყველების ათვისებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა ჰემისფეროს ჩართულობას (Anderson V., 2001).

მაღალი სიმჭიდროვის გამოწვეული პოტენციალების მეთოდით (HD-ERP) გამოკვლეულია ჩვილების ფონოლოგიის გადამუშავების უნარი. შედეგების თანახმად, ბავშვებს 3 თვის ასაკიდანვე შეუძლიათ ერთმანეთისგან განასხვავონ მშობლიური და უცხო ენისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობის მქონე და მნიშვნელობისგან დაცლილი ფონემები. საინტერესოა, რომ ეს უნარი მშობლიური ენის ხშირი ექსპოზიციის შედეგად, 8 თვის ასაკიდან ქრება და ბავშვს უკვე შეუძლია მხოლოდ მშობლიურ ენაში არსებული ფონემების დისკრიმინაცია. (Anderson V., 2001).

ამდენად, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ენის ათვისების თანდაყოლილი და გამოცდილებით გაშუალებული უნარების შესახებ: კოგნიტური ნეირომეცნიერების ექსპერიმენტთა მონაცემების თანახმად, ჩვილებს თანდაყოლილი აქვთ ნებისმიერი ენის ათვისების მზაობა, თუმცა მშობლიური ენის გარემოში ყოფნის გამოცდილება ამ უნარს კონკრეტული ენის სპეციფიკის მიხედვით ცვლის (Anderson V., 2001).

ნეიროლინგვისტური თეორიის მიხედვით, ადამიანის თავის ტვინს მუდმივი ცვლილებების დინამიკური უნარი აქვს. ამ უნარს მოქნილობას უწოდებენ, თავის ტვინს კი, თვითორგანიზებად ნეირონულ ქსელს. სწორედ ამ მოქნილობის უნარის საშუალებით თავის ტვინი განსაზღვრავს გზას, თუ როგორ უნდა მოხდეს სიტყვებზე რეაგირება, მოცემული ენისთვის დამახასიათებელი სიტყვების ფუნქციონირების გათვალისწინება. ამდენად, არსებითი სახელები, ზმნები და მეტყველების სხვა ნაწილების მოსმენის დავალებებში ნეირონული აქტივობის პატერნები განსხვავებულია.(Hulit, Howard, Fahey, 2012).

ენის ათვისების პროცესში სიტყვები კატეგორიზდება სწორედ მეტყველების ნაწილების მიხედვით, რაც ბავშვს საშუალებას აძლევს უფრო სწრაფად და ზუსტად შეარჩიოს და მეხსიერებიდან ამოიტანოს საჭირო სიტყვები.

სიტყვების დასწავლის, შენახვისა და მეხსიერებიდან ამოტანის ამ უნარს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენის შეუფერხებელი განვითარებისთვის. თვითორგანიზებადი ნეირონული ქსელის მუშაობის შედეგები შეიძლება თვალსაჩინოდ დავინახოთ ლექსიკური მარაგის სწრაფი ზრდის პროცესში, რაც ჩვეულებრივ 18-დან 20 თვის ასაკში ვლინდება. ბავშვი, რომელსაც შეეძლო საგნების დასახელება მისთვის ნაცნობ გარემოში, მოულოდნელად იბნევა იმავე საგნების, ადამიანების ან მოვლენების ჩამოთვლისას. ამ მოკლე პერიოდს დასახელების დეფიციტი უწოდეს. ვარაუდობენ, რომ ეს დეფიციტი ორიდან ერთ-ერთი მიზეზითაა გამოწვეული: 1) დასახელების დეფიციტი ვითარდება იმის გამო, რომ ლექსიკური მარაგის სწრაფი ზრდის პერიოდში მეხსიერებაში კომპაქტურად ორგანიზებული და შენახული რეპრეზენტაციები და ცნებები კონურენციას წარმოშობენ სიტყვების შერჩევისას (Gershkoff-Stowe&Smith, 1997, ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012). 2) დასახელების დეფიციტს იწვევს ის ფაქტი, რომ სიტყვები რეორგანიზდებიან და დაბნეულობას იწვევენ სხვა, ძლიერი სემანტიკური კავშირების მქონე სიტყვებთან მიმართებით. (Bowerman, 1978, 1982, ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012). ამ შეხედულებას ადასტურებს ელისისა და მორისონის კვლევა (Ellis & Morrison, 1998 ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012). რომლის თანახმად, ადრეულ ასაკში ნასწავლი სიტყვების აღდგენა დასახელებისა და კითხვაზე პასუხის დროს გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მოგვიანებით ნასწავლი სიტყვების აღდგენა. ამ შედეგების

ახსნა შესაძლებელია მოქნილობის ჭრილში. კერძოდ, ახალი სიტყვების დასწავლისას, სიტყვების რეპრეზენტაციებში ნეირონულ ქსელს სჭირდება მოქნილობისა და სტაბილურობის შენარჩუნება, რათა სიტყვების დასწავლის უნარი დროთა განმავლობაში განვითარდეს.

ექსპერიმენტული კოგნიტური ნეიროფსიქოლოგიის მონაცემების თანახმად, ბავშვის ენის ათვისებისა და მეტყველების განვითარების სტადიები ემთხვევა ბავშვის თავის ტვინში ნეირონულ ცვლილებებს. კერძოდ: 18-20 თვის ასაკი ითვლება „სახელდების აფეთქების“ პერიოდად, ამ დროს ბავშვის ლექსიკური მარაგი ყველაზე სწრაფი ტემპით იზრდება. ბავშვის თავის ტვინის განვითარების ეტაპებს შორის კი სწორედ ამ პერიოდშია ნეირონული სიმჭიდროვე ყველაზე მაღალი.

ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ერთი მხრივ ნეირონული სიმჭიდროვისა და მეტაბოლიზმის ზრდა განაპირობებს ბავშვის ლექსიკისა და გრამატიკის განვითარებას, მეორე მხრივ ლექსიკისა და გრამატიკის განვითარება და გარემოდან მდიდარი სტიმულაცია აისახება თავის ტვინის ნეირონთა სიმჭიდროვისა და მეტაბოლიზმის ზრდაში (Johnson M.H. De Haan M., 2011).

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება გამოვყოთ ენის ათვისებისა და განვითარების თეორიების ძირითადი შტრიხები:

- ✓ ლინგვისტური თეორია ორიენტირებულია ენის თანდაყოლილი შინაარსებისა და გრამატიკული წესებით მეტყველების აგების პროცესის აღწერაზე.
- ✓ ფსიქოლინგვისტური თეორია ორიენტირებულია მეტყველების საფუძვლად მდებარე ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური პროცესების კვლევაზე;
- ✓ სოციოლინგვისტური კვლევები ენის წესებსა და ფუნქციას აღწერენ სოციალურ და კულტურულ კონტექსტში.
- ✓ ბიჰევიორალური თეორია ენისა და მეტყველების ათვისებას აღწერს ქცევის, რეაქციების გაზრდისა და ჩაქრობის ტერმინებში;

§ 1.3 ენის კომპონენტების განვითარება

ენის კომპონენტების ათვისება არ ხდება ერთი და იმავე გეგმის მიხედვით. იმ წესების ათვისება რომელიც ენის სტრუქტურად ეხება და ასევე საბაზისო ლექსიკის

ათვისება ხდება გაცილებით უფრო ადრე და სწრაფად, თუმცა ლექსიკური მარაგის გამდიდრება მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს.

კროსლინგვისტური კვლევები, სადაც შედარებულია ენის ერთი ან რამდენიმე ასპექტი, მრავალფეროვან ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებ თუ რა ზეგავლენას ახდენს მეტყველების განვითარებაზე ბავშვთან კომუნიკაციაში მყოფი ადამიანების მიერ მიწოდებული ინფორმაცია. მოდით განვიხილოთ სხვადასხვა ენის შემსწავლელ ბავშვებში ენის ათვისების პროცესის კვლევის შედეგები:

ინგლისურ ენაში წინადადების აგება ხდება სიტყვათა კლასების (მაგ: არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი და ა.შ.) ფლექსიურ და წარმოებულ მორფემებთან გაერთიანებით, როგორცაა მაგ: დროის, მრავლობითი რიცხვისა და კუთვნილების აღმნიშვნელი მორფემები და აფიქსები. ასე წარმოიქმნება წინადადება: „დედა მწყურია შეიძლება კიდევ დავლიო ცოტა რძე?“. მნიშვნელობაში ცვლილებების შესატანად მორფემების გამოყენების სიხშირის დასადგენად რამდენიმე უცხო ენა შეადარეს ინგლისურს. ცნობილია, რომ ყველაზე ფლექსიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება თურქული, იტალიური და ფინური ენები. ეს ენები მორფემათა მთელ რიგს იყენებენ. ნაკლებად ფლექსიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება რუსული და სერბულ-ხორვატიული.

თურქულენოვანი ბავშვები არ მისდევენ სიტყვათა დაბოლოებების თანდათანობითი შესწავლის ამგვარ გზას. ისინი აფიქსებს ერთ ან რამდენიმე სიტყვიან კომბინაციებს ურთავენ და მორფოლოგიური ბრუნვის ნიშნებს 24 თვის ასაკისთვის ეუფლებიან. ჰინდისა და პოლონური ენების შემსწავლელი ბავშვები თურქულენოვანი ბავშვების მსგავსად სწავლობენ. თუმცა რუს, სერბ და ხორვატ ბავშვებს გრამატიკული მორფემების ათვისება უხანგრძლივდებათ 6-7 წლის ასაკამდე. ფინელი ბავშვები უღლებისა და ბრუნვის ნიშნების შესწავლამდე, გაცილებით ადრე წარმოთქვამენ მთელ რიგ სიტყვათშეთანხმებებს. კვლევათა ამ მონაცემებმა, ავტორები (Bates and Marchman, 1988, ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012). მიიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ მშობლიური ენის სპეციფიკურობა ზემოქმედებს ენის ათვისების საწყის ეტაპზე მყოფი ბავშვების მიერ გრამატიკის დასწავლის პროცესზე. მათი აზრით, ბავშვების მიერ მშობლიური ენის გრამატიკული მორფოლოგიის ათვისების, სულ ცოტა, სამის

გზა იკვეთება: 1) აფიქსების პროდუქტიული გამოყენება ბავშვობის ადრეული ასაკიდან; 2) მორფოლოგიური წესების გარეშე აგებული ხისტი წყობის ტელეგრაფიული ტიპის წინადადებები; 3) უაფიქსო სიტყვათა კომბინაციები, რომლებიც სხვადასხვა წყობის წინადადებებში გვხვდება. ამას გარდა, ბეიტსი და მარჩმანი ფიქრობენ, რომ ბავშვები მშობლიური ენის პერცეპტულად მნიშვნელოვან ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას. აქედან გამომდინარე, ინგლისურში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და თვალსაჩინოა სიტყვათა წყობა, თურქულ ენას ბრუნვისა და უღლების მწყობრი მკაფიო და სემანტიკურად გამჭვირვალე სისტემა აქვს, ხოლო რუსულს და სერბულ-ხორვატიულს- ძალზე არაწესიერი და პირობითი.

ინგლისური ენის ლინგვისტურ კვლევებში მიღებულ ლინგვისტურ უნივერსალიას წარმოადგენს შემდეგი დაკვირვება: ბავშვები პირველად წარმოთქმული მრავალსიტყვიანი კომბინაციებიდან ზმნებს ტოვებენ. ინგლისურში ზმნა, არსებით სახელთან შედარებით, ბოლოსართთა სიმრავლის გამო მორფოლოგიურად უფრო რთულია. თუმცა კვლევებმა გვიჩვენა რომ ბავშვები ყველა ენაში არ ტოვებენ ზმნას (McQueen, Bates 1978. ციტირებულია (Hulit, Howard, Fahey, 2012). იტალიურ ენაში ზმნათა აფიქსები საჭიროა წინადადების აზრის გასაგებად, ამიტომ იტალიელები (მოზრდილებიც კი) მეტყველებისას ზოგჯერ ქვემდებარეს ტოვებენ.

ინგლისური, იაპონური, ფრანგული და გერმანული ენების რუსულ ენასთან შედარებითი კვლევის მონაცემების თანახმად, ეს ენები ერთმანეთისგან განსხვავდება სიტყვების ათვისებისა და სიტყვების ერთმანეთისგან განსხვავების პატერნებით. კერძოდ, ინგლისურ, იაპონურ, გერმანულ და ფრანგულ ენებში სიტყვების ერთმანეთისგან განმასხვავებელი საკვანძო ელემენტია ფონოლოგიური მიმანიშნებლები და წინადადების წყობაში სიტყვის ადგილმდებარეობა, აღნიშნული მახასიათებელი არ არის ამდენად მნიშვნელოვანი რუსულენოვანი ბავშვებისთვის, სადაც წინადადების წყობა არ არის მკაცრად განსაზღვრული (Stoll S. Abbot-Smith K. Lieven E., 2009). სიტყვათა წყობისა და მნიშვნელობასთან დაკავშირებული მონაცემების გარდა, დივესქოვიმ და კოლეგებმა (Devescovi et.al 2005 ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012) შეისწავლეს გრამატიკისა და ლექსიკური მარაგის ურთიერთმიმართება ინგლისელ და იტალიელ ბავშვებში და აღმოჩინეს, რომ ლექსიკური მარაგის გამდიდრება აუცილებლად იწვევს გრამატიკის განვითარებას,

რადგან მათ შორის მჭირდრო კავშირი არსებობს. მათი რეპრეზენტაცია და წვდომა ერთად ხდება. ამასთან, ისიც დაადგინეს, რომ გრამატიკის განვითარებისა და ლექსიკური მარაგის ზრდის სიჩქარე და სირთულე ცვალებადობს მშობლიურ ენაზე მიღებული ლინგვისტური ინფორმაციის სიჩქარის მიხედვით. ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ბავშვებისთვის გრამატიკის გართულებას მოჰყვება ლექსიკური მარაგის გამდიდრება. 400 სიტყვის შესწავლის შემდეგ ბავშვი უფრო სწრაფად ითვისებს გრამატიკულ წესებს. იტალიურ ენაზე მოლაპარაკე ბავშვებში კი, ლექსიკისა და გრამატიკის შესწავლა თანაბრად მიმდინარეობს. მიღებული შედეგით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეტისმეტად ფლექსიურ ენებში გრამატიკის ათვისება უფრო ადრე იწყება.

ენის კომპონენტების ათვისების პროცესი შეიძლება განვიხილოთ ექსპლიციტური და რეცეპტული მეტყველების კონტექსტში. ზოგადად, მიიჩნევა რომ რეცეპტული მეტყველების განვითარება წინ უსწრებს ექსპლიციტური მეტყველების განვითარებას, სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ენის გაგება უფრო ადრე იწყება, ვიდრე ენის პროდუქცია. თუ ერთეული სიტყვების წარმოთქმას ბავშვი იწყებს 12-14 თვიდან, ამ სიტყვების შინაარსობრივი მნიშვნელობა მას გაცილებით უფრო ადრე ესმის. რეცეპტული მეტყველების განვითარების კურსზე მიანიშნებს ასევე 15 თვისა და 24 თვის ბავშვების საგნების მიმართ მზერის მიმართვის განსხვავებულობა, კერძოდ: 15 თვის ბავშვებს სჭირდებათ მთლიანი სიტყვის მოსმენა, იმისათვის რომ საგანი და სიტყვა ერთმანეთთან დააკავშირონ (მიმართონ მზერა დასახელებული საგნისკენ), მაშინ როცა 24 თვის ბავშვები მთლიანი სიტყვის ფონოლოგიური ანალიზის დასრულებამდე აკავშირებენ მოსმენილ სიტყვასა და საგანს ერთმანეთთან. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს რეცეპტული მეტყველების ავტომატიზირების პროცესის მიმდინარეობაზე.

ასევე ავტომატიზაციისა და დახვეწის პროცესი მიმდინარეობს ექსპრესიული მეტყველების შემთხვევაში. თავდაპირველად, ბავშვის არტიკულაცია გაურკვეველია და სიტყვების ფორმა შეცვლილი, თუმცა დროთა განმავლობაში, სიტყვების გამოთქმა იხვეწება და ემსგავსება მოზრდილების მეტყველებას (Lieven E. Max Planck M., 2006).

ახლა კი განვიხილოთ მორფო-სინტაქსის ათვისებისა და განვითარების თავისებურებები.

§ 1.3.1 ფონოლოგიის განვითარება

რეცეპტული ფონოლოგიის განვითარება

ექსპერიმენტული კვლევების შედეგების მიხედვით, 3-6 თვის ასაკის ბავშვებს აქვთ არა მხოლოდ მშობლიური ენისთვის დამახასიათებელი ფონემების აღქმის უნარი, არამედ უცხო ენისთვის დამახასიათებელი ფონემების აღქმის უნარიც. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე ეს უნარი გამოცდილებასთან ერთად, მხოლოდ მშობლიური ენის ფონემების აღქმის მიხედვით სპეციალიზირდება.

ასევე, 7 თვის ასაკის ბავშვებს უკვე აქვთ სიტყვათა მწყობრიდან ერთი სიტყვის იზოლირებულად აღქმის უნარი, 11-12 თვის ასაკში კი უკვე შეუძლიათ ბუნებრივი და გამოგონილი, ხელოვნური (თავისი ენისთვის უცხო) მარცვლების, ფონემების იდენტიფიცირება (Stoll S. Abbot-Smith K. Lieven E., 2009). მიიჩნევა, რომ ბავშვებსა და მოზრდილებს აქვთ ფონემების აღქმის ერთნაირი ბაზისური მექანიზმები. მოზრდილების მსგავსად, ბავშვებსაც ენის ათვისების ადრეულ ეტაპზე, შეუძლიათ არტიკულაციისა და სმენით მიღებული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება. რაც იმას გულისხმობს, რომ მათ შეუძლიათ მხედველობით და სმენით აღქმული ფონემების ერთმანეთთან დაკავშირება (Lust B.C., 2006). ამასთან ერთად, ითვლება, რომ ენისა და მეტყველების ათვისების საწყის სტადიაზე მყოფი ბავშვების ფონოლოგიური აღქმა არის ჰოლისტური. ფონემების, ბგერების აღქმა დამოკიდებულია სიტყვის მთლიანობით აღქმაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვები თითოეულ ფონემას აღიქვამენ იმის მიხედვით, თუ როგორი ჟღერადობა და მნიშვნელობა აქვს თითოეულ ფონემას კონკრეტულ სიტყვებში და მხოლოდ ამის შემდეგ იღებენ ფონემის ჟღერადობისა და მნიშვნელობის ზოგად რეპრეზენტაციას (VihmanRory M.M. . DePaolis A. Tamar Keren-Portnoy T., 2009).

ექსპრესიული ფონოლოგიის განვითარება:

ბავშვის სიცოცხლის პირველი წლის ბოლოსა და მეორე წლის დასაწყისში ნამდვილი მეტყველება და ტიტინი თანაარსებობენ. ტიტინიდან ნამდვილ ლაპარაკზე გადასვლის ეტაპზე, ბავშვი იწყებს ე.წ. პროტოსიტყვების იგივე ვოკაბულების წარმოთქმას. პროტო-სიტყვა არის ისეთი სიტყვა, რომელიც მუდმივად გამოიყენება

თვალსაჩინო, გამიზნული კომუნიკაციისთვის. მას აქვს ფონემატური და სემანტიკური თანმიმდევრობა, მაგრამ ის არ არის მოზრდილების მეტყველებისთვის დამახასიათებელი სიტყვა. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, პროტოსიტყვების ეტაპზე, ბავშვმა შეიძლება ერთიდაიგივე ბგერათა კომპლექსი მუდმივად გამოიყენოს ერთიდაიმავე საგნის აღსანიშნად.

ერთი წლის ასაკის ბავშვთან ერთად გვხვდება ტიტინი, პროტოსიტყვები და პირველი სიტყვების კომბინაცია. პირველი სიტყვები იმით განსხვავდება უფრო ადრეული ფორმებისგან, რომ მათი საშუალებით ბავშვი სიტყვების მნიშვნელობას გადმოგვცემს მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად და კონკრეტულად. (Hulit, Howard, Fahey, 2012). მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ბავშვის პირველი სიტყვების ათვისების ერთერთი კრიტიკული ფაქტორია თავად ამ სიტყვის ფონოლოგიური მახასიათებლები. რაც იმას გულისხმობს, რომ ბავშვი ირჩევს იმ სიტყვებს, რომლებიც მის სამეტყველო ბგერათა სისტემაში შემავალ ფონოლოგიურ სემენტებს შეიცავს და მოერიდება ისეთი ფონოლოგიური ინფორმაციის შემცველ სიტყვებს, რომლებსაც ის არ ფლობს. ამდენად, ბავშვები პირველ სიტყვებს ირჩევენ მათი ფონოლოგიური სისტემის შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

პირველი სიტყვების წარმოქმნისას, 1 წლის ასაკში, ბავშვები იწყებენ რამდენიმე სამეტყველო ბგერის სხვადასხვა კომბინაციით გამოყენებას. ამ ასაკში გვხვდება 5 სხვადასხვა ხმოვნისა და 3 სხვადასხვა თანხმოვნის გამოყენების შემთხვევები. 18-24 თვის ასაკში კი, როდესაც იწყება 2 სიტყვიანი წინადადებები, გამოყენებული თანხმოვნების რაოდენობა 11მდე იზრდება. (Dyson, 1988; Preisser, Hodson, & Paden, 1988 ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012).

კროსკულტურული კვლევები აჩვენებენ, რომ ბავშვების პირველი სიტყვების ბგერების ათვისების თანმიმდევრობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათი მშობლიური ენის თავისებურებებზე. კერძოდ: ბავშვები ყველაზე ადრე იწყებენ ისეთი თანხმოვნებისა და ხმოვნების ათვისებას, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება მათი მშობლიური ენისთვის დამახასიათებელ პირველ სიტყვებში. მაგალითად, შევადაროთ ქართულ ენაზე მოლაპარაკე და ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ბავშვების პირველი სიტყვები. ქართულ ენოვანი ბავშვების უმრავლესობის პირველი სიტყვებია „დედა,

მამა, ბაბუ“, შესაბამისად მათი პირველი ბგერები იქნება „ა, ე, დ, მ, ბ,უ“, ხოლო ინგლისურ ენოვანი ბავშვების პირველი სიტყვებია „papa, wawa, no“ აქედან გამომდინარე, მათი პირველი ბგერები იქნება განსხვავებული. (Bernshtein Tiegermanfarber, 2009)

აღსანიშნავია, რომ 6 თვემდე, ფონოლოგიური აღქმის უნივერსალურობის გავლენით, კროს-კულტურულად ბავშვების ტიტინი შეიძლება იყოს ერთმანეთის მსგავსი, მაგრამ 6 თვის შემდეგ ბავშვის ტიტინისას წარმოთქმულ ბგერებში მკაფიოდ ჩანს მშობლიური ენის სპეციფიკური ფონემების სიჭარბე (Lust B.C., 2006).

ფონოლოგიური განვითარების პერიოდში, ცალკეული ბგერების არტიკულაციის ჯერ კიდევ არასრულყოფილი უნარის გამო, ბავშვებს ახასიათებთ სიტყვებში ფონემების ცვლილება. ეს ცვლილებებია მოიცავს სუსტი მარცვლის ამოვარდნას, გამარტივებას, უცხო ბგერების ნაცნობი ბგერებით ჩანაცვლებას (Bernshtein Tiegermanfarber, 2009).

რაც შეეხება სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფონოლოგიის განვითარების თავისებურებას, შეიძლება ვისაუბროთ 2 ბაზისურ პროცესზე, რომელიც დამახასიათებელია ყველა ახალამეტყველებული ბავშვისთვის. ესენია:

- ✓ **მთლიანი სიტყვის გადამუშავების პროცესი:** გულისხმობს სიტყვის წარმოთქმისას სიტყვის შემადგენელი ფონემების გამარტივებას, მარცვლების გამარტივებას, ფონემების ხმოვანების კონტრასტული ცვლილებას; ამ პროცესის მიმდინარეობის საფუძველზე, ბავშვებს ახასიათებთ ახალათვისებული სიტყვების ფონემების ცვლილება, სიტყვებში ფონემების დამატება ან რთული, უცხო ფონემების შეკვეცა;
- ✓ **სეგმენტის ცვლილების პროცესი,** რაც გულისხმობს ფონემის ხმოვანების ცვლილებას. ეს პროცესი უფრო მეტად ფონეტიკურია, რადგან ბავშვები უშვებენ ფონემის არტიკულაციის, ფონემების ჟღერადობის ცვლილების შეცდომებს. ეს შეიძლება გამოვლინდეს სიტყვაში კბილისმიერი ფონემების ენისმიერი ფონემებით ჩანაცვლებით და ა.შ. (Bernshtein, Tiegermanfarber 2009).

ზემოთ განხილული შეცდომები თან ახლავს ენისა და მეტყველების ათვისების პროცესს და მათი დაძლევის ასაკი განსხვავდება ფონემების სირთულის მიხედვით. ქართულ ენაში, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ენისმიერი ბგერების/ფონემების წარმოთქმა ყალიბდება გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ხორხისმიერი ბგერების/ფონემების წარმოთქმა.

ფონოლოგიის განვითარების საბოლოო პროდუქტი არის ფონოლოგიური რეპრეზენტაცია, რომლის ჩამოყალიბებასაც განაპირობებს ფონოლოგიური ცნობიერება. ეს არის სიტყვის ფონოლოგიური შემადგენლობის, ბგერების ფონეტიკური ურთიერთგანსხვავებებისა და ასო-ბგერების შესაბამისობის ცოდნა, რომელიც ბავშვს საშუალებას აძლევს სიტყვა დაშალოს მარცვლებად, მარცვლები დაშალოს ბგერებად და პირიქით, წარმოდგენილი ბგერების შეერთებით მიიღოს სიტყვა და მარცვლები (Justice And Scheule, 2004, ციტირებულია Bernshtein, Tiegerman-farber 2009). ფონოლოგიური რეპრეზენტაცია არის ბავშვის მიერ სიტყვების შემადგენელი ბგერების, ფონემების შესახებ აბსტრაქტული ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ბავშვის მიერ ახალი სიტყვების ათვისება გამოიწვევს ბავშვის ფონოლოგიური რეპრეზენტაციების გამდიდრებას, გამრავალფეროვნებას.

უოთერსონის მიხედვით (Waterson 1971, ციტირებულია Paula M. Rhyner, 2009) ბავშვის ფონოლოგიური ცნობიერება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბავშვის ლექსიკური მარაგის განვითარებაზე. მეტიც, მათ შორის რეციპროკული ურთიერთობაა. ერთი მხრივ, ახალი სიტყვების ათვისებას მოსდევს ახალი ფონემების, ბგერების დასწავლა და მეორე მხრივ, ფონემების, როგორც უმცირესი მნიშვნელობა განმასხვავებელი ერთეულების ამოცნობის უნარი იხვეწება იმ ახალი სიტყვების ათვისებით, რომლებიც მსგავსი ფონემებისგან შედგებიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ბავშვი ისწავლის განსხვავებას ფონემებს „ქ“ და „კ“ შორის, ის ისწავლის განსხვავებას ისეთ სიტყვებს შორის, როგორცაა „ქარი“ და „კარი“ (Rhyner P.M., 2009).

§ 1.3.2. სემანტიკის, ლექსიკონის განვითარება

ბავშვების მიერ სემანტიკური კატეგორიების ათვისების ახსნის, არაერთი მცდელობა ყოფილა. მათ შორის ყველაზე პოპულარულია პროტოტიპების თეორია. პროტოტიპების თეორიის მიხედვით, საგნებისა და მათი სახელების სწავლის პროცესში, ბავშვი აკვირდება და იმახსოვრებს საგნების ვიზუალურ მახასიათებლებს, განაზოგადებს მას სხვადასხვა საგანზე და ამგვარად იღებს, კონკრეტული საგნის ან მოვლენის პროტოტიპს. მაგალითად: ფრინველების პროტოტიპის ჩამოყალიბება მერცხლებსა და ბელურებზე დაყრდნობით, ასე სწავლობს რომ ვიზუალურად მსგავსი საგნები ერთიანდებიან ერთ კატეგორიაში. ამით შეიძლება აიხნას ბავშვებში საკმაოდ გავრცელებული თვითმფრინავისა და ჩიტის სახელდების შეცდომა. სხვაგვარად, ბავშვი ირჩევს ერთი კატეგორიის რეფერენტს, ყველაზე ტიპურ ელემენტს დამოცემული კატეგორიის წევრების დასადგენად, მსგავს საგნებს ადარებს ამ ერთ პროტოტიპს (Dockrell J. Messer D., 1999).

პირველი სიტყვების ათვისების ეტაპი

ბავშვი პირველი სიტყვებით აღნიშნავს მის სამყაროში არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან საგნებს (Hulit, Howard, Fahey, 2012). ინგლისური და ესპანურენოვანი ბავშვების პირველი სიტყვების ლექსიკონის კვლევის შედეგების თანახმად, ბავშვების პირველი სიტყვები ძირითადად შეადგენს საკვების, სხეულის ნაწილების, სათამაშოებისა და ცხოველების კატეგორიის სიტყვებს (Owens R.E. Jr, 2012).

პატარა იწყებს მისთვის საინტერესო ადამიანების, საგნებისა და მოქმედებების სახელდებას. ბავშვი ასევე იყენებს სოციალური მისაღმება/დამშვიდობების ფრაზებს, ან მოითხოვს მარტივი მოქმედებების შესრულებას. როგორც უკვე აღვნიშნე, ბავშვის პირველ სიტყვებში ხშირია ფონემატური შეცდომები. სიტყვების ფონემატური სქემა ძალიან მარტივია და მოიცავს ხმოვნებისა და თანხმოვნების მარტივ შეთანხმებებს. ტიპური შეთანხმებებია თანხმოვანი+ხმოვანი („კი“), ხმოვანი+თანხმოვანი (არ), თანხმოვანი+ხმოვანი+თანხმოვანი+ხმოვანი („დედა“, მამა“). ბავშვები ერთსიტყვიან ეტაპზე მხოლოდ რამდენიმე თანხმოვანსა და ხმოვანს იყენებენ. ბგერების რაოდენობდა და მათი თანმიმდევრობა, ასაკთან ერთად რთულდება. ბავშვების

პირველი სიტყვები, უმეტესწილად, მოიცავს არსებითი სახელებისა და ზმნის კატეგორიას (Nelson, Hampson, Shaw, 1993 ციტირებულია (Bernshtein, Tiegerman-farber , 2009).

ახალი სიტყვების ათვისებას დრო სჭირდება, რის გამოც ბავშვები ერთსა და იმავე სიტყვას განსხვავებულ მნიშვნელობებს ანიჭებენ. ამ ფენომენს ეწოდება სიტყვის შინაარსის ზეგენერალიზაცია. ამასთანავე დამახასიათებელია სიტყვის შინაარსის შევიწროება-ერთი სიტყვის ქვეშ მხოლოდ ერთი კონკრეტული საგანის ან მოვლენის მოაზრება.

სიტყვის შინაარსის ზეგენერალიზებას ვხვდებით ენის ათვისების 3 წლამდე პერიოდში. ამ ფენომენის მიზეზად მიიჩნევა ის ფაქტი, რომ ბავშვს ჯერ კიდევ არ აქვს ათვისებული საგნის დასახელება და ეძებს ამ საგნისთვის ყველაზე მეტად ზუსტ, სამიზნე სიტყვას (Bernshtein, Tiegerman-farber 2009).

სიტყვის ზეგენერალიზაცია ან შევიწროება შეიძლება იყოს კატეგორიაულად სპეციფიკური, ვიზუალურად ან/და ფონოლოგიურად სპეციფიკური. კერძოდ: კატეგორიაულად სპეციფიკური ზეგენერალიზაცია გულისხმობს ფაქტს, როდესაც ბავშვი ერთი საგნის სახელს განაზოგადებს ამ საგნის მთელ კატეგორიაზე. მაგ: კატას უწოდებს ყველა ცხოველს. ვიზუალურად სპეციფიკური ზეგენერალიზაცია გულისხმობს გარეგნულად მსგავსი საგნების სახელების ჩანაცვლებას, როგორცაა ჩიტისა და თვითმფრინავის სახელების გავრცელებული შეცდომა; ხოლო ფონოლოგიური სპეციფიკურობა გულისხმობს ფონემურად მსგავსი სიტყვების აღმნიშვნელი საგნების ერთი და იმავე სიტყვებით მოხსენიება, ამის მაგალითი შეიძლება იყოს სიტყვების „ქარი“ და „კარი“ ურთიერთჩანაცვლება (Owens R.E. Jr.,2012).

ბლუმის მიხედვით (Bloom 1970 ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012) ადრეული ორსიტყვიანი წინადადებების ეტაპზე ბავშვი სიტყვებს ალაგებს კონტექსტის მიხედვით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმის მიხედვით, თუ ვის და სად ელაპარაკება ბავშვი, მის ერთი და იმავე ორსიტყვიან გამონათქვამს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მნიშვნელობა. ბლუმის მოსაზრებით, შეუძლებელია გავიგოთ როგორ იყენებს ბავშვი ენას, რა იცის ბავშვმა ენის შესახებ ან რის თქმას ცდილობს ბავშვი ენის

გამოყენებით, თუ არ გავითვალისწინებთ კომუნიკაციის კონტექსტს. ბრაუნი (Brown 1973) ციტირებულია Hult, Howard, Fahey, 2012) აღნიშნულ პროცესს უწოდებს ფართო ინტერპრეტაციას.

ბლუმი(Bloom And Lahey, (1978) ციტირებულია Hult, Howard, Fahey, 2012) გამოყოფს ორსიტყვიანი წინადადებების აგების სემანტიკურ-სინტაქსურ წესებს. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ბავშვების ექსპერიმენტული კვლევის შედეგად, ბლუმი ამტკიცებს, რომ 20-25 თვის ასაკის ბავშვების ორსიტყვიანი წინადადებები მოიცავს შემდეგ სემანტიკურ კავშირებს:

- 1) ჩვენება(ეს/ის)+საგანი; მაგ: ეს ბურთი
- 2) საგანი+თვისება; კიტი მშვენიერი
- 3) მფლობელი+საკუთრება; ჩემი თოჯინა
- 4) ობიექტი+ადგილმდებარეობა; თოჯინა სკამი
- 5) მოქმედება+ადგილმდებარეობა; დადე მაგიდა(ობიექტი მაგიდაზე იდება)
- 6) მოქმედი პირი+ ობიექტი; ბავშვი ფეხსაცმელი
- 7) მოქმედი პირი+მოქმედება; ძალი დაჯდა
- 8) მოქმედება +ობიექტი; დალევა წვენი;

ნეგატიური სემანტიკური კავშირების გამოხატვისთვის, ბავშვები ყველაზე ხშირად იყენებენ არარსებობის/გაუჩინარების ფორმებს, ვიდრე უარყოფის. უარყოფა საკმაოდ რთულ კოგნიტურ და პერცეპტულ მანიპულაციებს მოითხოვს. მაგ: ბავშვი იძულებულია შეადაროს მომვლელის მიერ აღწერილი საგანი ან მოვლენა საკუთარ აღქმაში არსებულ ინფორმაციას და გაიაზროს ეს საგანი ან მოვლენა რათა გადაწყვიტოს რამდენად სწორია მომვლელის კითხვა ან შენიშვნა. მაგ: როდესაც მომვლელი შინაურ ძაღლზე მიანიშნებს და კითხულობს :“ ეს კიტია?“ ბავშვს უწევს შეადაროს დანახული კიტი და კიტის შესახებ არსებული ცოდნა. თუ კითხვასა და ბავშვის ცოდნას შორის არსებული შეუსაბამობაა, პატარა უარყოფს და ამბობს :“კიტი არა!“.

მიიჩნევა, რომ ბავშვის პირველი სიტყვები კლასიფიცირდება მისი ფუნქციების მიხედვით. ჰოლიდეი (Holiday, 1999, ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012) გამოყოფს 9დან 16 თვემდე ბავშვების სიტყვების საკომუნიკაციო ფუნქციებს:

- ✓ ურთიერთობის ფუნქცია-ენის გამოყენება სხვებთან კონტაქტის შენარჩუნებისთვის;
- ✓ მარეგულირებელი ფუნქცია-ენის გამოყენება სხვათა ქცევის გასაკონტროლებლად;
- ✓ პიროვნული ფუნქცია-ენის გამოყენება ემოციების ან ინტერესების გამოხატვისთვის;
- ✓ ევრისტული ფუნქცია-ენის გამოყენება ძიებისა და საგნების კატეგორიებად დაყოფისთვის;
- ✓ ინსტრუმენტული- ენის გამოყენება მოთხოვნილებებისა და სურვილების დასაკმაყოფილებლად;
- ✓ წარმოსახვითი ფუნქცია- ენის გამოყენება თამაშის გასახმოვანებლად;
- ✓ ინფორმაციული ფუნქცია- ენის გამოყენება სხვებისთვის ცოდნის გასაზიარებლად;

ჰოლიდეის პარალელურად, დორე (Dore, 1974, 1975) ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012) იკვლევდა ბავშვების პირველი სიტყვების საკომუნიკაციო ფუნქციას. დორე 12და 18 თვემდე ასაკის ბავშვების პირველი სიტყვების ეტაპს უწოდებს პრიმიტიული მეტყველების აქტებს. დორემ აღმოაჩინა, რომ ბავშვები კომუნიკაციის ამგვარი უნარების გამოყენებით ახერხებენ საგნის ან პიროვნების სახელდებას, პასუხობენ კითხვებს, მოითხოვენ მოქმედებას ან პასუხს, მიმართავენ პიროვნებას ან საგანს, ესაღმებინან, აპროტესტებენ, უარყოფენ, იმეორებენ ან უბრალოდ სიტყვების გამოთქმაში ვარჯიშობენ.

ნელსონი (Nelson 1973, ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012) ადრეულ ლექსიკონს ჰყოფს 5 გრამატიკულ კატეგორიად:

- ✓ კონკრეტული ნომინალები-აღნიშნავს მხოლოდ ერთ საგანს
- ✓ ზოგადი ნომინალები-აღნიშნავს საგანთა კატეგორიის ყველა წევრს;
- ✓ მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები-აღნიშნავს ან ითხოვს მოქმედებას;

- ✓ მოდიფიკატორები-განსაზღვრავს საგნების ან მოვლენების ხარისხს ან თვისებებს;
- ✓ პიროვნულ სოციალური-გამოხატავს ემოციებს და კავშირებს;
- ✓ ფუნქციონალური-ასრულებს გრამატიკულ ფუნქციას;

ენის ათვისების საწყის ეტაპზე ყველაზე ხშირად გვხვდება ზოგადი ნომინალების კატეგორიის სიტყვები, შემდეგ ვითარდება მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები, მოდიფიკატორები, რომელსაც მოსდევს პიროვნულ-სოციალური სიტყვების განვითარება, ხოლო ყველაზე ბოლოს ჩნდება ფუნქციონალური კატეგორიის სიტყვები.

აღნიშნული კლასიფიკაცია შეესაბამება ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ბავშვების ენის ათვისების ტენდენციას. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სხვა ენაზე მოლაპარაკე ბავშვების ლექსიკური კატეგორიების ათვისება შესაძლოა, ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა თანმიმდევრობით მიმდინარეობდეს, რაზეც უკვე ვისაუბრეთ.

სემანტიკის განვითარება ენისა და მეტყველების ათვისების მეორე ეტაპზე

სიტყვების ერთმანეთთან შეთანხმების შემდეგ, ბავშვის ლექსიკონი სწრაფად მდიდრდება. კეირის თანახმად (Carey, 1978), 18 თვიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვების ლექსიკონი დღეში დაახლოებით 9 სიტყვით მდიდრდება, ხოლო 6 წლის ბავშვის ლექსიკონი დაახლოებით 14 000 სიტყვისგან შედგება (WHITAKER H.A., 2010). 10 თვის ბავშვის რეცეპტული ლექსიკონი მოიცავს 40 სიტყვას, 18 თვის ბავშვს ესმის 250ზე მეტი სიტყვის მნიშვნელობას. 24 თვის ასაკში დაახლოებით 300 სიტყვის მნიშვნელობა იცის, ხოლო სკოლის ასაკში ეს რიცხვი 60 000 სიტყვას აღწევს. (Fernald A. and Marchman V.A., 2006)

რიგი კვლევების მიხედვით, 12 თვის ბავშვის ექსპრესიული მეტყველების ლექსიკონი შეადგენს ერთ ან მეტ სიტყვას, 15 თვის ასაკისთვის სიტყვათა მარაგი იზრდება 4დან 6მდე, 18-24 თვე არის სახელდების აფეთქების პერიოდი, როდესაც დრამატულად იზრდება ბავშვის ლექსიკური მარაგი, შედეგად 18 თვის ასაკში ბავშვს უკვე შეუძლია წარმოთქვას 20მდე სიტყვა, 24 თვის ასაკის ბავშვის ექსპრესიულ ლექსიკონში დაახლოებით 200-300 სიტყვაა, 2,5 წლის ასაკის ბავშვის ლექსიკონი

400მდე სიტყვას მოიცავს, 3 წლის ასაკის ბავშვის ლექსიკონი შედგება 900-1000 გამონათქვამისგან, 4 წლის ასაკში ეს რიცხვი 1500 სიტყვას, ხოლო 5 წლის ასაკში 2000 სიტყვას აღწევს (Owens, Metz & Haas, 2000, 2012) ციტირებულია (Bernshtein, Tiegermanfarber 2009).

ენის ათვისების მეორე ეტაპზე სიტყვების მარაგის სწრაფი შევსება ენის თითქმის ყველა კომპონენტზე აისახება. ისევე, როგორც პირველ ეტაპზე, მეორე ეტაპზეც ბავშვი ლაპარაკობს ადამიანების, ნივთების, მოქმედებების და მოვლენების შესახებ, ხოლო მრავალსიტყვიან გამონათქვამებში ვლინდება სხვადასხვა ცნების ცოდნა, ამავე დროს, მეორე ეტაპზე გვხვდება შედარებით გრძელი და დახვეწილი წინადადებები, ისევე როგორც თანდათანობით იხვეწება აზრის გადმოცემის უნარიც. ენისა და მეტყველების განვითარებასთან ერთად, ბავშვის ლექსიკურ მარაგში არსებითი სახელებისა და ზმნების პროპორცია იცვლება. თავდაპირველად ბავშვის მეტყველებაში დომინირებს არსებითი სახელები, ბავშვი ლაპარაკობს ტელეგრაფიული სტილით და მხოლოდ 1 არსებითი სახელის დასახელებით ცდილობს გადმოსცეს მთელი წინადადების აზრი. ხოლო 2 წლის შემდეგ, მორფოსინტაქსის განვითარებასთან ერთად, ბავშვის მეტყველებაში შემოდის ზმნები. ეს არის ორსიტყვიანი წინადადებების პერიოდი, როდესაც წინადადების ორი წევრი ერთმანეთთან გრამატიკულად შეუთავსებელია (Owens R.E. Jr., 2012). კვლევათა ნაწილი ამტკიცებს, რომ მეორე ეტაპზე ბავშვებს შეუძლიათ საკუთარი ემოციების სახელდება (Bretheron, Fritz, Zahn-Waxler, & Ridgeway, 1986).

მიიჩნევა, რომ 30 თვის ასაკში ბავშვების მიერ ისეთი სიტყვების გამოყენება როგორცაა „იმიტომ“, ასახავს ბავშვების მიერ მიზეზშედეგობრივი კავშირების გაგების უნარის განვითარებას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ბავშვის ორ, სამ ან ოთხ სიტყვიანი წინადადება იყოს გრამატიკულად გაუმართავი, მაგრამ ასახავდეს მიზეზშედეგობრივ კავშირს (Hulit, Howard, Fahey, 2012).

კვლევათა ნაწილი ხაზს უსვამს, ადრეული ლექსიკონის განვითარების პროცესში ბავშვების შემოქმედებით უნარს. ბავშვებს შეუძლიათ არარსებული სიტყვების შექმნა და მათი გამოყენება აზრის გადმოსაცემად. არსებითი სახელიდან ზმნების წარმოება, მაგალითად: ქართველი ბავშვებისთვის დამახასიათებელია შემდეგი სიტყვები: „უმოხარშული. უმშიერო, უდაშლილო, არ არსებობს-რსებობს“.

ფსიქოლოგთა უმრავლესობის, მათ შორის ლ. ვიგოტსკის, მოსაზრებით ბავშვები, ახალი სიტყვის მნიშვნელობის დასწავლის დროს ეყრდნობიან საგნის გარეგნულ მახასიათებლებს, სიტყვების მნიშვნელობების განმარტებისას კი აღწერენ საგნების პერცეპტულ თვისებებს. მხოლოდ ამ ეტაპის შემდეგ გადადიან კატეგორიალურ აზროვნებაზე. პიაჟეს თეორიაც ეთანხმება სემანტიკური განვითარების ამგვარ ტენდენციას. მაგრამ, გელმანისა და კოლეგების (Gelman et all, 1987, 1989, 1990). ციტირებულია Lust B.C., 2006) 4 წლიანი კვლევის შედეგები აბსოლუტურად საწინააღმდეგო ტენდენციას ამტკიცებენ. კერძოდ, 2,5 წლისა და 3 წლის ბავშვები საგნების მნიშვნელობების განმარტებისა და ახალი სიტყვების ათვისების პროცესში, ეყრდნობიან არა იმდენად საგნების ზედაპირულ, პერცეპტულ მახასიათებლებს, არამედ საგნებისა და მოვლენების ფუნქციურ მნიშვნელობებსა და კატეგორიალურ მიკუთვნებულობას (Lust B.C., 2006).

ინგლისურენოვანი ბავშვების მეტყველების განვითარების კვლევების მიხედვით, შეიძლება ჩამოვყალიბოთ სივრცისა და დროის მიმართების აღმნიშვნელი სიტყვების განვითარების განვითარების თანმიმდევრობა:

- ✓ ადგილის განმსაზღვრელი თანდებულები-„ში“/“ზე“ -24 თვე;
- ✓ ადგილის განმსაზღვრელი თანდებულები- „ქვეშ“-36 თვე;
- ✓ ადგილის განმსაზღვრელი თანდებულებ- „უკან, წინ, გვერდით, ქვევით, ზევით“-48 თვე;
- ✓ დროის განმსაზღვრელი თანდებულები -„მდე, შემდეგ“- 60 თვე;
- ✓ დროის განმსაზღვრელი ფრაზები-„ხვალ, ზეგ, შემდეგ კვირაში“- 60 თვის შემდეგ და სკოლის ასაკში
- ✓ ადგილის განმსაზღვრელი სიტყვები-„მარჯვნივ მარცხნივ“- 60 თვის შემდეგ და სკოლის ასაკში; (Owens R.E. , Jr., 2012).

ზემოთ განხილული განვითარების ტენდენცია არის ზოგადი, მაგრამ ბავშვები გამოირჩევიან ლექსიკური განვითარების ინდიდუალური განსხვავებებით. თუ ბავშვების ნაწილი 8-10 თვის ასაკში ავლენს ვერბალური ინსტრუქციების გაგების უნარს, სხვა ბავშვებთან შეიძლება ეს რამდენიმე თვით გადავადდეს. ასევე პირველი სიტყვების წარმოთქმა შეიძლება გადავადდეს 14-15 თვის ასაკამდე, 18-22 თვის ასაკში

კი ზოგადი ტენდენციური 200მდე სიტყვის ნაცვლად 50-75 სიტყვის წარმოთმით შემოიფარგლებოდეს. ამ განსხვავებულობის მიზეზი შეიძლება მრავალი ფაქტორი გახდეს: დაბადების რიგი (სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, პირველი ბავშვი უფრო ადრე ითვისებს სიტყვებს, ვიდრე მომდევნოები), სქესი (გოგონები უფრო ადრე იწყებენ ლაპარაკს, ვიდრე ბიჭები) საცხოვრებელი გარემო (კვლევის თანახმად, ინგლისურ, იტალიურ და ესპანურენოვან ბავშვებში განსხვავება არის ურბანულ და სოფლის გარემოში გაზრდის მიხედვით), ბავშვის მეტყველებით სტიმულირება, რაც გულისხმობს რამდენად ბევრი და სწორად წარმოთქმული სიტყვა და წინადადება ესმის ბავშვს (Fernald A. and Virginia A. Marchman V.A., 2006).

§ 1.3.3. მორფოლოგიისა და სინტაქსის განვითარება

მორფოლოგიისა და სინტაქსის განვითარება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია, რაც გულისხმობს წინადადებისა და მისი შემადგენელი წევრების გრამატიკულად მისაღები ფორმით ორგანიზებასა და აგებას. სწორედ ამიტომ, მორფო-სინტაქსის ათვისებას ხშირად მოიხსენებენ, როგორც გრამატიკის დასწავლას (Dockrell J. and David Messer D., 1999).

მორფოსინტაქსის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოდელია ადრეული სინტაქსური განვითარების ეტაპობრივი მოდელი, რომელიც როჯერ ბრაუნს ეკუთვნის (Brown, 1973, ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012). ამ თეორიულ მოდელში ბრაუნი განიხილავს მორფოლოგიის განვითარებისთვის ისეთ მნიშვნელოვან ფენომენს, როგორცაა გამონათქვამის საშუალო სიგრძე (MLU) და მასთან აკავშირებს მორფო-სინტაქსის ათვისების რთულ პროცესს.

აღნიშნული მოდელის მიხედვით, ენის ათვისების საწყის ეტაპზე სინტაქსური განვითარება გაივლის შემდეგ ეტაპებს:

- ✓ სემანტიკური ფუნქციებისა და გრამატიკული კავშირების ეტაპი-12-26 თვე, სადაც გამონათქვამის საშუალო სიგრძე (MLU) 1.0-2.00
- ✓ გრამატიკული მორფემებისა და მნიშვნელობების მოდულაციის ეტაპი-27-30 თვე გამონათქვამის საშუალო სიგრძე (MLU) 2.0-2.50

- ✓ მარტივი წინადადებების მოდალობების ეტაპი- 31-34 თვე გამონათქვამის საშუალო სიგრძე (MLU) 2.5-3.00
- ✓ ერთი წინადადების მეორეში ჩართვის ეტაპი-35-40 თვე გამონათქვამის საშუალო სიგრძე (MLU) 3.0-3.75
- ✓ მარტივი წინადადებების შეთანხმება და პროპოზიციური კავშირები 41-46 თვე გამონათქვამის საშუალო სიგრძე (MLU) 3.75-4.50

ბრაუნი ინგლისური ენის გრამატიკის ათვისების შესწავლის პროცესს გამონათქვამებში მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულების საშუალო რაოდენობის გამოთვლით დააკვირდა. როგორც ენის კომპონენტების განხილვის ქვეთავში აღვნიშნე, თითოეულ ასეთ მნიშვნელობის მქონე ენობრივ ერთეულს მორფემა ეწოდება. ბრაუნმა გამოთვალა გამონათქვამის საშუალო სიგრძე, რაც გულისხმობს ბავშვის მიერ გამონათქვამში წარმოთქმული მორფემების საშუალო რაოდენობას. ეს პროცესულურად ასე გამოიყურება: უნდა დაითვალოს თითოეულ გამონათქვამში მორფემების რაოდენობა, დაემატოს მორფემების ჯამურ რაოდენობას და გაიყოს ნიმუშში გამოყენებული გამონათქვამების რაოდენობაზე. მაგალითად, თუ ბავშვი სულ 100 გამონათქვამში 310 მორფემას იყენებს, გამონათქვამის საშუალო სიგრძე არის 3,1.

ადრეული ეტაპი 1 (MLU 1დან 1,5 მდე ასაკი 12-22 თვემდე)

გრამატიკული განვითარების ადრეულ ეტაპზე ბავშვი ხშირად იყენებს ერთსიტყვიან გამონათქვამებს ან ერთ ჯერზე მხოლოდ ერთ მორფემას წარმოთქვამს. ამ ეტაპზე სიტყვებს კიდურა მორფემები არ ემატება. როდესაც ბავშვი მარცვლების რაოდენობას გამოთქვამს სახეზეა ტიტინი და ჟარგონი. პატარა ზოგჯერ ერთ სიტყვას რამდენჯერმე იმეორებს, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ერთსიტყვიანი გამონათქვამების თანმიმდევრობაა და მეტი არაფერი.

გვიანი ეტაპი 1: სინტაქსური განვითარება სიტყვებიდან სიტყვათშეთანხმებაზე გადასვლა (MLU 1,5დან 2,დე ასაკი 22 თვიდან 26 თვემდე)

ბავშვი ორი სიტყვის შეთანხმებას 18დან 24 თვის ასაკამდე იწყებს. სიტყვების შეთანხმება გახლავთ ენის სტრუქტურის, სინტაქსის საფუძველი. ბავშვი თანდათან აღმოაჩენს სიტყვების შეთანხმების წესებს, იყენებს და გადმოსცემს უფრო

მრავლისმომცველ აზრს, ვიდრე ცალკეული სიტყვების მეშვეობით შეძლებდა. სწორედ ასე იქმნება წინადადება. ნებისმიერი წინადადების შინაარსი წარმოადგენს სიტყვების სემანტიკური და გრამატიკული კავშირების და მათი თანმიმდევრობის შედეგად მიღებულ ერთიანობას. ბავშვის ორსიტყვიანი გამონათქვამები წინადადების შინაარსის გართულების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ეს არის სინტაქსის და სიტყვათა შეთანხმების დახმარებით წინადადების შინაარსის მნიშვნელოვნად განვრცობის საფუძველი. მწირი ლექსიკონითა და მხოლოდ ორი სიტყვის შეთანხმებით პატარა ახერხებს დეკლარაციული განცხადების გაკეთებას („მამა წადი“) და უარის თქმას („არა ძილი“). პირველი ეტაპის დასაწყისში ბავშვი კითხვებს ერთსიტყვიან გამონათქვამებზე აღმავალი ინტონაციით სვამს („ძალი?“) ან წარმოთქვამს ერთსიტყვიან გამონათქვამებს („სად?“) , ხოლო პირველი ეტაპის ბოლოს, სიტყვებს ერთმანეთთან ათანხმებს და წარმოთქვამს მარტივ კითხვით წინადადებას. („სად მიდიხარ?“). ამგვარი წინადადებების სტრუქტურა ძალიან მარტივია, მაგრამ რეალური სინტაქსის ჩანასახად გვევლინება.

სემანტიკური განვითარების პერიოდში გამოვლენილი ზეგენერალიზაციის შეცდომა, ასევე დამახასიათებელია მორფოლოგიის განვითარებისთვისაც. ენისა და მეტყველების ათვისების საწყის ეტაპზე მყოფი ბავშვებისთვის დამახასიათებელია დასწავლილი, ზოგადი გრამატიკული წესების მიხედვით სიტყვათა უმრავლესობის ბრუნება და უღლება (Ambridge B. Pine J.M, Rowland C.F. , Chang F. and Bidgood A., 2012). მაგ: ქართული ენისთვის სპეციფიკურია ებ-იანი მრავლობითის დართვის დროს არსებითი სახელის კუმშვა. ბავშვებმა, მორფოლოგიური ზეგენერალიზაციის გავლენით შესაძლებელია ლიმონების ნაცვლად, ლიმნები თქვას, პეპლების ნაცვლად პეპლები და .ა.შ.

ინგლისური ენის მორფოლოგიის ათვისების მოდელის თანახმად, წესიერი ზმნების მრავლობითი ფორმის ათვისება იწყება დაახლოებით 27-30 თვის ასაკში, კუთვნილების გამომხატველი აფიქსების წარმოება 26-40 თვის პერიოდში, წესიერი ზმნების წარსული ფორმის სწავლა 26-48 თვის ხოლო მხოლოდითი რიხვის მესამე პირის ზმნის უღლება 26-46 თვის ასაკში მიმდინარეობს (Owens R.E. Jr., 2012).

ამდენად, შეიძლება შევაჯამოთ ენის ათვისების პირველი ეტაპის უმთავრესი მიღწევები. პირველი სიტყვებისა და წინადადებების ათვისების ტიპური ასაკია 12-26

თვე, სადაც გამონათქვამის საშუალო სიგრძე შეადგენს 1-2 მორფემას. ბავშვების პირველი სიტყვები, რომლებიც გამოიყენება ბავშვებისთვის მნიშვნელოვანი ადამიანების, საგნების, მოქმედებების გადმოსცემისთვის, ყოველთვის არ ჰგავს მოზრდილების სიტყვებს. ამ სიტყვათა უმრავლესობა ერთმარცვლიანია ან ერთი და იგივე სიტყვები მეორდება. ასევე აღსანიშნავია, რომ არც თუ ისე ხშირად სიტყვებს აქვთ მეტისმეტად ვრცელი ან მეტისმეტად შეზღუდული შინაარსი.

პირველი სიტყვების ათვისების ეტაპზე, 12-18 თვის ასაკის ბავშვები, გამონათქვამის ფორმირებისთვის ბავშვები იყენებენ „ჰოლოფრაზებს“. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლოფრაზები შედგება 1 ან ორი ერთმანეთთან პირისა და რიცხვის მიხედვით შეუთანხმებელ სიტყვებს, ის გადმოსცემს მთლიანი წინადადების მნიშვნელობას. რაც შეეხება მრავალსიტყვიან გამონათქვამებს, ორი სიტყვის ერთმანეთთან შეთანხმება, როგორც წესი 18-24 თვის ასაკში იწყება. სამ ან ოთხსიტყვიანი შეთანხმებები გვხვდება მას შემდეგ, რაც ბავშვის გამონათქვამების დაახლოებით ნახევარი ორსიტყვიანია.

შეიძლება გამოვყოთ ენის განვითარების საწყის ეტაპზე ათვისებული წინადადების ტიპები. ადრეულ ეტაპზე ბავშვი ცალკეულ სიტყვებზე ინტონაციას ამაღლებს, რათა დასვას კი/არა ტიპის კითხვები; კითხვებს სხვამს რა, სად კითხვითი სიტყვების მეშვეობით; შემდეგ ერთსიტყვიან კითხვებს ენაცვლება ორ ან სამ სიტყვიანი შეთანხმებები; თხრობითი წინადადებები შემოიფარგლება მოქმედი პირი+მოქმედება და მოქმედება+ობიექტი-კონსტრუქციით; რასაც მოგვიანებით ემატება წინადადების აგება სუბიექტის+ზმნის+ობიექტის შეთანხმებით. ამავე პერიოდში წინადადებებში გვხვდება ბოლოსართები -ზე; -ში და წინადადებების გაერთიანება -და- კავშირით;

მეორე ეტაპი : სტრუქტურისა და მნიშვნელობის სრულყოფა:

ბრაუნის მიხედვით, ბავშვი ენის ათვისების მეორე ეტაპზე იმყოფება 27 თვიდან 30თვემდე, მისი გამონათქვამის საშუალო სიგრძე კი შეადგენს 2-2,5 მორფემას. მეორე ეტაპზე მიმდინარე ცვლილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მორფემების გამოყენებით მარტივი წინადადებების „მნიშვნელობის მოდულაცია“, რაშიც ბრაუნი გულისხმობს საბაზისო სიტყვებზე მორფემების დამატებას. სიტყვების მორფემების რეგულირება, მართვა ბავშვს ეხმარება ზუსტად გადმოსცეს სასურველი აზრი.

მორფემების დამატებით ბავშვს მხოლოდითი რიცხვიდან არსებითი სახელი გადაჰყავს მრავლობით რიცხვში, გამოხატავს საგნის კუთვნილებას, საგნის მდებარეობას, ცვლის ზმნის დროსა და მოქმედების პირს, ინგლისურ ენაზე წარმოთქმულ წინადადებებში იყენებს დამხმარე, დამოუკიდებელ და არაწესიერ ზმნებს.

ნაცვალსახელების ათვისება: არსებითი სახელების აღმნიშვნელი სიტყვები

ბრაუნის ენის ათვისების ეტაპობრივი მოდელის მიხედვით, ნაცვალსახელების მრავალფეროვნების გამო, მათი ათვისება არაერთგვაროვანია. ნაცვალსახელების ნაწილი დაისწავლება პირველ-მეორე ეტაპზე, ნაწილი კი მეოთხე და მეხუთე ეტაპებზე. აღნიშნული მოდელი შექმნილია ინგლისურენოვანი ბავშვების მეტყველების ათვისების თავისებურებების გათვალისწინებით, თუმცა თუ მას მოვარგებთ ქართული ენის სპეციფიკას შეიძლება ვთქვათ, რომ ნაცვალსახელების ათვისების პროცესში მნიშვნელოვანია სუბიექტური და ობიექტური ნაცვალსახელების გააზრება. მიიჩნევა, რომ მათი ათვისება 36 თვის ასაკამდე არ ხდება, რადგან ბავშვისთვის რთულია სუბიექტური და ობიექტური ნაცვალსახელების ფუნქციების განსხვავება და წინადადებაში მათი ადგილის პოვნა. ამას ემატება სუბიექტური და ობიექტური პირის ნაცვალსახელის ის თავისებურება, რომ წინადადებაში მასზეა დამოკიდებული ზმნის პირი და რიცხვი.

ნაცვალსახელების ათვისების ამ ქაოსში არსებობს გარკვეული კანონზომიერება. ბავშვი ნაცვალსახელებს, ისევე როგორც ენის სხვა კომპონენტებს, თანმიმდევრულად და კანონზომიერად ითვისებს. შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტურ ნაცვალსახელებს (He, She-ქართულ ენაში „ის, იგი“) უფრო ადრე ითვისებენ, ვიდრე ობიექტურ ნაცვალსახელებს (Him, Her/ ქართულ ენაში „მან“). მოგვიანებით ბავშვი ეუფლება კუთვნილებით ნაცვალსახელებს (ჩემი, შენი, მისი).

მეორე ეტაპზე გადასვლამდე ბავშვი უკვე ფლობს ნაცვალსახელებს „ის, ეს“, მეორე ეტაპზე კი მის ლექსიკონს ემატება ნაცვალსახელები „მე, ჩემი, შენი“. თუმცა ეს კანონზომიერება არ არის უნივერსალური, და უამრავი ბავშვის მეტყველებაში შეიძლება შევხვდეთ შეცდომებს.

მეორე ეტაპის მნიშვნელოვანი მახასიათებელია უარყოფის გამომხატველი ფრაზების ათვისება. ბლუმი გამოჰყოფს უარყოფის სამ ტიპს: ბავშვი გადმოსცემს საგნის არ არსებობას, უარის თქმას და წინააღმდეგობას. მნიშვნელოვანია რომ, პირველი სიტყვებისა და წინადადებების ათვისების დროს ბავშვი ვერ განასხვავებს ერთმანეთისგან უარყოფის გამომხატველ სიტყვებს „არ“, „არა“, „ვერ“ და „ნუ“. აღნიშნული უარყოფელი მორფემების სრულყოფილად ათვისება სკოლამდელ ასაკამდე გრძელდება.

ბრძანებითი წინადადებები ჩნდება 2.5 წლის ასაკიდანვე, როდესაც ბავშვები იწყებენ სურვილებისა და მოთხოვნების ვერბალურ მოთხოვნიებას. როგორც წესი, ზმნებს არ ახლავს ნაცვალსახელი. და შეიძლება თან ახლდეს თხოვნის ზრდილობიანი ფრომა: თუ შეიძლება, გთხოვ“ (Owens R.E. Jr, 2012).

ამდენად შეიძლება შევაჯამოთ ენის ათვისების მეორე ეტაპის ძირითადი მიღწევები. მეორე ეტაპის ტიპური ასაკია 27-30 თვე, როდესაც გამონათქვამის საშუალო სიგრძე შეადგენს 2-დან 2,5მდე მორფემას. ამ ეტაპზე ბავშვი იწყებს დასწავლილ სიტყვებზე მორფემების დამატებას, ათვისებული გრამატიკული წესების მიხედვით არაწესიერი ზმნებისა და არსებითი სახელების წარმოებას. ასევე ბავშვის მეტყველებაში ჩნდება პირისა და კუთვნილების სუბიექტური და ობიექტური ნაცვალსახელები,

მესამე ეტაპი: შედარებით გრძელი და უფრო მეტად მოზრდილებისთვის დამახასიათებელი წინადადებების წარმოთქმა

ენისა და მეტყველების ათვისების საწყის ეტაპზე სინტაქსის განვითარებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ბავშვის მიერ მშობლიურ ენაში წინადადების აგების პროცესის ცოდნას. ბავშვმა იმპლიციტურად უნდა იცოდეს კითხვითი, თხრობითი და უარყოფითი წინადადების სტრუქტურა, წინადადებაში არსებითი სახელის, ზმნის თანმიმდებრობა (Lust B.C., 2006).

ბავშვი ენის ათვისების მესამე ეტაპზე, როგორც წესი 31-34 თვის ასაკში იმყოფება, როცა მისი გამონათქვამის საშუალო სიგრძე მერყეობს 2,5დან 3 მორფემამდე. აღნიშნული ეტაპის ბოლოს პატარამ იცის, რომ ყველა წინადადებაში აუცილებლად შედის ზმნა და არსებითი სახელი. საბაზისო სინტაქსური ცოდნის საფუძველზე,

ბავშვი წარმოთქვამს სრულ, მარტივ თხრობით წინადადებებს და სწავლბს თხრობითი წინადადებების კითხვით და უარყოფით წინადადებებად გადაკეთების წესებს.

მ. ტომასელოს მიხედვით(Tomasello M., 2003, ციტირებულია Owens R.E. Jr, 2012) 3 წლამდე ასაკის ბავშვის სინტაქსური განვითარების ორ სიტყვიანი წინადადებების ეტაპზე ბავშვების ფრაზები შეიძლება იყოს სამი ტიპის:

- ✓ სიტყვების კომბინაცია: თანაბარი მნიშვნელობის მქონე სიტყვების კომბინაცია, რომელიც გადმოსცემს დასრულებულ აზრს, როგორც წესი ამ ტიპის წინადადებებში ჭარბობს არსებითი და ზედსართავი სახელები;
- ✓ ზოგადი სქემები: უფრო მეტად სისტემური პატერნია და მოიცავს არსებითი სახელისა და ზმნის კომბინაციას. გამოხატავს სურვილს ან განზრახვას, მაგრამ მორფოლოგიურად სიტყვები გამართული არ არის.
- ✓ ცალკეულ საგნებზე დამყარებული კონსტრუქციები: უფრო მკაფიოდ ჩანს წინადადების გრამატიკულად გამართული სტრუქტურა, ფრაზაში სიტყვების თანმიმდევრობა და მორფოლოგიური მარკერები.

მეორე ეტაპზე ჩამოყალიბებული მრავალი მორფოლოგიური ელემენტი მესამე ეტაპზე განაგრძობს განვითარებას. მესამე ეტაპზე ბავშვი უფრო თანმიმდევრულად იყენებს პირის ნაცვალსახელებს (მე, ჩვენ, შენ, თქვენ, ის და ისინი), ჩვენებით ნაცვალსახელებს (ეს, ის, ესენი და ისინი). ამასთან ერთად, ბავშვი იწყებს რიცხვითი სახელების გამოყენებას (ბევრი, ცოტა, უამრავი), ასევე ბავშვი ხშირად იყენებს გავრცელებულ ზედსართავებს, როგორცაა დიდი, პატარა, კარგი, ცუდი.

ბავშვმა ენის ათვისების მეორე ეტაპზე ათვისა არსებითსახელიანი და ზმნიანი ფრაზები, ხოლო მესამე ეტაპზე ბავშვის გამონათქვამები ერთიანდება და იწყება მარტივი წინადადებების გამოყენება, რომელშიც ჩართულია როგორც ზმნა და არსებითი სახელი, ასევე ზედსართავი სახელი, ჩვენებითი, პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები.

ბავშვების ორსიტყვიანი წინადადებები შედგება ერთმანეთთან შეუთანხმებელი სიტყვებისგან. მაგალითად : ფრაზის „მამას ქუდის“ ნაცვლად, ბავშვი ამბობს „მამა ქუდი“ (Barr R.G. Michel G.F. Rochat P., 2005). რაც შეეხება კითხვით და უარყოფით წინადადებებს. მესამე ეტაპზე ბავშვები ნაკლებ შეცდომას უშვებენ უარყოფითი

ნაწილაკების გამოყენების დროს, ხოლო კითხვით წინადადებებში გვხვდება სიტყვები „ რატომ, სად, ვინ?“.

მორფო-სინტაქსის განვითარების მესამე ეტაპზე ბავშვები იწყებენ კავშირების გამოყენებით რთული ფრაზებისა და წინადადებების აგებას. ბლუმი გამოყოფს 4 ტიპის წინადადებას: მაკავშირებელი წინადადება-ბავშვები წინადადების აგებისას იყენებენ „და“ კავშირს; დროის აღმნიშვნელი წინადადება-ბავშვები წინადადებით გადმოსცემენ მოვლენათა დროში თანმიმდევრობას; მიზეზშედეგობრივი წინადადება-ბავშვები გადმოსცემენ მიზეზშედეგობრივ კავშირს, როგორც მაკავშირებელი „იმიტომ, რომ“ს გამოყენებით, ასევე მის გარეშე; წინააღმდეგობრივი წინადადება-წინააღმდეგობრივი შინაარსის გადმოსაცემად ბავშვები იყენებენ მაკავშირებელს „ და“ ან „მაგრამ“. განვითარების თვალსაზრისით, ზემოთ განხილული კავშირების გადმოსაცემად „და“ კავშირის გამოყენება გაცილებით ადრე იწყება, ვიდრე სხვა, შინაარსობრივად უფრო შესაბამისი და რთული კავშირების (იმიტომ, რომ, მაგრამ, ამიტომ) გამოყენება.

ბლუმი ასევე განიხილავს ნათესაობითი მაკავშირებლების განვითარების თავისებურებას. ნათესაობითი მაკავშირებლები გულისხმობს გამონათქვამებს: როგორიც, რომელიც, ვინც, რომ, რადგან, რათა. ბლუმის მოსაზრებით, ბავშვები აღნიშნულ მაკავშირებლებს ვერ იგებენ 5 წლამდე, ხოლო ექსპერსიულ მეტყველებაში არ იყენებენ 7 წლამდეც კი (Bernshtein Tiegerman-farber 2009).

მეოთხე ეტაპი: ფრაზებისა და ელემენტარული წინადადებების სრულყოფა

ბავშვის ენის ათვისების მეოთხე ეტაპი მოიცავს 35-40 თვის ასაკს, როდესაც ბავშვის გამონათქვამის საშუალო სიგრძე მერყეობს 3დან 3,75 მორფემამდე. გამონათქვამის საშუალო სიგრძის ზრდა მიანიშნებს, რომ ბავშვი საკუთარ გამონათქვამებს ახალ სიტყვებს ამატებს, თუმცა განვითარება მხოლოდ ლექსიკის გამდიდრებით არ ამოიწურება; ბავშვები იწყებენ წინადადების დამხმარე წევრების გამოყენებასა და რთული წინადადებების აგებას.

ამ ეტაპზე ნაცვალსახელების გამოყენება იხვეწება, ასევე ვითარდება არსებით სახელიანი და ზმნიანი ფრაზების გამოყენების უნარი. რაც შეეხება მორფოლოგიას, არაწესიერი არსებითი სახელებისა და ზმნების წარმოების სირთულე ისევ გვხვდება

და ბავშვი ისევ ცდილობს გამონაკლისი სიტყვების ზოგადი კანონზომიერების მიხედვით წარმოებას.

მეხუთე ეტაპი: სამეტყველო უნარების სრულყოფა

მეხუთე ეტაპის ტიპური ასაკობრივი ჯგუფია 41-დან 46 თვემდე ასაკის ბავშვები, რომელთა გამონათქვამის საშუალო სიგრძე არის 3,75დან 4,5 მორფემამდე. მეხუთე ეტაპის მიწურულს ბავშვი გავრცელებულ არაწესიერი ზმნების უმრავლესობას ფლობს, მაგრამ მაინც აქვს შედარებით უცნობი არაწესიერი ზმნებისა და არსებითი სახელების წარმოების სირთულე. მნიშვნელოვანია გავრცელებული ზედსართავი სახელების უფროობითი და აღმატებითი ფორმების ათვისების თავისებურება. 41-46 თვის ასაკის ბავშვები ჯერ იწყებენ ზედსართავი სახელის აღმატებითი ფორმის წარმოებას, ხოლო უფროობითი ფორმის ათვისება ხშირად გახანგრძლივებულია 5 წლამდეც კი. რაც შეეხება ზმნიანი და არსებით სახელიანი ფრაზების აგებას, ის უფრო კომპლექსური ხდება და უფრო მეტად ემსგავსება მოზრდილებისთვის დამახასიათებელ გამონათქვამებს.

მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ თავდაპირველად, ბავშვები ორი ან მეტი სიტყვის კომბინირებულად წარმოთქმას კონტექსტუალურად, მოზრდილებისგან მოსმენილი მეტყველების, წაკითხული ზღაპრების საფუძველზე სწავლობს. რაც იმას გულისხმობს რომ შესაძლებელია ბავშვი ამბობდეს ორ ან მეტ სიტყვიან წინადადებას, მაგრამ ეს იყოს მხოლოდ მსგავს კონტექსტში მოსმენილი წინადადების გამეორება და არა სინტაქსისა და მორფოლოგიის წესების მიხედვით რთული წინადადების აგება. გრამატიკული წესების გამოყენებით რთული წინადადების აგება იწყება 3,4 წლის ასაკში და შემდეგ. (Lieven E. Planck M., 2006).

§ 1.3.4 თხრობითი მეტყველების განვითარება

თხრობით, ნარატიულ მეტყველებაში ერთიანდება ბავშვის სემანტიკური, მორფო-სინტაქსური და ფონოლოგიური ცოდნა. თხრობითი მეტყველება არის მეტყველების ფორმა, რომელიც არ მოითხოვს მსმენელისგან უკუკავშირს და მიმდინარეობს ნარატიული, მონოლოგიური სახით. თხრობისას ბავშვმა უნდა გადმოსცეს ამბის

შესავალი, შინაარსი, დასაწყისი, მოვლენათა თანმიმდევრობა და დასკვნა. ამდენად, სავარაუდოა, რომ თხრობითი მეტყველება ყველაზე გვიან ვითარდება და სკოლის ასაკში იღებს სრულყოფილ ფორმას.

კვლევების მიხედვით, თხრობითი მეტყველების ჩანასახი 2 წლის ასაკში ჩნდება, როდესაც ბავშვს შეუძლია დიალოგურ მეტყველებაში ჩართვა, ყოველდღიური რუტინული თემების შესახებ კითხვებზე პასუხის გაცემა. ამ ტიპის მეტყველებას უწოდებენ სკრიპტს, მონახაზს, რომელსაც ბავშვი იყენებს მის ირგვლივ მიმდინარე, ყოფითი მოვლენების აღსაწერად (Owens R.E. 2005, Tiegerman-farber, 1995 ციტირებულია Bernshtein, Tiegerman-farber, 2009). 4 წლის ასაკის ბავშვის თხრობითი მეტყველება ხდება უფრო რთული, აღწერითი და მოიცავს მოვლენათა თანმიმდევრობის გადმოცემას. თხრობითი მეტყველების ამ სახეს „გეგმას“ უწოდებენ. დაახლოებით 3,5 წლის ასაკის სკოლამდელი ბავშვები იყენებენ ე.წ. პროტონარატივს, რაც გულისხმობს უახლესი მოვლენების შესახებ არაორგანიზებულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფრაზებით თხრობას.

ზოგადად, სკოლამდელი ასაკის ბავშვის თხრობითი მეტყველება შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად. დაახლოებით 3 წლის და სამ წლამდე ასაკის ბავშვები იყენებენ *ჯაჭვისებ (chaining) თხრობას*, რაც გულისხმობს ძირითადი თემასთან დაკავშირებულ, არათანმიმდევრულ თხრობას. ხოლო დაახლოებით 4 წლის და უფროსი ასაკის ბავშვები იყენებენ *ცენტრირებულ (centering) თხრობას*, რაც გულისხმობს ძირითადი თემის შესახებ, მეტნაკლებად ორგანიზებულ, თანმიმდევრულ თხრობას. სკოლაში შესვლის დროს, ბავშვებს უკვე ათვისებული აქვთ თხრობითი მეტყველების ბაზისური უნარები და შეუძლიათ თავიანთი გამოცდილების გაზიარება, მოვლენების შესახებ თანმიმდევრული თხრობა. (Bernshtein, Tiegerman-farber, 2009).

კროსკულტურული კვლევების მიხედვით, სკოლამდელი ასაკის ბავშვების თხრობითი მეტყველება მნიშვნელოვნად არის განპირობებული დედის, მზრუნველის მეტყველების გავლენით. იქედან გამომდინარე, რომ ბავშვის თხრობითი მეტყველება ვითარდება მზრუნველთან ერთად წიგნის კითხვის, მოთხრობების, ზღაპრების მოყოლის დროს, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს დედის მიერ ამბის თხრობაში ბავშვის ჩართულობას. ამასთან ერთად, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად

განსხვავდება სხვადასხვა კულტურაში მცხოვრები ბავშვების თხრობითი მეტყველება. იაპონურენოვან და ა.შ.შ-ში მცხოვრებ ინგლისურენოვან დედა-შვილებზე ჩატარებული კვლევის მონაცემები ამტკიცებს, რომ ამერიკელი ბავშვები უმეტესად ყვებიან საკუთარი გამოცდილების შესახებ, იმ მოვლენების შესახებ, რომლებშიც მონაწილეობდნენ და უფრო უხვი, მრავალი ფრაზით. მაშინ, როცა იაპონელი ბავშვები ყვებიან სხვადასხვა ადამიანის გამოცდილების შესახებ და თხრობისას იყენებენ კონკრეტულ, მოკლე ფრაზებს (Owens, R.E. Jr.,2012).

§ 1.4 კვლევის მიზანი და ამოცანები

§ 1.4.1 ქართულენოვან პოპულაციაში ჩატარებული კვლევები

აქამდე განხილული მონაცემები მიღებულია, უმეტესად, ა.შ.შ-სა და ევროპაში მცხოვრები ბავშვების ენისა და მეტყველების ათვისების პროცესის კვლევის შედეგად. ქართულ ენოვანი ბავშვების ენისა და მეტყველების ათვისების შესახებ არსებობს დ.უზნაძის და ნ.იმედაძის კვლევები, რომელსაც მოკლედ მიმოვიხილავ. ნათელა იმედაძე, (იმედაძე.ნ, 2017) დაკვირვების შედეგად, აყალიბებს ქართული ენის ათვისების სამ პრინციპს. პირველი პრინციპი გულისხმობს განვითარების პროცესში ბავშვის მიერ მთელი რიგი მათეორიული სტრატეგიების დასწავლას, რომლებიც ენის დაუფლებას ემსახურებიან. ამ სტრატეგიების განზოგადებით ბავშვი ცდილობს შექმნას ახალი გამონათქვამი. ეს არ არის პირდაპირი გამეორება, არამედ, ყველა ენაში შემჩნეული თავისებური შეცდომებია - ე.წ. მარკირების ზეგენერალიზაციები. ქართულ ენოვანი ბავშვებისთვისაც ისევე დამახასიათებელია მორფოლოგიური და სემანტიკური ზეგენერალიზაცია, როგორც უცხო ენოვანი პატარებისთვის (იმედაძე.ნ, 2017).

ენის ათვისების მეორე პრინციპად, ავტორი ასახელებს გრამატიკული ფორმის „პერცეპტული სიცხადე“ (perceptual salience), რომელიც ბავშვისთვის ენობრივი გარემოდან ყველაზე ადვილად აღსაქმელ გრამატიკულ ფორმას ნიშნავს. სწორედ ეს

განსაზღვრავს იმ გრამატიკული ფორმების დაუფლების თანმიმდევრობას, რომელიც ამ ენაზე მოლაპარაკე ყველა ბავშვისთვის იდენტურია.

ქართული ენის ათვისების მესამე სპეციფიკად კი ნ. იმედაძე ასახელებს ქართულ გრამატიკაში დროის, სივრცის და სუბიექტ-ობიექტის მიმართებების განსაკუთრებული თავისებურებებით ასახვას (იმედაძე, ნ., 2017).

ბავშვის მეტყველების ტრადიციული ანალიზი ყოველთვის გულისხმობდა გარკვეული სტადიების გამოყოფას, რომელთა შორის მოსამზადებელი სტადიის შემდეგ პირველია ერთსიტყვიანი წინადადების სტადია, რაშიც სიტყვა ასრულებს ბავშვის მოთხოვნილების გამოხატვის ფუნქციას და არ აქვს მორფოლოგიური სქემა. მეტყველების გრამატიზაციის პრობლემა დგება მომდევნო სტადიაზე - 18 – 20 თვის ასაკიდან, უკვე პირველ ზმნებს და სახელებსაც შეიძლება მიენიჭოს გარკვეული მორფოლოგიური სტატუსი. ამის სადემონსტრაციოდ ავტორი განიხილავს ქართულ ენოვანი ბავშვების პირველი ზმნების მორფოლოგიური სტატუსის მიხედვით კლასიფიკაციას.

ცხრილი 1.1. ზმნების მორფოლოგიური სტატუსის კლასიფიკაცია

ასაკი	რაოდენობა	ბრძანებითი	აწმყო	წარსული	კავშირებითი
1,6 წელი	7	68%	16%		
1,9 წელი	70	22%	18%	24%	30%
2,0 წელი	362	10%	28%	21%	12%

ეს მონაცემები მიუთითებს 1,6 – 1,9 წლების პერიოდში ბრძანებითი კილოს აბსოლუტურ უპირატესობაზე - მთელი მასალიდან ის 68%-ს შეადგენს. დანარჩენი ფორმები აწმყო და წარსული ფორმები, პირველად წარმოდგენილია -16 %-ით , 1,8 წლის ასაკში ჩნდება კავშირებითი და 30%-მდე იზრდება. რაც შეეხება ფუნქციას, მოყვანილი პირველი ზმნები ემსახურებიან ამ ასაკისათვის დამახასიათებელი სურვილის გამოხატვას.

მეტყველების ფუნქციისა და ფორმის ურთიერთმიმართების გამოსავლენად ავტორი ერთმანეთს ადარებს წლინახევრიდან 3 წლამდე ბავშვთა მეტყველებაში არსებულ შინაარსობრივ კატეგორიებს.

ცხრილი 1. 2. 3 წლამდე ასაკის ბავშვების ლექსიკური მარაგის შინაარსობრივი კატეგორიები

შინაარსი	დ.უზნადის მონაცემები (30-იანი წლები)	ნ.იმედაძის მონაცემები (90-იანი წლები)
კითხვები	10%	16%
სურვილები	33%	15%
თხრობა წარსულის შესახებ	4%	6%
ახსნა-დასაბუთება	1,3%	10%
აღქმულის აღწერა	23%	25%
შეფასება	3%	10%
აი, მე რა მაქვს	6%	-
მოქმედების თანმხლები	-	15%

ავტორის თანახმად, ბრაუნის მიერ გამოყოფილი ზმნების ფუნქციები შეიძლება შევუსაბამოდ ქართულ ენას. ამდენად, პირველი, მარკირების გარეშე არსებული ზმნები 4 ტიპის მნიშვნელობას გამოხატავენ: 1) მოქმედების ან მდგომარეობის დასახელება გამოთქმის დროს, 2) უშუალოდ წინმსწრები ამბის აღწერა, 3) სურვილებისა და განზრახვის გამოთქმა, 4) ბრძანებითი მნიშვნელობა (იმედაძე, 2017).

ქართულს არ აქვს ინფინიტივი, ამიტომ თავიდან საწყის ფორმას ახლავს რომელიმე კილოს ან სერიის მარკირება, იქნება ეს ბრძანებითი, კავშირებითი თუ თხრობითი. რაც შეეხება ზმნური ფორმების დაუფლებას, ეს მიმდინარეობს შემდეგი ტიპური სტადიებით:

1) მარკირება არ არსებობს, 2) სწორი მარკირება შემთხვევათა შეზღუდული რაოდენობით, 3) მარკირების ზერეგულარიზაცია, 4) იმ მარკირების სრული დაუფლება, რომელიც მიღებულია ენის მოზრდილ მატარებლებთან.

ამრიგად, ქართველი ბავშვის პირველი სიტყვების და პირველი ორსიტყვიანი წინადადებების ანალიზში აშკარად გამოვლინდა ის უნივერსალური კანონზომიერებები, რაც დადასტურდა ბავშვის მეტყველების კვლევაში ბოლო 70 წლის განმავლობაში, პირველ რიგში მეტყველების ფუნქციური დატვირთვის მიხედვით. „იმის შემდეგ რაც საგანი განსაზღვრულ სახელს იღებს, იწყება მისი შინაარსის კონსოლიდაცია“ (უზნაძე დ. ციტირებულია იმედაძე ნ., 2017), მაგრამ დადასტურდა აგრეთვე, რომ განვითარების პირველ ეტაპებზე „სიტყვა ასახავს საგანთა ნიშნების მხოლოდ ერთ გარკვეულ ნაწილს“, რაც სიტყვათა გავრცობაში ჩანს. პირველ წინადადებებში ერთ-ერთ ტიპიურ მოდელს სუბიექტი-მოქმედება-ობიექტი წარმოადგენს, ან ამ მოდელის არასრული ფორმა. კროსლინგვისტურ ანალიზში გამოავლინდა ქართველი ბავშვის მეტყველების თავისებურება: სუბიექტის ადრეული მარკირება მოთხრობითი ბრუნვის საშუალებით. იმ ენებისაგან განსხვავებით, სადაც მარკირებულია მოქმედების ობიექტი. ავტორის ვარაუდით, ამით ქართულენოვან ბავშვს მოქმედების აქტიური სუბიექტის გაცნობიერებისათვის მეტი შესაძლებლობა ეძლევა (იმედაძე ნ., 2017).

§ 1.4.2 ტექნიკასა და მზრუნველებთან გატარებული დროის გავლენა ენისა და მეტყველების ათვისების თავისებურებაზე

მას შემდეგ რაც სამ წლამდე ბავშვებისათვის განკუთვნილი სატელევიზიო პროგრამები გამოვიდა, 1 წლის ბავშვები ტელევიზორის წინ დღეში საშუალოდ 80 წუთს ატარებენ, ხოლო 2 წლის ბავშვები-დაახლოებით 2 საათს (Rideout & Hamel, 2006 ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012). კრისტაკისმა და სხვებმა (Kristakis et al., 2009 ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012) დაამტკიცეს, რომ ტელევიზორის წყალობით მომვლელების მიერ წარმოთქმული სიტყვების რაოდენობა 7%-ით შემცირდა ხოლო 2 თვიდან 4 წლის ასაკის ბავშვებმა ვოკალიზაციების რაოდენობა მკვეთრად შეამცირეს. კვლევების მიხედვით, მომვლელებისა და ბავშვების ლაპარაკის

შემცირება, პოტენციურად საზიანობა მეტყველებისა და თავის ტვინის განვითარების პროცესისათვის. კვლევის მიხედვით, განსხვავდება შედარებით პატარა (15-21 თვე) და მოზრდილი (22-24) თვემდე ბავშვებში ახალი სიტყვების სწავლის უნარი, როდესაც პატარა სწავლობდა მოზრდილი ადამიანის ან სატელევიზიო პროგრამების დახმარებით (Krcmar, Grela & Lin 2007) ციტირებული ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012)

ითვლება, რომ ჩვეულებრივი ურთიერთობების პირობებში 13-დან 16 თვის ასაკის ბავშვები სიტყვების სწრაფად ითვისებენ. კვლევამ დაადასტურა, რომ ბავშვების ორივე ჯგუფი (მომვლელებზე ან ტელევიზორზე მიჯაჭვული) სამიზნე სიტყვების იდენტიფიკაციას ყველაზე წარმატებულად ერთობლივი მითითებების პირობებში ახერხებენ. მოზრდილისაკენ მიმართული ყურადღება სწავლას უფრო უწყობდა ხელს, ვიდრე საბავშვო პროგრამებისაკენ მიმართული ყურადღება. პატარები და შედარებით მოზრდილი ბავშვები სწრაფად ითვისებენ, როდესაც ინფორმაციას მოზრდილი ადამიანებისგან იღებენ და არა სატელევიზიო პროგრამებისგან. ავტორების აზრით, პატარა ბავშვებს ტელევიზორის ყურებისას ორ განზომილებიან და ცოცხალ ობიექტებს შორის კავშირი ესმით, თუმცა დასწავლის პროცესში ვერ ხვდებიან რაზე გაამახვილონ ყურადღება და ბოლოს, პატარა ბავშვები, სავარაუდოდ, ვერ ახერხებენ ადამიანისგან განსხვავებულ პერსონაჟებთან კავშირის პოვნას. შესაბამისად, ბავშვისთვის ახალ სიტყვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფონოლოგიური ინფორმაცია დაფარულია. მაშასადამე, კვლევა ადასტურებს, რომ ახალი სიტყვების სწავლისათვის, ენასთან მხოლოდ შეხება არ არის საკმარისი; ბავშვს სჭირდება აქტიური ურთიერთობა მოზრდილ ადამიანთან, რათა შეძლოს ყურადღების გამახვილება, ყურადღების შენარჩუნება და რაც მთავარია, სწავლის პროცესში იყოს მცირე რაოდენობის გამღიზიანებელი. მას შემდეგ, რაც ბავშვს ჩამოუყალიბდება საბაზისო ლექსიკონი და შეძლებს ყურადღების კონცენტრირებას ტელევიზორზე (22 თვის შემდეგ) საგანმანათლებლო მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია გარკვეულად შეიძლება გახდეს სწავლის საფუძველი (Krcmar, et al. 2007).

მკვლევართა ნაწილი ამტკიცებს ბავშვის მეტყველებაზე მოზრდილის უკუკავშირის აუცილებლობას. იქედან გამომდინარე, რომ პატარების პირველი სიტყვები და ფრაზები არის ფონოლოგიურად და მორფოლოგიურად გაუმართავი,

მოზრდილებისგან მიწოდებული შესწორებული სამეტყველო მოდელები აუცილებელია ბავშვების გრამატიკული შეცდომების შესწორების მიზნით (Dockrell J. and Messer D., 1999).

ტექნიკის გავლენა ლექსიკის განვითარებაზე

2011 წელს ინგლისურენოვან სკოლამდელი ასაკის ბავშვების მონაწილეობით ჩატარებული კვლევის ავტორები, ცალსახად არ საუბრობენ ტექნიკის დადებითი ან უარყოფითი გავლენის შესახებ, მაგრამ საბავშვო გადაცემების ტიპების ანალიზის მიხედვით, განასხვავებენ მათ გავლენას. ის გადაცემები სადაც ვერბალური სტიმულების რაოდენობა ბევრია, სიუჟეტი თანმიმდევრული და შემეცნებითი ხასიათისაა, (მაგალითად მოჰყავთ „dora the explorer“) ზრდის 2 წლის ასაკის ბავშვების ექსპრესიულ ლექსიკას. მხოლოდ მუსიკალური გადაცემები, სადაც არ არის გამართული მეტყველება და არარეალური საგნები/არსებები არიან წარმოდგენილები-პირიქით, ამცირებს ექსპრესიულ ლექსიკურ მარაგს. მაგალითად მოჰყავთ გადაცემა „Teletubbies“. ავტორები განასხვავებენ ტელევიზიასთან მიჭაჭულობასა და ტელევიზიით მხოლოდ მცირე ხნით დაკავებას. 800 3 წლის ასაკის ბავშვის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ იმ ბავშვების ექსპრესიული ლექსიკა, რომლებიც დღის უმეტეს ნაწილს ტელევიზორთან ატარებდნენ და მშობლებთან ცოცხალი ურთიერთობა ნაკლები ჰქონდათ, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სხვა, არა ამ ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ მყოფი თანატოლების ექსპრესიულ მეტყველებას. უფრო მეტიც, DVD თამაშებთან გატარებული ზედმეტი თითოეული საათი დაკავშირებული იყო თანატოლების მეტყველებასთან შედარებით, პროგრესულად, 17 ქულით ჩამორჩენასთან (Bavelier D. Shawn Green, C.² and Dye M.W.G., 2011).

ტექნიკის გავლენა მეტყველების დაწყების ასაკზე

2 წელი მეტყველების განვითარებისა და წარმატებული კომუნიკაციის აგებისთვის სენსიტიური პერიოდია, ამიტომ საინტერესოა რა სპეციფიკური გავლენა აქვს ტექნიკასთან გატარებულ დროს მეტყველების დაწყების ასაკზე.

2 წლის 1778 კორეელი ბავშვის მონაწილეობით ჩატარებული კვლევის მონაცემები, მიუთითებს, რომ ტელევიზორთან გატარებული დრო დაკავშირებულია 2 წლის ასაკის ბავშვების მეტყველების დაწყების გადავადებასთან. კერძოდ: დღის განმავლობაში

დაახლოებით 2-3 საათით ტელევიზორის ყურება 2,7 ჯერ ზრდის მეტყველების დაწყების გადავადების რისკს (RR = 2.74, 95% CI: 1.13–6.65) 3 და მეტი საათით ტელევიზორის ყურება მეტყველების გადავადების რისკს 3ჯერ ზრდის (RR = 3.03, 95% CI: 1.12–8.21) (Byeon H. and Hong S., 2015).

თხრობითი მეტყველების განვითარებაში მშობლების ჩართულობის მნიშვნელობა

მკვლევარების ნაწილი ვარაუდობს, რომ ტექნიკისა და ბავშვის ურთიერთობაში მნიშვნელოვანია მშობლის ჩართულობა. კერძოდ, თუ მშობელი დღის განმავლობაში სულ მცირე 30 წუთი მაინც, მონაწილეობს ბავშვთან ერთად კომპიუტერულ თამაშებში, ელექტრონული ზღაპრების კითხვასა და დათვალიერებაში, მაშინ ბავშვის მეტყველების განვითარება მიყვება თანატოლების განვითარების ნორმალურ კურსს, და ენისა და მეტყველების დარღვევები არ აღინიშნება. აღნიშნული იდეა ედო საფუძვლად 2015 წელს ინგლისურენოვანი ბავშვების მონაწილეობით ჩატარებულ კვლევას. კვლევის ავტორები მიუთითებენ, რომ 4 წლის ბავშვების ენისა და მეტყველების განვითარების თავისებურებები არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან იმ შემთხვევაში, როცა მშობელი ზღაპრებს უკითხავდა ბექდური სახით და თუ მშობელი მონაწილეობდა ელექტრონული წიგნებისა და საბავშვო კატალოგების/ნახატების დათვალიერების პროცესში. ავტორების თანახმად, ამ პროცესში მშობლის მონაწილეობას, მშობლის ვერბალური კომუნიკაციას, უკუკავშირს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ბავშვის თხრობითი მეტყველების განვითარებისთვის. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ სკოლამდელი ბავშვის თხრობითი მეტყველების განვითარებისთვის აუცილებელია მშობლის მიერ მიწოდებული სამეტყველო ნიმუშები (Lauricella A.R. Barr R. Calvert S.L., 2014).

მსგავს საკითხს ეხება ამერიკულ პოპულაციაზე ჩატარებული კვლევა, სადაც მონაწილეობდნენ 17-26 თვის ბავშვები და მათი მშობლები, რომლებიც შვილებს უკითხავდნენ ელექტრონულ ან ბექდურ მოთხრობებსა და ზღაპრებს. აღნიშნული კვლევის ავტორებიც იზიარებენ მშობლის თანამონაწილეობის კრიტიკული მნიშვნელობის მოსაზრებას. მშობლისა და შვილის მიერ ელექტრონული თუ ბექდური წიგნების ერთობლივი კითხვა განაპირობებს ბავშვის ლინგვისტურ განვითარებას, რადგან ამ პროცესში მშობელი უკითხავს ბავშვს ზღაპრებს, უსვამს მარტივ

შეკითხვებს, აწოდებს უკუკავშირსა და მშობლიური ენისთვის დამახასიათებელ ენობრივ მოდელებს. მეტიც, ისინი საუბრობენ მშობლისა და ადრეული სკოლამდელი ასაკის ბავშვის ერთობლივი კითხვა შეიძლება იყოს ბავშვის ენისა და მეტყველების განვითარების პრედიქტორი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ მშობელთან გაზიარებული კითხვის პროცესში 2 წლის ასაკის ბავშვის თუნდაც არავერბალური ჩართულობა განსაზღვრავს 2,5 წლისა და 4 წლის ასაკში მისი ლექსიკური მარაგის სიმდიდრეს (Strouse G.A. and Ganea P.A., 2017).

განხილული კვლევები მიუთითებს ენისა და მეტყველების დაუფლების პროცესის სპეციფიკის მიმართ ქართველ ფსიქოლოგთა ინტერესზე. ამასთან ერთად, ბოლო ათწლეულის განმავლობაში იზრდება ენის ათვისების პროცესზე კომპიუტერული ტექნიკის გავლენის კვლევის აქტუალობა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულენოვანი ბავშვების მონაწილეობით ჩატარებული კვლევები მოიცავდა ენისა და მეტყველების მხოლოდ ცალკეულ კომპონენტს, ამასთან ერთად იმის დასადგენად, თუ რა გავლენა აქვს ქართული ენის ათვისებაზე ტექნიკის ჩართულობის მაღალ ხარისხს, ქართულენოვან პოპულაციაში კვლევა აქამდე არ ჩატარებულა. მოცემული კვლევა, კი დაგეგმარება ექსპრესიული და რეცეპტული ენისა და მეტყველების დაუფლების რამდენიმე კომპონენტის თავისებურების გამოვლენასა და ტექნიკის გავლენის დადგენაში. რაც ხელს შეუწყობს ერთი მხრივ ენისა და მეტყველების ათვისების ქართულენოვანი ნორმის დადგენას, ხოლო მეორე მხრივ პრობლემის ადრეულ იდენტიფიკაციასა და შესაბამისი ჩარევის ეფექტურობას.

კვლევის მიზანი:

- ✓ ენისა და მეტყველების კომპონენტების ათვისების თავისებურებების კვლევა ქართულენოვან პოპულაციაში;
- ✓ ენისა და მეტყველების ათვისების პრედიქტორების დადგენა;
- ✓ სკოლამდელი ასაკის ბავშვების ყოველდღიურობაში კომპიუტერული ტექნიკის ჩართულობის მაღალი ხარისხისა და მზრუნველთან გატარებული დროის თანაფარდობის მიხედვით, მშობლიური ენის მორფო-სინტაქსის ათვისების თავისებურებების კვლევა.

კვლევის ამოცანები:

- ✓ ქართული ენისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური პროცესებისა და იმ ლინგვისტური უნივერსალების ანალიზი, რომლებიც გვხვდება როგორც ქართულ, ასევე სხვა ენების ათვისების პროცესში;
- ✓ ტექნიკასა და მზრუნველთან გატარებული დროის მიხედვით, სკოლამდელი ასაკის ბავშვების ენისა და მეტყველების შეფასება, მათი შედეგების შედარება;
- ✓ გამოვლენილი სპეციფიკის ინტერპრეტაცია შესაბამისი თეორიული მოდელის ფარგლებში.

კვლევის ჰიპოთეზა ასეთია, მზრუნველთან ურთიერთობისგან განსხვავებით, არის თუ არა ტექნიკაზე მიჯაჭვულობა მორფო-სინტაქსის ათვისების განსხვავებული პატერნის პრედიქტორი.

მორფო-სინტაქსის ათვისების უნარის შესაფასებელ ცვლადებად გამოყენებულია წესიერი და არაწესიერი ზმნების გამოყენების სპეციფიკა, მრავლობითი ფორმის წარმოებისა და ვიზუალურ-სივრცითი მიმართებების გამომხატველი ცნებების გაგება და გამოყენება.

თავი II. მეთოდი, მასალა, პროცედურა და კვლევის მონაწილეები

§ 2.1. მეთოდი

კვლევის დროს გამოყენებულია სკოლამდელი ასაკის ბავშვების (1-დან 6 წელი) ენისა და მეტყველების შესაფასებელი ინსტრუმენტი (იხ. დანართი 1), რომელიც მოცემული კვლევისთვის შეიქმნა. აღნიშნული ინსტრუმენტი მოიცავს თავისუფალ თამაშს, სინტაქსის, მორფოლოგიის, ფონოლოგიის, ლექსიკური მარაგის, არტიკულაციისა და თხრობითი მეტყველების შესაფასებელ სპეციალურ დავალებებს. კვლევის დროს ბავშვების მეტყველება თავისუფალი თამაშისას, იწერებოდა ხმის ჩამწერ აპარატზე.

ამასთან ერთად, ბავშვის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, მშობელი ავსებდა კითხვარს (იხ. დანართი 2).

§ 2.2. მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობდნენ პრაქტიკულად ჯანმრთელი, ნორმალურად განვითარებული მეტყველების მქონე 3-6 წლის ბავშვები, სულ 65 მონაწილე. მონაწილეების შერჩევა მიმდინარეობდა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, ქ.თბილისისა და ქ. ბათუმის ბალებში. აქედან 3და 4 წლამდე ასაკის

ცხრილი 2.1 კვლევის მონაწილეთა რაოდენობის განაწილება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით

ასაკობრივი კატეგორიები (თვეების სიხშირე პროცენტი მიხედვით)		
36-47	22	33.3
48-59	19	28.8
60-72	24	36.4
სულ	65	100.0

ცხრილი 2.1 კვლევის მონაწილეთა რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით

მონაწილეთა სქესი	სიხშირე	პროცენტი
მდედრობითი	31	47.0
მამრობითი	34	51.5
სულ	65	100.0

§ 2.3. მასალა და პროცედურები

კვლევაში ექსპრესიული და რეცეპტული მეტყველება ფასდებოდა როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ სიტუაციაში. ბავშვებისთვის თავისუფალი თამაშის სახით შეთავაზებული იყო 2 როლური თამაშიდან ერთერთი. როლური თამაშის მიმდინარეობა იწერებოდა ხმის ჩამწერ აპატარზე, რაც საშუალებას იძლევა დავადგინოთ ბავშვის მეტყველების ლექსიკური მრავალფეროვნება, გამონათქვამის საშუალო სიგრძე და წინადადების მაქსიმალური სიგრძე.

რაც შეეხება ინსტრუმენტის სპეციალურ დავალებებს, ექსპრესიული მეტყველების შესაფასებელი კომპონენტი შედგება დასახელების უნარის შესაფასებელ ილუსტრაციებისგან (ცხოველები, ყოფითი საგნები), მარტივი და რთული სიუჟეტური სურათებისგან, ამასთან ერთად, არტიკულაციის, ფონოლოგიური ანალიზისა და სინთეზის უნარის შესაფასებელი ზეპირი დავალებებისგან. სულ 36 დავალება.

რეცეპტული მეტყველების შესაფასებელი კომპონენტი კი მოიცავს მარტივი, ერთნაწილიანი და რთული ორ და სამნაწილიანი ინსტრუქციის შესრულებას, მორფო-სინტაქსურად რთული წინადადებების გამომხატველ ილუსტრაციებს. სულ 32 დავალება.

პროცედურა

შეფასება იწყებოდა 10 წუთიანი თავისუფალი თამაშით, რაც მონაწილეებს გარემოსა და სიტუაციასთან შეგულების საშუალებას აძლევდა. თამაში იწყებოდა ბავშვის

არჩევანისა და ინტერესების მიხედვით. ამასთან ერთად დავისვით რამდენიმე კითხვა საკუთარი თავისა და ინტერესების შესახებ.

-რა გქვია?

-რა გვარი ხარ?

-რამდენი წლის ხარ?

-როდის გაქვს დაბადების დღე?

-რომელი თამაში გიყვარს ყველაზე მეტად?

-ვისთან ერთად თამაშობ ყველაზე ხშირად?

შემდეგ ეტაპზე კი მონაწილეს მიეწოდებოდა სპეციალური დავალებები: ვიზუალური მასალის გამოყენებით დასახელებული საგნების ჩვენება, საგნების დასახელება, ცხოველების გახმოვანება, არსებითი სახელისა და ზმნების მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის, როგორც ჩვენება, ასევე დასახელება, ვიზუალურ-სივრცითი მიმართების გამომხატველი სიტყვების გამოყენება, გაგება და ა.შ. აღნიშნულ ნაწილს ეთმობოდა დაახლოებით 50-70 წუთი.

შეფასების პროცესი სრულდებოდა ისევ თავისუფალი თამაშით, რომელსაც ბავშვი ჩვენ მიერ შეთავაზებული ვარიანტებიდან ირჩევდა. შეფასების ეს ნაწილი გრძელდებოდა 10 წუთი, საერთო ჯამში კი, სრული შეფასების პროცესი მოიცავს დაახლოებით 60-90 წუთს.

თავი III. კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა პროგრამა SPSS 20-ში და გამოყენებულია შემდეგი სტატისტიკური პროცედურები: მონაცემთა აღსაწერად ცვლადების საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა, ჰიპოთეზის შესაბამისი ტესტის კონკრეტული დავალებების მონაცემთა სტანდარტიზაცია; ხოლო ჰიპოთეზის შემოწმებისთვის გამოყენებულია წრფივი რეგრესიული ანალიზის მეთოდი.

§ 3.1 მონაცემთა საწყისი დამუშავება

საწყის დასამუშავებელ მასალას წარმოადგენდა მრავლობითი რიცხვის გაგებისა და წარმოების, ზმნების გამოყენებისა და ვიზუალურ-სივრცითი მიმართულების აღმნიშვნელი სიტყვების გაგება-გამოყენების უნარების შესაფასებელი შემდეგი დავალებები:

1. არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის დასახელება მაგალითის მიცემის შემდეგ;
2. მრავლობით რიცხვში დასახელებული არსებითი სახელის შესაბამისი ნახატის ჩვენება;
3. წესიერი და არაწესიერი ზმნების მრავლობითი რიცხვის წარმოება;
4. სივრცითი მიმართულების აღმნიშვნელი სიტყვებისა და თანდებულების გაგება;
5. სივრცითი მიმართულების აღმნიშვნელი სიტყვებისა და თანდებულების წარმოება;
6. მიმართულების აღმნიშვნელი ზმნიშედეგების გაგება და შესაბამისი სურათის დასახელება;
7. წესიერი ზმნების დროის წარმოება;

8. ზმნების უსრული ასპექტის წარმოება-მითითებული ზმნების დასახელება წარსულ დაუსრულებელ დროში;
9. ილუსტრაციის მიხედვით, ორი მოქმედების დასახელება.

თითოეული დავალების ნედლი ქულა დაჯამდა, გადავიდა სტანდარტულ ქულებში და შემდეგ ისევ შეიკრიბა.

თითოეული უნარის შესაფასებელი ჯამური დავალების სტანდარტული ქულების განაწილება ასეთია:

ცხრილი 3.1 ზმნების გაგებისა და წარმოების უნარის შეფასების ჯამური სტანდარტული ქულების აღწერითი სტატისტიკა

N	მინიმალური	მაქსიმალური	საშუალო	სტ.გადახრა
65	35.64	64.54	50.0000	10.00000

ცხრილი 3. 2 სივრცითი მიმართებების გამომხატველი სიტყვების გაგებისა და წარმოების უნარის შეფასების ჯამური სტანდარტული ქულების აღწერითი სტატისტიკა

N	მინიმალური	მაქსიმალური	საშუალო	სტ.გადახრა
65	35.64	64.54	50.0000	10.00000

ცხრილი 3. 3. მრავლობითი რიცხვის გაგებისა და წარმოების უნარის შეფასების ჯამური სტანდარტული ქულების აღწერითი სტატისტიკა

N	მინიმალური	მაქსიმალური	საშუალო	სტ.გადახრა
65	25.09	65.57	50.0000	10.00000

ამასთან ერთად, შეფასდა ტესტის სანდოობა და ვალიდობა (იხ. დანართი 3). მონაცემების მიხედვით, კრონბახის ალფა არის 0,7-ზე მეტი. რაც იმას ნიშნავს, რომ როგორც მთლიანი ინსტრუმენტი, ასევე ექსპრესიული და რეცეპტული ენისა და

მეტყველების შესაფასებელი განყოფილებები ზუსტად ზომავს ტექსტის სამიზნე უნარებს: ენისა და მეტყველების კომპონენტებს, ხოლო დავალებები არის კონსისტენტური.

ცალკეული დავალებების თითოეული ქვედავალების სირთულე შეფასდა Microsoft Excel პროგრამის საშუალებით (იხ: დანართი 4).

ინსტრუმენტის სანდოობა და დავალებების დისკრიმინაციული ღირებულება შეფასდა შემდეგი გადანაწილებით: 1. 3-დან 4 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეობით ექსპრესიული ენისა და მეტყველების შესაფასებელი დავალებების სანდოობა და დისკრიმინაცია (იხ: ცხრილი ა და ცხრილი ბ); 2. 3-დან 4 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეობით რეცეპტული ენის შესაფასებელი დავალებების სანდოობა და დისკრიმინაცია (იხ: ცხრილი გ და ცხრილი დ); 3. 3-დან 4 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეობით ექსპრესიული და რეცეპტული ენისა და მეტყველების შესაფასებელი დავალებების სანდოობა და დისკრიმინაცია (იხ: ცხრილი ე და ცხრილი ვ); 4. 4-დან 5 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეობით ექსპრესიული ენისა და მეტყველების შესაფასებელი დავალებების სანდოობა და დისკრიმინაცია (იხ: ცხრილი ზ და ცხრილი თ); 5. 4-დან 5 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეობით რეცეპტული ენის შესაფასებელი დავალებების სანდოობა და დისკრიმინაცია (იხ: ცხრილი ი და ცხრილი კ); 6. 4-დან 5 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეობით ექსპრესიული ენისა და მეტყველების შესაფასებელი დავალებების სანდოობა და დისკრიმინაცია (იხ: ცხრილი ლ და ცხრილი მ); 7. 5-დან 6 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეობით ექსპრესიული ენისა და მეტყველების შესაფასებელი დავალებების სანდოობა და დისკრიმინაცია (იხ: ცხრილი ნ და ცხრილი ო); 8. 5-დან 6 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეობით რეცეპტული ენის შესაფასებელი დავალებების სანდოობა და დისკრიმინაცია (იხ: ცხრილი პ და ცხრილი ჟ); 9. 5-დან 6 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეობით ექსპრესიული და რეცეპტული ენისა და მეტყველების შესაფასებელი დავალებების სანდოობა და დისკრიმინაცია (იხ: ცხრილი რ და ცხრილი ს);


§ 3.2. ასაკობრივი ჯგუფების მონაცემთა ანალიზი

მონაცემების დამუშავების საწყის ეტაპზე მონაწილეები განაწილდნენ 3 ასაკობრივ ჯგუფში. ესენია: 1. 3 წლიდან 3 წლისა და 11 თვის ასაკი; 2. 4 წლიდან 4 წლისა და 11 თვის ასაკი; 3. 5 წლიდან 6 წლამდე ასაკი;

მონაცემთა დამუშავების პროცესში დამოუკიდებელი ცვლადებით მანიპულირების მიზნით, შეიქმნა მათი ინდიკატორული ცვლადები. შეიქმნა ტექნიკასა და მზრუნველთან გატარებული დროის 2 მნიშვნელობის მქონე 2 ნომინალური ცვლადი, რამაც შემდეგ მრავლობითი წრფივი რეგრესიული ანალიზის განხორციელების საშუალება მოგვცა. ამდენად, ტექნიკასთან და მზრუნველთან გატარებული დრო დაიყო 4 კატეგორიად: 1. დღის განმავლობაში ტექნიკასთან 1 საათამდე დროის გატარება; 2. დღის განმავლობაში ტექნიკასთან 1 საათზე მეტი დროის გატარება; 3. დღის განმავლობაში მზრუნველთან 1 საათამდე დროის გატარება; 4. დღის განმავლობაში მზრუნველთან 1 საათზე მეტი დროის გატარება.

ჩატარდა დამოკიდებული ცვლადების ვიზუალური ტესტირება წრფივ კორელაციაზე, რომლის თანახმად, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ რიცხვით ცვლადებს შორის არის გარკვეული (რიგ შემთხვევაში დადებითი, რიგ შემთხვევაში- უარყოფითი) წრფივი კორელაცია. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს შემდგომში განვაგრძოთ რეგრესიული ანალიზი და ვაწარმოთ უშუალოდ მრავლობითი წრფივ რეგრესია.

ფიგურა 3.1 დამოკიდებულ ცვლადთა წრფივი ურთიერთკავშირი



მონაცემები დამუშავდა როგორც თითოეული ასაკობრივი კატეგორიისთვის ცალკე, ასევე სამივე ასაკობრივი კატეგორიის გაერთიანებით. მრავლობითი წრფივი რეგრესიის პირველი საფეხური განხორციელდა ENTER მეთოდის გამოყენებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საბოლოო რეგრესიის მოდელის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღო ყველა სამიზნე ცვლადმა. ამ მეთოდმა საშუალება მოგვცა დავკვირვებოდით იმ ცვლადებს, რომლების შესაძლოა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად იყოს დაკავშირებული დამოკიდებულ ცვლადთან. სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაკავშირებული ცვლადების რედიქტულობა კი შემოწმდა მრავლობითი წრფივი რეგრესიული ანალიზის შემდეგ ეტაპზე, STEPWISE მეთოდის გამოყენებით. დამუშავების ამ ეტაპზე ყველა ცვლადი ვერ გადავიდა, რადგან არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაკავშირებული დამოკიდებულ ცვლადთან.

რეგრესიული ანალიზის პროცესში შემოწმდა მონაცემთა სფერულობა, დამოუკიდებელ ცვლადებს შორის კავშირის უარსაყოფად.

ამის შედეგად გამოვლინდა შემდეგი პრედიქტორული კავშირები სამიზნე ცვლადებს შორის:

აღნიშნულ შემთხვევაში რეგრესიის მოდელის შესაქმნელად გამოყენებულია ENTER მეთოდი, რაც იმას გულისხმობს, რომ სტატისტიკურ დამუშავებაში მონაწილეობს ყველა ცვლადი. მოცემული რეგრესიული მოდელის თანახმად, მონაცემებს შორის არ არის სფერულობა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დამოუკიდებელი მონაცემები არ არის

ერთმანეთთან კავშირში, თავის მხრივ ეს გვამღევს რეგრესიული ანალიზის გაგრძელების საშუალებას. ამასთან ერთად გამოითვალა კორელაციის კოეფიციენტი და რეგრესიის β (ბეტა) კოეფიციენტი.

3 - დან 6 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა წრფივი რეგრესიის მოდელი

3 - დან 6 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა მრავლობითი რიცხვის შეფასების სტანდარტული ქულების მაჩვენებლების მონაწილეობით წრფივი რეგრესიის მოდელის თანახმად, დღის განმავლობაში ტექნიკასთან გატარებული 1 საათი ($\beta=10, P>0,05$) ერთი შეხედვით ახდენს დადებით, ხოლო ტექნიკასთან გატარებული 1 საათზე მეტი დრო ($\beta=-10, P>0,05$)- უარყოფით გავლენას 3 დან 6 წლამდე ბავშვების მიერ მრავლობითი რიცხვის გაგებისა და წარმოების უნარზე, თუმცა შედეგები არ არის სტატისტიკურად სანდო, ამიტომ აღნიშნული ორი ცვლადი არ წარმოადგენს მრავლობითი რიცხვის წარმოებისა და გაგების უნარის დამოუკიდებელ პრედიქტორს. ანალოგიური ვითარებაა დღის განმავლობაში მზრუნველთან გატარებული 1 საათისა ($\beta=4, P=0.546$) და 1 საათზე მეტი დროისა ($\beta=-4, P=0.546$ და მრავლობითი რიცხვის გაგება-გამოყენების უნარის პრედიქტულობის თვალსაზრისით.

კორელაციის კოეფიციენტი არის 0.06 ($R^2=0.06$), რაც იმას ნიშნავს, რომ რეგრესიის ამ მოდელით შეიძლება დამოკიდებული ცვლადის 6%ზე მეტი ვარიაციის ახსნა.

აქედან გამომდინარე, საბოლოო რეგრესიული მოდელის შესაქმნელად STEPWISE მეთოდით ანალიზი ვეღარ განხორციელდა. სტატისტიკურად სანდო პრედიქტორი არ აღმოჩნდა არც ერთი დამოუკიდებელი ცვლადი.

3- დან 6 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა ზმნების გაგება-გამოყენების შეფასების სტანდარტული ქულების მონაწილეობით წრფივი რეგრესიის მოდელის მიხედვით, დღის განმავლობაში ტექნიკასთან გატარებული 1 საათი ($\beta=6, P>0,05$) ერთი შეხედვით ახდენს დადებით, ხოლო ტექნიკასთან გატარებული 1 საათზე მეტი დრო ($\beta=-6, P>0,05$)- უარყოფით გავლენას 3 დან 6 წლამდე ბავშვების მიერ ზმნების დროისა და რიცხვის გაგებისა და წარმოების უნარზე, თუმცა შედეგები არ არის სტატისტიკურად სანდო, ამიტომ აღნიშნული ორი ცვლადი არ წარმოადგენს

ზმნების გამოყენებისა და გაგების უნარის დამოუკიდებელ პრედიქტორს. ანალოგიური შედეგებია დღის განმავლობაში მზრუნველთან გატარებული 1 საათისა ($\beta=-0.8$, $P>0,05$) და 1 საათზე მეტი დროისა ($\beta=0.8$, $P>0,05$) და ზმნების გაგება-გამოყენების უნარის პრედიქტულობის თვალსაზრისით.

კორელაციის კოეფიციენტი არის 0.012 ($R^2=0.012$), რაც იმას ნიშნავს, რომ რეგრესიის ამ მოდელით შეიძლება დამოკიდებული ცვლადის 1%-ზე ნაკლები ვარიაციის ახსნა.

3 - დან 6 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა სივრცითი მიმართებების გამომხატველი სიტყვების გაგება-გამოყენების შეფასების სტანდარტული ქულების მონაწილეობით წრფივი რეგრესიის მოდელის თანახმად, დღის განმავლობაში ტექნიკასთან გატარებული 1 საათი ($\beta=3$, $P>0,05$) ერთი შეხედვით ახდენს დადებით, ხოლო ტექნიკასთან გატარებული 1 საათზე მეტი დრო ($\beta=-3$, $P>0,05$)- უარყოფით გავლენას 3 დან 6 წლამდე ბავშვების მიერ სივრცითი მიმართებების აღმნიშვნელი სიტყვებისა და ზმნისწინების გაგებისა და გამოყენების უნარზე, თუმცა შედეგები არ არის სტატისტიკურად სანდო, ამიტომ აღნიშნული ორი ცვლადი არ წარმოადგენს სივრცითი მიმართებების გამომხატველი სიტყვების გამოყენებისა და გაგების უნარის დამოუკიდებელ პრედიქტორს. ანალოგიური შედეგებია დღის განმავლობაში მზრუნველთან გატარებული 1 საათისა ($\beta=-3$, $P>0,05$) და 1 საათზე მეტი დროისა ($\beta=3$, $P>0,05$) და ვიზუალურ-სივრცითი მიმართებების აღმნიშვნელი ნაწილაკების გაგება-გამოყენების უნარის პრედიქტულობის თვალსაზრისით.

კორელაციის კოეფიციენტი არის 0.06 ($R^2=0.06$), რაც იმას ნიშნავს, რომ რეგრესიის ამ მოდელით შეიძლება დამოკიდებული ცვლადის 6%-ზე მეტი ვარიაციის ახსნა.

3 - დან 4 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა წრფივი რეგრესიის მოდელი

აღნიშნულ შემთხვევაში, როგორც ყველა ასაკობრივი კატეგორიის მონაცემების რეგრესიის მოდელის შესაქმნელად თავდაპირველად გამოყენებულია ENTER მეთოდი, რაც იმას გულისხმობს, რომ სტატისტიკურ დამუშავებაში მონაწილეობს ყველა ცვლადი. თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი ცვლადების აღმოჩენის შემდეგ, რეგრესიის საბოლოო მოდელის შესაქმნელად ანალიზი გაგრძელდა STEPWISE მეთოდის გამოყენებით. ამ გზით გამოვლინდა

დამოუკიდებელი ცვლადები, რომლებიც უფრო მეტად შესძენს რეგრესიის მოდელს სტატისტიკურ სანდოობას.

მოცემული რეგრესიული მოდელის თანახმად, მონაცემებს შორის არ არის სფერულობა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დამოუკიდებელი მონაცემები არ არის ერთმანეთთან კავშირში, თავის მხრივ ეს გვამღვს რეგრესიული ანალიზის გაგრძელების საშუალებას. ამასთან ერთად გამოითვალა კორელაციის კოეფიციენტი და რეგრესიის β (ბეტა) კოეფიციენტი.

3 - დან 4 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა სივრცითი მიმართებების გამომხატველი სიტყვების გაგება-გამოყენების შეფასების სტანდარტული ქულების მონაწილეობით წრფივი რეგრესიის მოდელის მიხედვით, 3დან 4 წლამდე ასაკის კატეგორიის მონაწილეთათვის, დღის განმავლობაში ტექნიკასთან გატარებული 1 საათი ($\beta=14, P>0,05$) ერთი შეხედვით ახდენს დადებით, ხოლო ტექნიკასთან გატარებული 1 საათზე მეტი დრო ($\beta=-14, P>0,05$)- უარყოფით გავლენას 3 დან 6 წლამდე ბავშვების მიერ სივრცითი მიმართებების აღმნიშვნელი სიტყვებისა და ზმნისწინების გაგებისა და გამოყენების უნარზე, თუმცა შედეგები არ არის სტატისტიკურად სანდო, ამიტომ აღნიშნული ორი ცვლადი არ წარმოადგენს სივრცითი მიმართებების გამომხატველი სიტყვების გამოყენებისა და გაგების უნარის დამოუკიდებელ პრედიქტორს. ანალოგიური შედეგებია დღის განმავლობაში მზრუნველთან გატარებული 1 საათისა ($\beta=-3, P>0,05$) და 1 საათზე მეტი დროისა ($\beta=3, P>0,05$) და ვიზუალურ-სივრცითი მიმართებების აღმნიშვნელი ნაწილაკების გაგება-გამოყენების უნარის პრედიქტულობის თვალსაზრისით.

კორელაციის კოეფიციენტი არის 0.117 ($R^2=0.117$), რაც იმას ნიშნავს, რომ რეგრესიის ამ მოდელით შეიძლება დამოუკიდებელი ცვლადის 11%ზე მეტი ვარიაციის ახსნა.

ცხრილი 3.1 3 - დან 4 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა მაჩვენებლების მონაწილეობით წრფივი რეგრესიის მოდელი, ზმნების გაგება-გამოყენების შეფასების სტანდარტული ქულების მიმართ.

დამოუკიდებელი ცვლადები	მეთოდი	დამოკიდებული ცვლადი	R^2	ANOVA	β	Sig (P)	სფერულობის	სფერულობის შემოწმება

							სტატისტიკა			
							Tolerance	VIF	Eigenvalue	Condition index
1სთზე მეტი ტექნიკასთან	ENTER	ზმნები	0.19	4.506	-31	0.047	1.000	1.000	1.577	1.000
									0.423	1.932
1სთზე მეტი მზრუნველთან	ENTER		0.19	0.386	16	0.542	1.000	1.000	1.951	1.000
									0.49	6.323
1სთზე ნაკლები ტექნიკასთან	ENTER		0.19	3.053	35	0.239	0.947	1.056	2.043	1.000
									0.187	1.621
										3.369
1სთზე ნაკლები მზრუნველთან	ENTER		0.19	3.053	-29	0.029	0.947	1.056	2.043	1.000
									0.187	1.621
										3.369

რეგრესიული მოდელის შექმნის საწყის ეტაპზე გამოყენებულია ENTER მეთოდი, რომლის შედეგების თანახმად, დღის განმავლობაში 1 საათზე მეტი დროის გატარება ტექნიკასთან 3 წლამდე ასაკში ზმნების გაგებისა და გამოყენების უნარის უარყოფითი პრედიქტორია ($\beta=-31$, $P<0.05$). ასევე დღის განმავლობაში 1 საათზე ნაკლები დროით

ურთიერთობა მზრუნველთან წარმოადგენს 3 წლამდე ასაკში ზმნების გაგება-გამოყენების უნარის უარყოფით პრედიქტორს ($\beta=-29$. $P<0.05$). დანარჩენი 3 დამოუკიდებელი ცვლადი არ აღმოჩნდა დამოკიდებული ცვლადის სტატისტიკურად სანდრო პრედიქტორი.

მონაცემების მიხედვით, კორელაციის კოეფიციენტი არის 0.19 ($R^2=0.19$), რაც იმას ნიშნავს, რომ რეგრესია ამ მოდელით შეიძლება დამოკიდებული ცვლადის 19%ზე მეტი ვარიაციის ახსნა.

ამის შემდეგ მონაცემთა რეგრესიის მოდელის შერჩევით სტატისტიკური დამუშავება გაგრძელდა STEPWISE მეთოდის გამოყენებით. საბოლოო რეგრესიული მოდელის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ იმ ცვლადებმა, რომლებმაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამატებითი ღირებულება შესძინეს რეგრესიის მოდელს. აქედან გამომდინარე, დარჩა მხოლოდ ის ცვლადები, რომლებიც დამოუკიდებელ პრედიქტორებს წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში ეს დამოუკიდებელი პრედიქტორი აღმოჩნდა დღის განმავლობაში ტექნიკასთან 1 საათზე მეტი დროის ($\beta=-31$. $P<0.05$).

ცხრილი 3. 2 3 - დან 4 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა მაჩვენებლების მონაწილეობით წრფივი რეგრესიის საბოლოო მოდელი, ზმნების გაგება-გამოყენების შეფასების სტანდარტული ქულების მიმართ.


დამოუკიდებელი ცვლადი	დამოკიდებული ცვლადი	მეთოდი	R ²	ANOVA	β	Sig (P)	სფერულობის სტატისტიკა	სფერულობის შემოწმება	Tolerance	VIF	Eigenvalue	condition index
1	ზმნები	STEP	0.19	3.053	-31	0.02	0.947	1.05	1.57	1.000		
საათზე მეტი ტექნიკასთან		WISE		SIG. 0.072		9	6	7	1.932		0.42	3

რეგრესიული ანალიზის მეორე საფეხურზე დარჩა მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ცვლადი, ტექნიკასთან დღის განმავლობაში 1 საათზე მეტი დროის გატარება. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ეს ცვლადია 3 წლამდე ასაკში ზმნების პირის, რიცხვის, დროის გაგების და გამოყენების უნარის დამოუკიდებელი პრედიქტორი


შემთხვევათა ანალიზის შედეგების მიხედვით, არ დაფიქსირებულა არც ერთი მონაწილე, რომლის მონაცემები 2 სტანდარტულ გადახრაზე მეტით არის განსხვავებული დანარჩენი მონაწილეების მონაცემებისგან.

აღნიშნული ჰისტოგრამა გვიჩვენებს, რომ სტანდარტული რეზიდუალური მაჩვენებლების მოზახულობა ახლოსაა ნორმალური განაწილების მრუდთან.

ფიგურა 3.2. სტანდარტული რეზიდუალური მაჩვენებლების განაწილება



ფიგურა 3.3. სტანდარტული რეზიდუალური მაჩვენებლების განაწილება



ამ შემთხვევაში სტანდარტული რეზიდუალური ქულები არ არის თანაბრად განაწილებული ნულოვანი ღერძის ირგვლივ.

ცხრილი 3.3 3 - დან 4 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა მაჩვენებლების მონაწილეობით წრფივი რეგრესიის მოდელი, მრავლობითი რიცხვის გაგება-გამოყენების შეფასების სტანდარტული ქულების მიმართ.

დამოუკი დებელი ცვლადი	დამოკი დებულ ცი	მეთო დი	R ²	ANO VA	β	Sig (P)	სფერულობ ის სტატისტიკ ა	სფერულობი ს შემოწმება	Tolera nce	VIF	Eigen value	condi tion index
1სთზე მეტი ტექნიკასთან	მრავლო ბითი	ENTER	0.26	3.212	-25	0.024	0.947	1.05	2.439	1.000	2.180	7.124
1სთზე მეტი მშობელთან	მრავლო ბითი	ENTER	0.26	3.212	19	0.255	0.947	1.05	2.439	1.000	2.180	7.124

1სათზე	მრავლო	ENTER	0.2	3.212	25	0.0	0.947	1.05	2.043	1.000
ნაკლები	ბითი		6	SIG.		24		6	0.777	1.621
ტექნიკასთან				0.064					0.180	3.369
1სათზე	მრავლო	ENTER	0.2	3.212	-19	0.2	0.947	1.05	2.043	1.000
ნაკლები	ბითი		6	SIG.		55		6	0.777	1.621
მშობელთან				0.064					0.180	3.369

რეგრესიული მოდელის შექმნის საწყის ეტაპზე გამოყენებულია ENTER მეთოდი, რომლის შედეგების თანახმად, დღის განმავლობაში 1 საათზე მეტი დროის გატარება ტექნიკასთან 3 წლამდე ასაკში მრავლობითი რიცხვის გაგებისა და გამოყენების უნარის უარყოფითი პრედიქტორია ($\beta=-25$, $P<0.05$). ხოლო დღის განმავლობაში 1 საათზე ნაკლები დროით ურთიერთობა ტექნიკურ საშუალებებთან წარმოადგენს 3 წლამდე ასაკში მრავლობითი რიცხვის გაგება-გამოყენების უნარის დადებით პრედიქტორს ($\beta=29$, $P<0.05$). დანარჩენი 3 დამოუკიდებელი ცვლადი არ აღმოჩნდა დამოკიდებული ცვლადის სტატისტიკურად სანდრო პრედიქტორი.

მონაცემების მიხედვით, კორელაციის კოეფიციენტი არის 0.26 ($R^2=0.26$), რაც იმას ნიშნავს, რომ რეგრესია ამ მოდელით შეიძლება დამოკიდებული ცვლადის 26%-ზე მეტი ვარიაციის ახსნა.

ამის შემდეგ მონაცემთა რეგრესიის მოდელის შერჩევით სტატისტიკური დამუშავება გაგრძელდა STEPWISE მეთოდის გამოყენებით. საბოლოო რეგრესიული მოდელის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ იმ ცვლადებმა, რომლებმაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამატებითი ღირებულება შესძინეს რეგრესიის მოდელს. აქედან გამომდინარე, დარჩა მხოლოდ ის ცვლადები, რომლებიც დამოუკიდებელ პრედიქტორებს წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში ეს დამოუკიდებელი პრედიქტორები აღმოჩნდა დღის განმავლობაში ტექნიკასთან 1 საათზე მეტი დროის ($\beta=-23$, $P<0.05$) და ერთ საათზე ნაკლები დროის გატარება ($\beta=23$, $P<0.05$).


ცხრილი 3.4 3 - დან 4 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა მაჩვენებლების მონაწილეობით წრფივი რეგრესიის საბოლოო მოდელი, მრავლობითი რიცხვის გაგება-გამოყენების შეფასების სტანდარტული ქულების მიმართ.

დამოუკიდებელი ცვლადი	დამოკიდებული ცვლადი	მეთოდი	R ²	ANOVA	β	Sig	სფერულობის სტატისტიკა	სფერულობის შემოწმება	Tolerance	VIF	Eigen value	condition index
1სთზე ნაკლები ტექნიკასთან	მრავლობითი	STEP WISE	0.2	4.944	23	0.0	0.94	1.05	1.816	1.000		
				SIG.		39	7	6	0.184	3.146		
				0.039								
1 საათზე მეტი ტექნიკასთან	მრავლობითი	STEP WISE	0.2	4.944	-23	0.0	1.00	1.00	1.577	1.000		
				SIG.		39	0	0	0.423	1.932		
				0.039								


რეგრესიული ანალიზის მეორე საფეხურზე დარჩა მხოლოდ ორი დამოუკიდებელი ცვლადი, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ეს ცვლადებია 3 წლამდე ასაკში მრავლობითი რიცხვის გაგების და გამოყენების უნარის დამოუკიდებელი პრედიქტორები.

შემთხვევათა ანალიზის შედეგების მიხედვით, არ დაფიქსირებულა არც ერთი მონაწილე, რომლის მონაცემები 2 სტანდარტულ გადახრაზე მეტით არის განსხვავებული დანარჩენი მონაწილეების მონაცემებისგან. აღნიშნული ჰისტოგრამა გვიჩვენებს, რომ სტანდარტული რეზიდუალური მაჩვენებლების მოზახულობა ახლოსაა ნორმალური განაწილების მრუდთან.

ფიგურა 3.4. სტანდარტული რეზიდუალური მაჩვენებლების განაწილება



ფიგურა 3.5. სტანდარტული რეზიდუალური მაჩვენებლების განაწილება



ხოლო სტანდარტული რეზიდუალური ქულები მეტნაკლებად თანაბრადაა განაწილებული ნულოვანი ღერძის ირგვლივ.

4 -დან 5 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა წრფივი რეგრესიის მოდელი

4 -დან 5 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის რეგრესიული მოდელის შექმნისთვის სამივე დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში, გამოყენებულია მხოლოდ ENTER მეთოდი, რადგან არც ერთი დამოუკიდებელი ცვლადის პრედიქტორული კავშირი დამოკიდებულ ცვლადთან არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო.

4 - დან 5 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა მრავლობითი რიცხვის გაგება-გამოყენების შეფასების სტანდარტული ქულების მონაწილეობით წრფივი რეგრესიის საბოლოო მოდელის მიხედვით, დღის განმავლობაში ტექნიკასთან 1 საათზე მეტი დროის გატარების ცვლადი დამოკიდებული ცვლადის უარყოფითი პრედიქტორია, თუმცა ეს კავშირი არ არის სტატისტიკურად სანდო ($\beta=-1$, $P>0.05$). ანალოგიური მდგომარეობაა დანარჩენი 3 დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში, რომელსთაგან არც ერთი აღმოჩნდა დამოკიდებული ცვლადის სტატისტიკურად სანდრო პრედიქტორი.

მონაცემების მიხედვით, კორელაციის კოეფიციენტი არის 0.02 ($R^2=0.02$), რაც იმას ნიშნავს, რომ რეგრესია ამ მოდელით შეიძლება დამოკიდებული ცვლადის 2%-ზე მეტი ვარიაციის ახსნა.

4 - დან 5 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა სივრცის ვერბალური მიმართებების გაგება-გამოყენების შეფასების სტანდარტული ქულების მონაწილეობით წრფივი რეგრესიის საბოლოო მოდელის თანახმად, დღის განმავლობაში ტექნიკასთან 1 საათზე მეტი დროის გატარება დამოკიდებული ცვლადის, ამ შემთხვევაში 4დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ ვიზუალურ-სივრცითი მიმართებების გამოყენება-გაგების უნარის უარყოფითი პრედიქტორია, თუმცა ეს კავშირი არ არის სტატისტიკურად სანდო ($\beta=-3$, $P>0.05$). ანალოგიური მდგომარეობაა დანარჩენი 3 დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში, რომელსთაგან არც ერთი აღმოჩნდა დამოკიდებული ცვლადის სტატისტიკურად სანდრო პრედიქტორი.

მონაცემების მიხედვით, კორელაციის კოეფიციენტი არის 0.01 ($R^2=0.01$), რაც იმას ნიშნავს, რომ რეგრესია ამ მოდელით შეიძლება დამოკიდებული ცვლადის 1%-ზე მეტი ვარიაციის ახსნა.

4 - დან 5 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა ზმნების გაგება-გამოყენების შეფასების სტანდარტული ქულების მონაწილეობით წრფივი რეგრესიის საბოლოო მოდელის თანახმად, დღის განმავლობაში ტექნიკასთან 1 საათზე მეტი დროის გატარება დამოკიდებული ცვლადის, ამ შემთხვევაში 4დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ ზმნების პირის, რიცხვისა და დროის წარმოება-გაგების უნარის

უარყოფითი პრედიქტორია, თუმცა ეს კავშირი არ არის სტატისტიკურად სანდო ($\beta = -0.2$, $P > 0.05$). ანალოგიური მდგომარეობაა დანარჩენი 3 დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში, რომელსთაგან არც ერთი აღმოჩნდა დამოკიდებული ცვლადის სტატისტიკურად სანდრო პრედიქტორი. მონაცემების მიხედვით, კორელაციის კოეფიციენტი არის 0 ($R^2 = 0$), რაც იმას ნიშნავს, რომ რეგრესია ამ მოდელით შეუძლებელია დამოკიდებული ცვლადის ვარიაციის ახსნა.

5 -დან 6 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა წრფივი რეგრესიის მოდელი

5- დან 6 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის რეგრესიული მოდელის შექმნისთვის სამივე დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში, გამოყენებულია მხოლოდ ENTER მეთოდი, რადგან არც ერთი დამოუკიდებელი ცვლადის პრედიქტორული კავშირი დამოკიდებულ ცვლადთან არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო.

5 - დან 6 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა ზმნების გაგება-გამოყენების შეფასების სტანდარტული ქულების მონაწილეობით წრფივი რეგრესიის საბოლოო მოდელის თანახმად, დღის განმავლობაში ტექნიკასთან 1 საათზე მეტი დროის გატარება დამოკიდებული ცვლადის, ამ შემთხვევაში 5დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ ზმნების პირის, რიცხვისა და დროის წარმოება-გაგების უნარის დადებითი პრედიქტორია, თუმცა ეს კავშირი არ არის სტატისტიკურად სანდო ($\beta = 0.4$, $P > 0.05$). ანალოგიური მდგომარეობაა დანარჩენი 3 დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში, რომელსთაგან არც ერთი აღმოჩნდა დამოკიდებული ცვლადის სტატისტიკურად სანდრო პრედიქტორი.

მონაცემების მიხედვით, კორელაციის კოეფიციენტი არის 0 ($R^2 = 0$), რაც იმას ნიშნავს, რომ რეგრესია ამ მოდელით შეუძლებელია დამოკიდებული ცვლადის ვარიაციის ახსნა.

5 - დან 6 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა სივრცითი ვერბალური მიმართებების გაგება-გამოყენების შეფასების სტანდარტული ქულების მონაწილეობით წრფივი რეგრესიის საბოლოო მოდელის, თანახმად, დღის განმავლობაში ტექნიკასთან 1 საათზე მეტი დროის გატარება დამოკიდებული

ცვლადის, ამ შემთხვევაში 5დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ სივრცითი მიმართებების აღმნიშვნელი სიტყვებისა და წინდებულების გაგება-გამოყენებს უნარის დადებითი პრედიქტორია, თუმცა ეს კავშირი არ არის სტატისტიკურად სანდო ($\beta=0.6$. $P>0.05$). ამასთან ერთად უჩვეულოა მზრუნველთან გატარებული უმეტესი დროისა და დამოკიდებული ცვლადის ურთიერთკავშირი -დღის განმავლობაში ზრდასრულებთან 1 საათზე მეტი დროის გატარება არის სივრცითი მიმართებების გამომხატველი სიტყვების გამოყენებისა და გაგების უნარის უარყოფითი პრედიქტორი ($\beta=-3.7$. $P>0.05$), თუმცა მონაცემების მიხედვით, ამგვარი კავშირი არ არის სტატისტიკურად სანდო.

მონაცემების მიხედვით, კორელაციის კოეფიციენტი არის 0.06 ($R^2=0.06$), რაც იმას ნიშნავს, რომ რეგრესია ამ მოდელით შეიძლება დამოკიდებული ცვლადის 6%ზე მეტი ვარიაციის ახსნა.

5 - დან 6 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთა მრავლობითი რიცხვის გაგება-გამოყენების შეფასების სტანდარტული ქულების მონაწილეობით წრფივი რეგრესიის საბოლოო მოდელის თანახმად, დღის განმავლობაში ტექნიკასთან 1 საათზე მეტი დროის გატარება დამოკიდებული ცვლადის, ამ შემთხვევაში 5დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ არსებითი სახელისა და ზმნის მრავლობითი რიცხვის წარმოება-გაგების უნარის უარყოფითი პრედიქტორია, თუმცა ეს კავშირი არ არის სტატისტიკურად სანდო ($\beta=-13$. $P>0.05$). ამის მსგავსად, მზრუნველთან უმეტესი დროის გატარებაც არის მრავლობითი რიცხვის გაგება-გამოყენების უნარის უარყოფითი პრედიქტორი ($\beta=-9$. $P>0.05$)., თუმცა არც აღნიშნული კავშირია სტატისტიკურად სანდო.

მონაცემების მიხედვით, კორელაციის კოეფიციენტი არის 0.17 ($R^2=0.17$), რაც იმას ნიშნავს, რომ რეგრესია ამ მოდელით შეიძლება დამოკიდებული ცვლადის 17%ზე მეტი ვარიაციის ახსნა.

თავი IV. შედეგების ინტერპრეტაცია

კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზის თანახმად გამოვლინდა, რომ დღის განმავლობაში ტექნიკასთან 1 საათზე მეტი დროის გატარება არის 3-დან 4 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის ბავშვებში, ექსპრესიული და რეცეპტული ენისა და მეტყველების მორფო-სინტაქსის განვითარების უარყოფითი პრედიქტორი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაჯეტებთან 1 საათზე უფრო ხანგრძლივი ურთიერთობა დაკავშირებულია როგორც არსებითი სახელებისა და ზმნების მრავლობითი რიცხვის, ასევე ზმნების დროის, რიცხვისა და პირის გაგება-გამოყენების დაბალ მაჩვენებელთან. ხოლო 1 საათზე ნაკლები დროის გატარება წარმოადგენს მრავლობითი რიცხვისა და ზმნების გაგება-გამოყენების დადებით პრედიქტორს. ამავ ასაკობრივ კატეგორიაში არ გამოვლინდა არავითარი კავშირი მზრუნველთან გატარებულ დროსა და ექსპრესიულ და რეცეპტულ ენასა და მეტყველებაში მორფო-სინტაქსის განვითარებას შორის.

ასევე არ გამოვლენილა სტატისტიკურად სანდო პრედიქტორული კავშირი ტექნიკასა და მზრუნველთან გატარებულ უმეტეს დროსა და 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების მორფო-სინტაქსის გაგება-გამოყენებას შორის არც ცალკე 4-დან 5 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთათვის, არც ცალკე 5-დან 6 წლამდე ასაკობრივი კატეგორიისა და ასევე, არც სამივე ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეთათვის ერთად.

ამდენად, ჰიპოთეზაში წარმოდგენილი მოსაზრება, რომ ტექნიკაზე მიჯაჭვულობა არის 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების ექსპრესიული და რეცეპტული მორფო-სინტაქსის განვითარების, მზრუნველთან ურთიერთობისგან განსხვავებული პრედიქტორი, დადასტურდა მხოლოდ 3-დან 4 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში, მრავლობითი რიცხვისა და ზმნების გაგება-წარმოების უნარის შემთხვევაში.

მსოფლიოს ენებს შორის გამოიყოფა ერგატიულ და ნომინალურ ენათა ოჯახები. ნომინალურია ენა, რომელშიც მოქმედი პირი ზმნას შეეწყება საწყის ფორმაში. ერგატიულია ენა, რომელსაც გააჩნია ქვემდებარესა და შემასმენლის ერთმანეთთან დაკავშირების სპეციფიკური კანონოზომიერებები. ასეთ ენებს შორისაა ქართული ენა.

ქართული ენის გრამატიკაში გამოიყოფა შემდეგი მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, თანდებული, ნაწილაკი, კავშირი და შორისდებული. თითოეული მათგანის გაგება, წარმოება და გამოყენება რთულია. სწორედ ეს სირთულე გამოარჩევს ქართულ ენას სხვა ენებისგან. არსებითი სახელის გამოყენებისას საჭიროა მოსაუბრემ გაითვალისწინოს არსებითი სახელის ჯგუფი (სულიერია თუ უსულო), ობიექტის პირი და რიცხვი. ამას განსაკუთრებით ართულებს არსებითი სახელის ფორმაცვალებადობა - ბრუნვა. ქართულ ენაში გამოიყოფა 7 ბრუნვა. ბრუნვის დროს, არსებითი სახელის ფუძეზე ბრუნვის ნიშნის დართვისას შეიძლება სხვადასხვა ცვლილებები არსებობდეს (კუმშვა, კვევა, ხმოვნის ან/და თანხმოვნის გაორმაგება).

არსებითი სახელის რიცხვი შეიძლება იყოს არითმეტიკული და გრამატიკული. არითმეტიკული რიცხვი ცალკე სიტყვით გადმოიცემა, გრამატიკული კი ახლავს სიტყვის ფორმას (მაგალითად, კატა - კატები). განასხვავებენ ასევე, არსებითი სახელის გრამატიკულ და სემანტიკურ რიცხვს. გრამატიკული რიცხვი სპეციალური ნიშნით გამოიხატება, სემანტიკური კი სიტყვის შინაარსითაა გადმოცემული. გრამატიკული რიცხვი თავის მხრივ ორგვარია: მხოლობითი და მრავლობითი. ქართულში მრავლობითი რიცხვი ორგვარია ებიანი და ნართანიანი. ებიან მრავლობითს აქვს 7 ბრუნვა, ნართანიანს - 5. აქედან ნართანია 2 (სახელობითი და წოდებითი), თანიანი 3 (მოთხოვითი, მიცემითი და ნათესაობითი). ქართულში სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება ევროპულ ენებთან შედარებით განსხვავებულია.

აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება რატომ არის განსაკუთრებით რთული ქართულ ენაში არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის გაგება და გამოყენება, სხვა ენებთან შედარებით, სადაც უფრო ნაკლებია ბრუნვათა რაოდენობა, ან საერთოდ არ არის ბრუნვა და მრავლობითი რიცხვის წარმოება ხდება ცალკეული ნაწილაკის თანდართვით.

ზმნა აღნიშნავს საგნის მოქმედებას ან მდგომარეობას. გამოხატვის თვალსაზრისით ქართული ზმნა, ევროპული ენებისგან განსხვავებით, მრავალფეროვანია, შესაბამისად მოიცავს კატეგორიებს: პირი, რიცხვი, დრო, კილო, ასპექტი, გარდამავლობა, გვარი, ქცევა, კონტაქტი. მაგალითად, ზმნა ქართულში მრავალპირიანია, ევროპულ ენებში კი

იგი ყოველთვის ერთპირიანი (მაგალითად, წინადადება : „გოგონა კატას რძეს ასმევს“ - სამპირიანია). ამდენად, ზმნის წარმოება ქართულ ენაში ძალიან რთულია და მიმდინარეობს პირისა და რიცხვის ნიშნებით, დროის, კილოს კატეგორიების გათვალისწინებით.

ქართული ენის ამგვარი განსაკუთრებულობა ცხადყოფს რატომ უჭირთ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, განსაკუთრებით 3-დან 4 წლამდე, წესიერი და არაწესიერი ზმნების უღლება, პირსა და რიცხვში მონაცვლეობა (ფეიქრიშვილი. ჟ. 2010).

მორფოლოგიისა და სინტაქსის განვითარება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია, რაც გულისხმობს წინადადებისა და მისი შემადგენელი წევრების გრამატიკულად მისაღები ფორმით ორგანიზებასა და აგებას. სწორედ ამიტომ, მორფო-სინტაქსის ათვისებას ხშირად მოიხსენებენ, როგორც გრამატიკის დასწავლას (Dockrell J. and David Messer D., 1999).

კროსლინგვისტური კვლევები, სადაც შედარებულია ენის ერთი ან რამდენიმე ასპექტი, მრავალფეროვან ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებ თუ რა ზეგავლენას ახდენს მეტყველების განვითარებაზე ბავშვთან კომუნიკაციაში მყოფი ადამიანების მიერ მიწოდებული ინფორმაცია.

კვლევათა ამ მონაცემებმა, ავტორები (Bates and Marchman, 1988, ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012). მიიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ მშობლიური ენის სპეციფიკურობა ზემოქმედებს ენის ათვისების საწყის ეტაპზე მყოფი ბავშვების მიერ გრამატიკის დასწავლის პროცესზე. მათი აზრით, ბავშვების მიერ მშობლიური ენის გრამატიკული მორფოლოგიის ათვისების, სულ ცოტა, სამის გზა იკვეთება: 1) აფიქსების პროდუქტიული გამოყენება ბავშვობის ადრეული ასაკიდან; 2) მორფოლოგიური წესების გარეშე აგებული ხისტი წყობის ტელეგრაფიული ტიპის წინადადებები; 3) უაფიქსო სიტყვათა კომბინაციები, რომლებიც სხვადასხვა წყობის წინადადებებში გვხვდება. ამას გარდა, ბეიტსი და მარჩმანი ფიქრობენ, რომ ბავშვები მშობლიური ენის პერცეპტულად მნიშვნელოვან ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას. აქედან გამომდინარე, ინგლისურში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და თვალსაჩინოა სიტყვათა წყობა, თურქულ ენას ბრუნვისა და უღლების მწყობრი

მკაფიო და სემანტიკურად გამჭვირვალე სისტემა აქვს, ხოლო რუსულს და სერბულ-ხორვატიულს- ძალზე არაწესიერი და პირობითი.

ინგლისური ენის ლინგვისტურ კვლევებში მიღებულ მეორე ლინგვისტურ უნივერსალს წარმოადგენს შემდეგი დაკვირვება: ბავშვები პირველად წარმოთქმული მრავალსიტყვიანი კომბინაციებიდან ზმნებს ტოვებენ. ინგლისურში ზმნა, არსებით სახელთან შედარებით, ბოლოსართთა სიმრავლის გამო მორფოლოგიურად უფრო რთულია. თუმცა კვლევებმა გვიჩვენა რომ ბავშვები ყველა ენაში არ ტოვებენ ზმნას (McQueen, Bates 1978. ციტირებულია (Hulit, Howard, Fahey, 2012). ამასთან ერთად, ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ბავშვები თავდაპირველად იწყებენ ტელეგრაფიული სტილის მეტყველებას, რომელშიც დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვებს იყენებენ. მეტყველების ათვისების საწყის ეტაპზე, ამ სიტყვებს არ აქვთ აფიქსები. ისინი თანდათანობით ემატება პირველი 5-6 წლის მანძილზე. (Bates and Marchman, 1988, ციტირებულია Hulit, Howard, Fahey, 2012).

სემანტიკური განვითარების პერიოდში გამოვლენილი ზეგენერალიზაციის შეცდომა, ასევე დამახასიათებელია მორფოლოგიის განვითარებისთვისაც. ენისა და მეტყველების ათვისების საწყის ეტაპზე მყოფი ბავშვებისთვის დამახასიათებელია დასწავლილი, ზოგადი გრამატიკული წესების მიხედვით სიტყვათა უმრავლესობის ბრუნება და უღლება (Ambridge B. Pine J.M, Rowland C.F. , Chang F. and Bidgood A., 2012). მაგ: ქართული ენისთვის სპეციფიკურია ებ-იანი მრავლობითის დართვის დროს არსებითი სახელის კუმშვა. ბავშვებმა, მორფოლოგიური ზეგენერალიზაციის გავლენით შესაძლებელია ლიმონების ნაცვლად, ლიმნები თქვას, პეპლების ნაცვლად პეპლები და .ა.შ. აღნიშნული ზეგენერალიზაციის შეცდომა გამოვლინდა ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაშიც - 3-დან 6წლამდე ასაკის ბავშვების უმრავლესობა სიტყვას „მამალი“ მრავლობით რიცხვში შესაბამისი სუფიქსის გამოყენების წესის ზეგენერალიზაციის შეცდომის გამო, ასახელებდა „მამალების“ სახით და არა „მამლების“ სახით. ანალოგიური შედეგი მივიღეთ არაწესიერი ზმნების მრავლობითი რიცხვის წარმოების შემთხვევაში - შესაბამისი სუფიქსის გამოყენების წესის ზეგენერალიზაციის შეცდომის გამო, სკოლამდელი ასაკის ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა ზმნებს რიცხვს უცვლიდან შემდეგი სახით : დაჯდა-დაჯდნენ (მაშინ

როცა მართებული ფორმაა „დასხდნენ“); დევს-დევს (მაშინ როცა მართებული ფორმაა „აწყვია“); ზის-ზიან (მაშინ როცა მართებული ფორმაა „სხედან“);

ზმნების პირისა და დროის გაგება-გამოყენების უნარის შეფასების თანახმად, 3-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა 1 პირიანი ზმნების აწმყო დროში დასახელება, აწმყო დროში მიწოდებული ზმნების წარსულსა და მომავალ დროში გადაყვანა და პირისა და რიცხვის მონაცვლეობით ნაუღლები ზმნების გაგება და გამოყენება.

3-დან 4 წლამდე არსებითი სახელებისა და ზმნების პირის, რიცხვისა და დროის მონაცვლეობით გაგებისა და გამოყენების აღნიშნული სირთულეები შეიძლება ორგვარად აიხსნას. ერთი მხრივ, ეს შეიძლება ავხსნათ ამ ასაკის ბავშვების მიერ დღის განმავლობაში ტექნიკურ საშუალებებთან ხანრძლივი დროის გატარებით. 4 წლის ასაკი ითვლება გრამატიკული წესების, ბაზისური მორფო-სინტაქსური კატეგორიების ათვისების ყველაზე აქტიურ ასაკად, სწორედ ამ დროს არის ბავშვის თავის ტვინის მეტაბოლიზმი ყველაზე მეტად გაზრდილი. თავის მხრივ ნეირონული სიმჭიდროვისა და მეტაბოლიზმის ზრდა განაპირობებს ბავშვის გრამატიკის განვითარებას, მეორე მხრივ გრამატიკის განვითარება და გარემოდან მდიდარი სტიმულაცია აისახება თავის ტვინის ნეირონთა სიმჭიდროვისა და მეტაბოლიზმის ზრდაში (Johnson M.H. De Haan M., 2011).

ამასთან ერთად, რიგ კვლევათა მონაცემების მიხედვით, მოზრდილისაკენ მიმართული ყურადღება მშობლიური ენის გრამატიკის დასწავლას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე საბავშვო პროგრამებისაკენ მიმართული ყურადღება. პატარები და შედარებით მოზრდილი ბავშვები სწრაფად ითვისებენ, როდესაც ინფორმაციას მოზრდილი ადამიანებისგან იღებენ და არა სატელევიზიო პროგრამებისგან.

მკვლევართა ნაწილი ამტკიცებს ბავშვის მეტყველებაზე მოზრდილის უკუკავშირის აუცილებლობას. იქედან გამომდინარე, რომ პატარების პირველი სიტყვები და ფრაზები არის ფონოლოგიურად და მორფოლოგიურად გაუმართავი, მოზრდილებისგან მიწოდებული შესწორებული სამეტყველო მოდელები აუცილებელია ბავშვების გრამატიკული შეცდომების შესწორების მიზნით (Dockrell J. and Messer D., 1999).

ჩვენი კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა დღის უმეტესი ნაწილი დაკავებულია სხვა ენაზე, ძირითადად ინგლისურ ენაზე, სხვადასხვა შემეცნებითი ვიდეო გაკვეთილებით. როგორც უკვე აღვნიშნე, ქართული და ინგლისური ენების მორფოლოგიური სისტემა ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისგან; ვინაიდან ქართული მიეკუთვნება ერგატიულ ენებს, ხოლო ინგლისური - ნომინალურ ენათა ჯგუფს. ინგლისურ ენაში ზმნა არის ერთპირიანი მაშინ, როცა ქართულ ენაში ზმნას გააჩნია 3 პირი, ასევე განსხვავებულია ზმნის დროის წარმოება. ეს პროცესი მოითხოვს ზმნის წარმოების დროს მოქმედი პირის, რიცხვის, პირის ნიშნებისა და ზმნის ასპექტის გათვალისწინებას. აღნიშნული ენობრივი სპეციფიკა არ გვხვდება იმ ინგლისურენოვან შემეცნებით ვიდეო-გადაცემებში, რომლებსაც უყურებენ მოცემული კვლევის მონაწილე 3-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვები.

მეორე მხრივ, ვინაიდან არ მოგვეპოვება სკოლამდელ ასაკში ქართული ენის ათვისების, განვითარების თანამედროვე ნორმები, შეიძლება ვიფიქროთ, რომ 3 -დან 4 წლამდე ასაკის ბავშვებს საერთოდ არ მოეთხოვებათ ზმნის, არსებითი სახელის ბრუნვისა თუ უღლების კანონზომიერების ცოდნა. ამის მიუხედავად, ნათელა იმედაძის მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემთა თანახმად 1,9 წლიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვების მეტყველების 28 % ს შეადგენს აწმყო დროში წარმოებული ზმნები, ხოლო 24%ს შეადგენს წარსულ დროში წარმოებული ზმნები (იმედაძე, 2017). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ 3 -დან 4 წლამდე ასაკის ბავშვები ექსპრესიულ და რეცეპტულ ენასა და მეტყველებაში უკვე უნდა იყენებდნენ ბრუნვისა თუ უღლების კანონზომიერებს.

რაც შეეხება კვლევის შედეგების თეორიულ მოდელთან კავშირს, ნათელა იმედაძის მოდელი ქართული ენის ათვისების პრინციპების შესახებ, ხსნის სკოლამდელ ასაკში გამოვლენილ ე.წ. მარკირების ზეგენერალიზაციის შემთხვევებს. ეს იმას გულისხმობს, რომ განვითარების პროცესში ბავშვი დაისწავლის მთელ რიგ მაოპერირებელ სტრატეგიებს, რომლებიც ენის დაუფლებას ემსახურებიან. ამ სტრატეგიების განზოგადებით ბავშვი ცდილობს შექმნას ახალი გამონათქვამი. ქართულ ენოვანი ბავშვებისთვისაც ისევე დამახასიათებელია მორფოლოგიური და სემანტიკური ზეგენერალიზაცია, როგორც უცხო ენოვანი პატარებისთვის (იმედაძე, 2017).

ტექნიკასთან მიჯაჭვულობის გავლენით 3 -დან 4 წლამდე ასაკის ბავშვების მორფოლოგიის განვითარების შეფერხება, ასევე შეიძლება აიხსნას ქართული ენის ათვისების მეორე პრინციპით, რომელიც ცნობილია „პერცეპტული სიცხადის“ სახელით. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, მორფოლოგიის განვითარების საწყის ეტაპზე, ბავშვი ენობრივი გარემოდან ითვისებენ ყველაზე ადვილად აღსაქმელ გრამატიკულ ფორმებს. სწორედ ეს ამით შეიძლება აიხსნას გრამატიკული ფორმების გამოყენების ის თანმიმდევრობა და სპეციფიკა, რომელიც არ არის ქართული ენისთვის დამახასიათებელი.

ამასთან ერთად, 3 -დან 4 წლამდე ასაკის ბავშვების მორფოლოგიის განვითარებაზე გაჯეტებთან გატარებული განხრძლივი დროის უარყოფითი გავლენა, შეიძლება აიხსნას კოგნიტური ნეირომეცნიერების თვალსაზრისით. 4 წლის ასაკი ითვლება გრამატიკული წესების, ბაზისური მორფო-სინტაქსური კატეგორიების ათვისების ყველაზე აქტიურ ასაკად, სწორედ ამ დროს არის ბავშვის თავის ტვინის მეტაბოლიზმი ყველაზე მეტად გაზრდილი და მეტად მოწყვლადია გარემოს მხრიდან უხეში ცვლილების მიმართ. ამგვარ ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს მზრუნველთან ურთიერთობის დეპრივაცია და დღის უმეტესი ნაწილის ტექნიკასთან გატარება.

დასკვნა

- ✓ ასაკობრივი კატეგორიების ჯგუფთა შიგნით მონაცემთა ანალიზით გამოვლინდა, რომ ტექნიკასთან მიჯაჭვულობა არის მხოლოდ 3 -დან 4 წლამდე ასაკის ქართულენოვანი ბავშვების მორფო-სინტაქსის კანონზომიერებების გაგებისა და გამოყენების უარყოფითი პრედიქტორი;
- ✓ ასაკობრივი კატეგორიების ჯგუფთა შიგნით მონაცემთა ანალიზით გამოვლინდა, რომ 4- დან 5 წლამდე და 5 -დან 6 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში ისევე, როგორც მთლიანად 3 -დან 6 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში, არ გამოვლინდა არავითარი კავშირი დღის განმავლობაში უმეტესი დროის ტექნიკასთან თუ მზრუნველთან გატარებას შორის.
- ✓ ასაკობრივი კატეგორიების ჯგუფთა შიგნით მონაცემთა ანალიზით გამოვლინდა, 3 -დან 4 წლამდე ასაკის ქართულენოვანი ბავშვების მორფო-სინტაქსის კანონზომიერებების გაგებისა და გამოყენების უარყოფითი პრედიქტორი ტექნიკასთან მიჯაჭვულობა არის მხოლოდ ზმნებისა და არსებითი სახელების წარმოებისა და გაგების უნარის შემთხვევაში. ტექნიკასთან მიჯაჭვულობას, ისევე როგორც მზრუნველთან გატარებულ ხანგრძლივ დროს არ აქვს არავითარი კავშირი ამ ასაკის ბავშვების ვიზუალურ-სივრცითი მიმართებების გამომხატველი სიტყვებისა თუ ნაწილაკების გაგება-გამოყენების უნართან.
- ✓ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციის საფუძველზე შეიძლება აიხსნას დღის 3 -დან 4 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ დღის უმეტესი ნაწილის ტექნიკასთან ურთიერთობით. ბავშვების უმრავლესობა დაკავებულია სხვა ენაზე , ძირითადად ინგლისურ ენაზე, სხვადასხვა შემეცნებითი ვიდეო გაკვეთილებით. ვინაიდან ქართული და ინგლისური ენების მორფოლოგიური სისტემა ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისგან, სწორედ ეს ამით შეიძლება აიხსნას გრამატიკული ფორმების გამოყენების ის თანმიმდევრობა და სპეციფიკა, რომელიც არ არის ქართული ენისთვის დამახასიათებელი.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

მოცემული კვლევის საშუალებით მივიღეთ ინფორმაცია ქართულენოვან ბავშვებში, სკოლამდელ ასაკში ექსპრესიული და რეცეპტული ენისა და მეტყველების მორფოლოგიის განვითარების სპეციფიკასა და მისი პრედიქტორების შესახებ. ამასთან ერთად, კვლევა საშუალებას იძლევა მეტყველების განვითარების კოგნიტური და ფსიქოლინგვისტური მოდელების საშუალებით აიხსნას ქართული ენის ათვისებისა და გამოყენების სპეციფიკური კანონზომიერებები.

ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება

მოცემული კვლევა ემსახურებოდა სკოლამდელ ასაკში ექსპრესიული და რეცეპტული ენისა და მეტყველების ქართულენოვანი პოპულაციისთვის მორგებული ინსტრუმენტის შექმნას. ვინაიდან 1990იანი წლების შემდეგ არ გაკეთებულა ქართულენოვან პოპულაციაზე ენისა და მეტყველების ათვისების თავისებურებების ანალიზი, მოცემული კვლევა არის სწორედ სკოლამდელ ასაკში ქართული ენის ათვისების ნორმის კვლევის დასაწყისი.

ამასთან ერთად, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში დღითი დღე იზრდება სხვადასხვა გაჯეტების ჩართულობა. ბავშვების უფრო და უფრო მეტ დროს ატარებენ ტექნიკასთან და ინფორმაციის დიდ ნაწილს იღებენ სხვადასხვა ენოვანი შემეცნებითი ვიდეო-გადაცემების მეშვეობით. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია გავიგოთ როგორი ზეგავლენა აქვს ტექნიკის ამგვარ ჩართულობას სკოლამდელი ასაკის ბავშვების ენისა და მეტყველების განვითარებაზე. ენისა და მეტყველების შეფერხების შემთხვევაში, ეს საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ და ვაკონტროლოთ ისე ძლიერ მოქმედი ფაქტორები, როგორია ტექნიკასთან და მზრუნველთან გატარებული დროის დიდი ნაწილი.

კვლევის სუსტი მხარეები:

- ✓ *კვლევის მცირე შერჩევა:* ენისა და მეტყველების შესაფასებელი ინსტრუმენტის სტანდარტიზებისა და პოპულაციის ნორმის დადგენისთვის საჭიროა კვლევის გაცილებით უფრო მეტი მონაწილე, ვიდრე მოცემულ კვლევაში იყო. ამასთან ერთად, უფრო მეტი მონაწილეს შეფასების შემთხვევაში შესაძლოა, სტატისტიკურად სანდო პრედიქტორული კავშირი ტექნიკასთან გატარებულ დროსა და მორფო-სინტაქსის განვითარებას შორის გამოვლენილიყო, არა მხოლოდ 3 -დან 4 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში, არამედ სხვა ასაკობრივ ჯგუფებშიც.
- ✓ *მხოლოდ 3 - დან 6 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის განხილვა* – საინტერესო იქნებოდა 3 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის შერჩევაც და მეტყველების ათვისების საწყისი ეტაპის დაკვირვება. ეს საშუალებას მოგვცემდა გამოგვევლინა ასაკობრივი თავისებურებები, კანონზომიერებები. გვეჩვენებინა ენისა და მეტყველების რომელ კომპონენტებზე რა სახის გავლენა აქვს ტექნიკის ჩართულობის მაღალ ხარისხს.
- ✓ *კვლევის პროცედურა* – ბავშვების ინდივიდუალობის გათვალისწინებით, შეფასების თავისუფალი თამაშის ნაწილი ვერ ჩატარდა ზუსტად ერთნაირად. საჭირო იყო თითოეული ბავშვის შემთხვევაში განსხვავებული მიდგომა ბავშვის მეტყველებითი აქტივობის პროვოცირებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე თ. (2008) თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ: 1-797
2. იმედაძე ნ. (2017) ბავშვის მიერ ქართულის, როგორც მშობლიური ენის დაუფლების საიდუმლოებები.ფსიქოლინგვისტური პერსპექტივა, თბილისი, ელექტრონული გამოცემა, გვ: 1-61
3. იმედაძე ი. (2007) ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი, გამომცემლობა მწიგობარი, , გვ: 1-429;
4. ფეიქრიშვილი ჟ. (2010) ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ: 1-138;
5. ჩიქობავა ა. (2008) ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ: 1-183;
6. ჰულიტი ლ., ჰოვარდი მ., ფეჰი კ. – დაბადებულა, რომ ილაპარაკოს, თბილისი, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2012, 4- 364
7. Ambridge. B., Pine . J.M, Rowland, C.F, Chang C.F. & Bidgood. A. (2012) The retreat from overgeneralization in child language acquisition: word learning, morphology, and verb argument structure,
8. Anderson. V. & Northam E. & Hendy J. Developmental neuropsychology A clinical approach , University of Melbourne and Royal Children’s Hospital, Melbourne, Australia 2001;
9. Bavin L. , The Cambridge Handbook of Child Language, School of Psychological Science at La Trobe University, Australia. Cambridge University Press. 2009;
10. Bavelier. .D, C. Shawn Green. S. & Matthew W. G Children, wired – for better and for worse “, US National Library of Medicine National Institutes of Health. 2011;
11. Benson .J. B. & Marshall M.H. Language, Memory And Cognition In Infancy And Early Childhood, Department of Psychology, University of Denver, Denver, Colorado, USA. 2009;
12. Behrens . H. Grammatical categories, The Cambridge Handbook of Child Language, Cambridge University Press La Trobe University, Australia. 2009;

13. Bernshtein.K, & Tiegermna-Farber, Language and Communication Disorders in Children 6th edition, City University of New York Ellenmorris Tiegerman-Farber, Adelphi University, 2009;
14. Byeon. H. & Hong.S. Relationship between Television Viewing and Language Delay in Toddlers: Evidence from a Korea National Cross-Sectional Survey, US National Library of Medicine National Institutes of Health. 2015;
15. Chomsky. N. aspects of the Theory of syntax, The Massachusetts Institute of Technology, Massachusetts, U.S.A. 1965, chapter 1, 30-31
16. Crain . S & Thornton. R. Acquisition of Syntax and Semantics Handbook Of Psycholinguistics 2nd Edition Matthew J. Traxler, Department of Psychology, University of California at Davis, Davis, USA MORTON A. GERNSBACHER University of Wisconsin, Madison, USA. 2006;
17. Dockrell . J & Messer D. Children's Language And Communication Difficulties, Understanding, identification and Intervention, , British Library, 1999.
18. Fernald. A. & Marchman. V.A. Language Learning in Infancy Handbook Of Psycholinguistics 2nd Edition Matthew J. Traxler, Department of Psychology, University of California at Davis, Davis, USA Morton A. Gernsbacher University of Wisconsin, Madison, USA. 2006;
19. Growth. B. & Lust. C Child Language Acquisition Cornell University Published in the United States of America by Cambridge University Press, New York. 2006;
20. HARRY. A. W. Concise Encyclopedia Of Brain And Language Volume. Northern Michigan University Marquette, MI USA, Elsevier Ltd. 2010;
21. HOPKINS . B. Language development brian macwhinney, The Cambridge Encyclopedia of Child Development, Cambridge University Press. Cambridge. U.K. 2005;
22. Johnson. M. H. & De Haan. M. Developmental Cognitive Neuroscience An Introduction Third Edition, Willey-Blackwell, London, U.K. 2011;
23. Lauricella. A.R, Barr. R, & Calvert . S.L. Parent-child interactions during traditional and computer storybook reading for children's comprehension: Implications for electronic storybook design», International Journal of Child-Computer Interaction, Elsevier. 2014;

24. Lieven .E. & Planck. M. Language Development: Overview” Institute for Evolutionary Anthropology, Leipzig, Germany This article is reproduced from the Encyclopedia of Language and Linguistics, 2nd edition, Elsevier Ltd. 2006;
25. O’Grady W. language acquisition without Universal Grammar: a general nativist proposal for L2 learning, University of Hawai’i at Manoa. U.S.A. 1996;
26. Owens. E.R. Jr. Language development : an introduction 8th ed. Pearson, New-York. U.S.A. 2012;
27. Rhyner. P. L. Emergent Literacy And Language Development, Promoting Learning in Childhood, The Guilford Press, New York, U.S.A. 2009
28. Shanley.A. Verb argument structure, The Cambridge Handbook of Child Language, Cambridge University Press, Cambridge, U.K. 2009
29. Stoll. S. Abbot-Smith, K. & Lieven. E. Lexically Restricted Utterances in Russian, German, and English Child-Directed Speech Article in Cognitive Science A Multidisciplinary Journal · January 2009
30. Strouse , G.A, & Ganea. P.A. Parent–Toddler Behavior and Language Differ When Reading Electronic and Print Picture Books , US National Library of Medicine National Institutes of Health. 2017;
31. Tomasselo M. The usage-based theory of language acquisition, Edinburgh, Cambridge, UK. Cambridge University Press, 2009;
32. Traxler. J.M. Handbook Of Psycholinguistics 2nd Edition Department of Psychology, University of California at Davis, Davis, USA Morton A. Gernsbacher University of Wisconsin, Madison, USA, 2006;
33. VihmanRory. M. M. Portnoy. K. & DePaolis A. T. A dynamic systems approach to babbling and words, Edinburgh, Cambridge, UK. Cambridge University Press. 2009;

დანართი 1:

ბავშვთა ენისა და მეტყველების საკვლევი ინსტრუმენტი (1-6 წელი)

ზოგადი ინსტრუქცია: „გამარჯობა, მე ვარ (უთხარით ბავშვს თქვენი სახელი), შენ რა გქვია? რამდენი წლის ხარ? დღეს მე და შენ სხვადასხვა რაიმეს გავაკეთებთ, ვითამაშებთ, დავხატავთ, სურათებს დავათვალიერებთ, სიტყვებს გამოვიცნობთ. ზოგიერთი დავალება იქნება მარტივი, ზოგიერთი შედარებით რთული. თუ დაიღლები, მითხარი და შეგასვენებ. ნახე აქ როგორი სათამაშოები გვაქვს, გიყვარს თამაში? რომელი თამაშები მოგწონს? მოდი ამოვირჩიოთ და ვითამაშოთ.(აირჩიეთ მოცემული როლური თამაშებიდან ერთ-ერთი და მიაწოდეთ ბავშვს შესაბამისი მასალა.)“

ექსპრესიული ენა და მეტყველება

№	დავალება	აღწერა
1.	როლური თამაში	<p>მასალა:</p> <ol style="list-style-type: none"> კუბებით, მანქანებით და თოჯინებით თამაში: სათამაშოები: კუბები, მანქანები და 2 თოჯინა (1 გოგო და 1 ბიჭი); <i>(ეს თამაში შეგიძლიათ გამოიყენოთ 3 წლამდე ბავშვებთან. პატარებთან თავისუფალი თამაში შეგიძლიათ ამ თამაშით დაიწყოთ და შემდეგ გადახვიდეთ სხვა როლურ თამაშზე);</i> როლური თამაში „ექიმობანა“: სათამაშოები: ფონედოსკოპი, სახვევი, ნემსი, 2 თოჯინა (1 გოგო, 1 ბიჭი); როლური თამაში „მზარეულობანა“: სათამაშოები: ჭურჭელი: ქვაბი, ტაფა, დანა-ჩანგალი, ჭიქები, თევზები, გაზქურა, ბოსტნეული, ხილი; <p>თამაშების აღწერილობა:</p> <ol style="list-style-type: none"> როლური თამაში: ექიმობანა: მიიქციეთ ბავშვის ყურადღება, წინ დაულაგეთ შესაბამისი სათამაშოები და უთხარით: „გიყვარს ექიმობანას თამაში? თამაშობ ხოლმე? ნახე აქ რა გვაქვს? ვინ იქნება პაციენტი? ვინ იქნება ექიმი?“ როლური თამაში: მზარეულობანა: მიიქციეთ ბავშვის ყურადღება, წინ დაულაგეთ შესაბამისი სათამაშოები და

		<p>უთხარით: „გიყვარს მზარეულობანას თამაში? თამაშობ ხოლმე? ნახე აქ რა გვაქვს? ვინ იქნება მზარეული? რა მოვამზადოთ? რისი ჭამა გიყვარს? აკეთებ საჭმელებს? (თუ ბავშვი არ იჩენს ინიციატივას, თავად შესთავაზეთ პროდუქტი) მოდი ჩაი მოვამზადოთ? დავპატიჟოთ ვინმე?“</p> <p>3. კუბებით, მანქანებით და თოჯინებით თამაში: მიიქციეთ ბავშვის ყურადღება, წინ დაულაგეთ შესაბამისი სათამაშოები და უთხარით: „გიყვარს თამაში? რას თამაშობ ხოლმე? ნახე აქ რა გვაქვს? მოდი ავაშენოთ კოშკი, მოდი ეს თოჯინა ჩავსვათ მანქანაში, რა სახელი დავარქვათ ამ თოჯინას? მოდი ამ თოჯინას საჭმელი მოვუმზადოთ, ნახე მგონი ფეხი ტკივა, მოდი ექიმთან წავიყვანოთ.“ (შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა როლური თამაშების მასალა.)</p> <p>ხანგრძლივობა: შეფასების დაწყებამდე 10 წუთი და შეფასების დასრულების შემდეგ 10 წუთი;</p> <p>ვინიშნავთ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მაქსიმუმ რამდენსიტყვიან წინადადებებს იყენებს; 2. ლექსიკური მარაგის მრავალფეროვნებას(სიტყვების რაოდენობას); 3. სიტყვების კითხვითი ინტონაციით გამოყენებას; 4. გამონათქვამის საშუალო სიგრძეს; 5. მორფემების რაოდენობას.
2.	ცხოველების ხმის მიზამვა	<p>მასალა: სურათები</p> <p>ბავშვს ხელით მიუთითებთ სურათზე და ეუბნებით: „ნახე ძროხა, ძროხა ამბობს ასე: “მუუუ“.</p> <p>შემდეგ მიუთითებთ სურათზე და ეკითხებით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. “როგორ ამბობს კატა?” 2. “როგორ ამბობს ძაღლი?” <p>თუ საჭიროა ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 2 ქულა.</i></p>
3.	ხუთი ბგერის გამეორება	<p>დაამყარეთ ბავშვთან მზერითი კონტაქტი და უთხარით: „მ“, შემდეგ სთხოვეთ გაიმეოროს. იგივე გააკეთეთ შემდეგ ბგერებზე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დ; 2. ტ; 3. ბ; 4. ლ; 5. ე.

		<p>თუ საჭიროა ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 5 ქულა.</i></p>
4.	მარცვლების გამეორება თანხმოვანი-ხმოვანი	<p>დაამყარეთ ბავშვთან მზერიითი კონტაქტი და უთხარი: „მა“, შემდეგ სთხოვეთ გაიმეოროს. იგივე გააკეთეთ შემდეგ მარცვლებზე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. და; 2. ტა; 3. ბა; 4. ლა. <p>თუ საჭიროა ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 4 ქულა.</i></p> <p><i>1 ქულა დაუწერეთ იმ შემთხვევაშიც, თუ ბავშვი 2-3 ჯერ იმეორებს მარცვალს (მაგ: ბა-ბა).</i></p>
5.	მარცვლების გამეორება თანხმოვანი-ხმოვანი- თანხმოვანი	<p>დაამყარეთ ბავშვთან მზერიითი კონტაქტი და უთხარი: „მამ“, შემდეგ სთხოვეთ გაიმეოროს. იგივე გააკეთეთ შემდეგ მარცვლებზე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დებ; 2. ტაპ; 3. ბახ; 4. ლემ. <p>თუ საჭიროა ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 4 ქულა.</i></p>
6.	საგნების დასახელება	<p>მასალა: სურათები;</p> <p>აჩვენებთ ტორტის გამოსახულებას და ეუბნებით: „ნახე ეს არის ტორტი“ ,შემდეგ აჩვენებთ მომდევნო გამოსახულებას და ეკითხებით: რა არის ეს?</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სკამი; 2. გოგო; 3. კოვზი; 4. ბურთი; 5. ძაღლი; 6. ჭიქა; 7. დანა; 8. მანქანა; 9. ვაშლი; 10. ბანანი; 11. კატა;

		<p>12. ხელი; 13. საათი; 14. ქუდი; 15. პეპელა; 16. თვალი.</p> <p>თუ საჭიროა ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ.</p> <p>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 16 ქულა.</p> <p><i>1 ქულა მიანიჭეთ იმ შემთხვევაშიც თუ ბავშვი ერთი ბგერის ნაცვლად ამბობს მეორე ბგერას (მაგ: ბაბანი, ბაშლი), ან ტოვებს ბგერას (მაგ: ძალი). აშკარა უნდა იყოს, რომ ბავშვმა იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა.</i></p> <p><i>ჩაუთვალეთ იმ შემთხვევაშიც, თუ იძახის ფისოს კატის მაგივრად, აუას ძაღლის მაგივრად და ა.შ.</i></p>
7.	<p>ორმარცვლიანი სიტყვების გამეორება თანხმოდანთა კომპლექსის გარეშე</p>	<p>დაამყარეთ ბავშვთან მზერიტი კონტაქტი და სთხოვეთ გაიმეოროს შემდეგი სიტყვები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დედა; 2. მამა; 3. გოგო; 4. ბებო; 5. გული; 6. თავი. <p>თუ საჭიროა ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ.</p> <p>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 6 ქულა.</p>
8.	<p>სხეულის ერთი ნაწილის დასახელება</p>	<p>ბავშვს მიუთითებთ საკუთარი სხეულის ნაწილზე და ეუბნებით „ეს არის შუბლი“. შემდეგ მიუთითებთ ჯერ საკუთარ, შემდეგ მისი სხეულის ნაწილზე და ეკითხებით „რა არის ეს“?</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ცხვირი; 2. ყური; 3. თვალი; 4. პირი. <p>თუ საჭიროა ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ.</p> <p>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 4 ქულა.</p> <p><i>1 ქულას უწერთ იმ შემთხვევაშიც, თუ ბავშვი ქლერადობით ცვლის სიტყვას (მაგ: ტური, პილი)</i></p>

9.	მრავლობითი რიცხვის გამოყენება	<p>მასალა: სურათები</p> <p>დაუდეთ ბავშვს წინ სურათი, თითოთ უჩვენეთ და უთხარით: „შეხედე ეს ძაღლია, ესენი კი ძაღლები; შემდეგ უთხარით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეს კატაა, ესენი კი..... (კატები); 2. ეს საათია, ესენი კი..... (საათები); 3. ეს ხელია. ესენი კი (ხელები); 4. ეს ბიჭია. ესენი კი (ბიჭები). <p>თუ საჭიროა ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ. თუ იძახის ბევრი და შემდეგ ებ-იან ფორმას მაგ: ბევრი ბიჭები - ჩაუთვალეთ.</p> <p>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 4 ქულა.</p> <p>1 ქულა მიანიჭეთ თუ ბავშვი ამბობს „ბევრი“ და შემდეგ სიტყვის ებ-იან ფორმას მაგალითად: „ბევრი ბიჭები.“</p>
10.	პირის ნაცვალსახელების გამოყენება: „მე“; „შენ“	<p>აჩვენეთ ბავშვს მაგალითი: ასწიეთ ხელი და უთხარით: „ვინ ასწია ხელი?“ „მე ავწიე“. სთხოვეთ ბავშვს ასწიოს ხელი და ჰკითხეთ: „ვინ ასწია ხელი?“ უპასუხეთ; „შენ ასწიე.“</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სთხოვეთ ბავშვს დაუკრას ტაში, შემდეგ ჰკითხეთ: „ვინ დაუკრა ტაში?“ 2. შემდეგ თქვენ დაუკარით ტაში და ჰკითხეთ: „ვინ დაუკრა ტაში?“. 3. შემდეგ თხოვეთ ბავშვს დააკაკუნოს მაგიდაზე და ჰკითხეთ: „ვინ დაუკრა ტაში?“ 4. იგივე გააკეთეთ თქვენ და ჰკითხეთ: „ვინ დააკაკუნა?“ <p>თუ საჭიროა ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ.</p> <p>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 4 ქულა.</p>
11.	კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენება: „ჩემი“; „შენი“	<p>უთხარით ბავშვს : „ეს ბურთი ჩემია“ , „ეს (მიუთითეთ ტანსაცმელზე) შარვალი/კაბა შენია“. შემდეგ ჰკითხეთ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ვისია ეს შარვალი/კაბა? 2. ვისია ეს ბურთი? <p>თუ საჭიროა ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ.</p> <p>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 2 ქულა</p>
12.	უარყოფითი სიტყვის გამოყენება: „არა“	<p>მასალა : სურათები</p> <p>აჩვენეთ სურათები , სადაც არის გამოსახული საგნები : ჭიქა და ბურთი.</p> <p>აჩვენეთ ბავშვს მაგალითი : მიუთითეთ ჭიქაზე და თქვით : „ ეს ბურთია? არა, ეს ბურთი არ არის“ . შემდეგ , მიუთითეთ ბურთზე და თქვით : „ეს ბურთია? კი, ეს ბურთია.“</p>

		<ol style="list-style-type: none"> 1. შემდეგ უკვე მიმართეთ ბავშვს, მიუთითეთ ჭიქაზე და ჰკითხეთ : „ეს ბურთია?“ , მიუთითეთ ბურთზე და ჰკითხეთ : „ეს ჭიქაა?“ 2. აჩვენეთ სურათები, სადაც არის გამოსახული მოქმედებები. აჩვენეთ სურათი , სადაც გოგო ჭამს და ჰკითხეთ : „გოგო თამაშობს?“ 3. აჩვენეთ სურათი, სადაც ბიჭი ადის კიბეზე და ჰკითხეთ-: „ბიჭი ზის?“ <p>თუ საჭიროა , ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ.</p> <p>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 3 ქულა</p>
13.	უარყოფითი წინადადების გამოყენება	<p>წინასწარ ჰკითხეთ მშობელს რისი კეთება არ უყვარს ბავშვს ყველაზე მეტად, ან რომელი საკვები არ უყვარს ყველაზე მეტად.</p> <p>უთხარით: „მე არ მიყვარს ვაშლი, მე ახლა არ მინდა ვაშლი“.</p> <p>შემდეგ დაუსვით მშობლისაგან მიღებული ინფორმაციის შესაბამისი კითხვა.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გინდა სუპი? 2. გინდა დაიძინო? <p>თუ საჭიროა , ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ.</p> <p>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 2 ქულა .</p> <p>ქულა მიანიჭეთ მხოლოდ მაშინ, თუ იყენებს უარყოფით წინადადებას და არა მხოლოდ უარყოფით სიტყვას.</p>
14.	კითხვებზე პასუხის გაცემა	<p>დაამყარეთ ბავშვთან მზერითი კონტაქტი და უთხარით: „რას ვაკეთებთ როცა გვცვივა? ვიცვამთ თბილ ტანსაცმელს.“</p> <p>შემდეგ ჰკითხეთ ბავშვს :</p> <ol style="list-style-type: none"> 1. „ რას აკეთებ , როცა გშია?“ 2. „ რას აკეთებ , როცა გწყურია?“ 3. „ რას აკეთებ, როცა გეძინება?“ <p>თუ საჭიროა , ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ.</p> <p>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 3 ქულა.</p>
15.	ორი მოქმედების დასახელება	<p>მასალა : სურათები</p> <p>მიუთითებთ ბავშვს სურათზე. „რას აკეთებს გოგონა?“ უპასუხეთ თქვენთვის კითხვას. „გოგონა ჭამს“. შემდეგ. მიუთითეთ ბავშვს სურათზე და ჰკითხეთ : „ რას აკეთებს ბიჭი ?“</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ბიჭი კიბეზე ადის; 2. ბიჭი მირბის.

		<p>თუ საჭიროა , ინსტრუქცია კიდეც ერთხელ გაუმეორეთ.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 2 ქულა.</i></p>
16.	სინონიმების დასახელება	<p>მიიქციეთ ბავშვის ყურადღება და უთხარით: „ლექსი მარტივია, კიდეც როგორ იტყვი? ლექსი როგორია? ლექსი ადვილია.“</p> <ol style="list-style-type: none"> 1. „ გოგონა მშვენიერია. კიდეც როგორ იტყვი? გოგონა..როგორია? (მშვენიერი-ლამაზი); 2. „ღამით ცაზე უამრავი ვარსკვლავი ჩანს. კიდეც როგორ იტყვი? ღამით ცაზე.... რამდენი ვარსკვლავი ჩანს“ (უამრავი-ბევრი); 3. „სახლი უზარმაზარია, კიდეც როგორ იტყვი? სახლი როგორია?“ (უზარმაზარი-ძალიან დიდი) <p>მიანიჭეთ 1 ქულა, თითოეულ სწორად დასახელებულ ზედსართავს.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 4 ქულა.</i></p>
17.	ნაწარმოები სიტყვების დასახელება	<p>მასალა: სურათები</p> <p>აჩვენებთ ბავშვს საფერფლის გამოსახულება და ეკითხებით: „ეს რა არის? საფერფლე; ახლა შენ მითხარი, ეს რა არის?“</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სახელური; 2. საფეხური; 3. საფულე. <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 3 ქულა.</i></p>
18.	ზმნის მრავლობითი რიცხვის წარმოება	<p>მასალა: სურათები</p> <p>აჩვენებთ ბავშვს სურათს და ეუბნებით: “ეს ბავშვი რას აკეთებს? დადის, და ეს ბავშვები რას აკეთებენ? დადიან. ახლა შენ მითხარი:“</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ჭამს-ჭამენ; 2. თამაშობს-თამაშობენ; 3. ზის-სხედან; 4. დევს-აწყვია; 5. დაჯდა-დასხდნენ. <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 6 ქულა.</i></p>
19.	ზმნის დროების წარმოება	<p>მასალა: სურათები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. აჩვენებთ ბავშვს სურათს და ეკითხებით: ეს ბავშვი რას აკეთებს? (წერს). ხვალ რას გააკეთებს? (დაწერს) გუშინ რა გააკეთა? (დაწერა); 2. აჩვენებთ ბავშვს სურათს და ეკითხებით: ეს ბავშვი რას აკეთებს? (მიდის), ხვალ რას გააკეთებს (წავა), გუშინ რა გააკეთა (წავიდა). <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე.</i></p>

		<i>ჯამში 6 ქულა.</i>
20.	წარსული დროის წარმოება (-სრული და უსრული ასპექტი)	<p>მასალა: სურათები.</p> <p>მაგალითისათვის უთხარით ბავშვს. შეხედე ამ სურათს: ბიჭი კიბეზე ადის. გუშინ რას აკეთებდა ბიჭი? ბიჭი კიბეზე ადიოდა. ახლა შეხედე ამ სურათს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გოგონა ჭამს. გუშინ რას აკეთებდა გოგონა? (გოგონა ჭამდა); 2. ბიჭი თამაშობს. გუშინ რას აკეთებდა ბიჭი? (ბიჭი თამაშობდა). <p>თუ საჭიროა, ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ თითოეულ დავალებაზე.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე.</i> <i>ჯამში 2 ქულა.</i></p>
21.	საგნების გამოყენების აღწერა	<p>მიიქციეთ ბავშვის ყურადღება და ჰკითხეთ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მითხარი, რისთვის ვიყენებთ კოვზს? რისთვის გჭირდება? რად გინდა? (ჭამისთვის, ვჭამთ); 2. რისთვის გჭირდება პირსახოცი? რად გინდა პირსახოცი? (ვიწმენდთ, ხელებს ვიმშრალებთ, პირს ვიწმენდთ); 3. რისთვის გჭირდება ბალიში? რად გინდა ბალიში? (ძილის დროს, საწოლში თავის დასადებად). <p>თუ საჭიროა, ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ თითოეულ დავალებაზე.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე.</i> <i>ჯამში 3 ქულა.</i></p>
22.	სიტყვის მნიშვნელობის გაგება	<p>მიიქციეთ ბავშვის ყურადღება და უთხარით: მოდი ახლა ვითამაშოთ გამოცნობანა. მე შენ აგიღწერ საგანს და შენ მითხარი რა არის.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეს არის ჭურჭელი, ის არის პატარა, რკინის და ვიყენებთ ჭამისთვის. მაგალითად ამით ვჭამთ სუპს. რა არის ეს? (კოვზი); 2. ეს არის ნაჭერი, მას ვიყენებთ სველი სახის და ხელების გამშრალებისთვის. რა არის ეს? (პირსახოცი); 3. ეს არის პატარა ფუმფულა საგანი, ის საწოლშია და ძილის დროს თავს ვდებთ. რა არის ეს? (ბალიში). <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე.</i> <i>ჯამში 3 ქულა.</i></p>
23.	მიმართულების ზმნისწინების გამოყენება	<p>მასალა: სურათები.</p> <p>აჩვენებთ ბავშვს სურათს და მაგალითისათვის ეუბნებით: „ნახე ეს გოგო მალაზიაში შედის? ეს გოგო რას აკეთებს? დაელოდეთ</p>

		<p>პასუხს, თუ ვერ გეუბნებათ, თქვენ უთხარით „ ეს გოგო მაღაზიიდან გამოდის.“ შემდეგ აჩვენებთ სურათს და ეკითხებით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეს კიბეზე ადის. ეს...? (კიბეზე ჩამოდის); 2. ეს ჩიტი მიფრინავს, ეს ჩიტი? (მოფრინავს); 3. ეს კაცი სახლიდან გამოდის, ეს კაცი? (სახლში შედის). <p>თუ საჭიროა, ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ თითოეულ დავალებაზე.</p> <p>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 3 ქულა.</p>
24.	თანხმოდანთკომპლექსების შემცველი სიტყვების გამეორება	<p>ბავშვს ეუბნებით: “მომისმინე ყურადღებით და რასაც ვიტყვი, გაიმეორე”:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ვაშლი; 2. ბარტყი; 3. ზღარბი; 4. მსხალი; 5. სტვირი; 6. კვერცხი; 7. კარტოფილი; 8. მერცხალი; 9. ნაკვერჩხალი; 10. ბადმინტონი; 11. თვითმფრინავი; 12. ჯარგვალი. <p>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 12 ქულა. შეფასებისას უზუსტობების თავიდან ასაცილებლად ჩაიწერეთ დიქტოფონზე ბავშვის გამონათქვამი.</p>
25.	სურათის აღწერა	<p>მასალა: სურათი</p> <p>ბავშვს წინ უდებთ ერთ სიუჟეტთან სურათს და ეუბნებით: “ამ სურათებზე პატარა ამბავია გადმოცემული. დაათვალიერე და მომიყევი რა მოხდა?”</p> <p>თუ ვერ ყველა, დაუსვით კითხვები: ვინ? რა? სად? რას შვრება?. ჩაწერეთ დიქტოფონზე ბავშვის თხრობა.</p> <p>მიანიჭეთ 2 ქულა თუ სრულად და გასაგებად გადმოსმეცს შინაარსს. მიანიჭეთ 1 ქულა თუ თხრობისთვის სჭირდება კითხვების დასმა.</p>
26.	სივრცითი მიმართებების აღმნიშვნელების გამოყენება	<p>მასალა: პატარა თოჯინა, ყუთი.</p> <p>დადეთ თოჯინა და ყუთი ბავშვის წინ ქვემოთ აღწერილი პოზიციების მიხედვით და უთხარით ბავშვს: “მითხარი, სად არის თოჯინა?”</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ყუთზე; 2. ყუთს უკან;

		<p>3. ყუთის წინ; 4. ყუთის ქვეშ.</p> <p>თუ საჭიროა, ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ თითოეულ დავალებაზე.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 4 ქულა.</i></p>
27.	ანტონიმების დასახელება	<p>დაამყარეთ ბავშვთან მზერიტი კონტაქტი და უთხარით: “მე გეტყვი სიტყვებს, შენ უნდა მითხრა მისი საპირისპირო სიტყვები. მაგალითად: მე გეტყვი, მზე ანათებს – დღე, მთვარე ანათებს - ღამე”.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ცეცხლი ცხელია - ყინული როგორია? (ცივია); 2. ცხენი დიდია, თაგვი როგორია? (პატარაა); 3. ძმა ბიჭია - და ვინ არის? (გოგოა); 4. ქვა მაგარია – ზამბა როგორია? (რბილია); 5. წიწაკა მწარეა - შაქარი როგორია? (ტკბილი). <p>თუ საჭიროა, ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ თითოეულ დავალებაზე.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 5 ქულა.</i></p>
28.	სიუჟეტური სურათების სერიის შინაარსის თხრობა	<p>მასალა: სურათები.</p> <p>ბავშვს წინ უდებთ კომიქსის ტიპის სიუჟეტური სურათების სერიას და ეუბნებით: “ეს სურათები მულტფილმს ჰგავს, პატარა ამბავია გადმოცემული თანმიმდევრობით. ნახე აქედან იწყება (უჩვენებთ თითოთ) პირველ სურათზე და აქ მთავრდება (მიუთითებთ ბოლოზე). კარგად დაათვალიერე სურათები (თითოთ მიუთითეთ) და მომიყევი რა მოხდა?”</p> <p>თუ ვერ ყვება, დაუსვით კითხვები: ვინ? რა? სად? რას შვრება? როგორ? რატომ მოხდა?</p> <p><i>მიანიჭეთ 2 ქულა თუ სრულად და გასაგებად გადმოსმებს შინაარსს.</i> <i>მიანიჭეთ 1 ქულა თუ თხრობისთვის სჭირდება კითხვების დასმა. შეფასებისას უზუსტობების თავიდან ასაცილებლად ჩაიწერეთ დიქტოფონზე ბავშვის გამონათქვამი.</i></p>
29.	მქონებლობის სახელების წარმოება	<p>მიიქციეთ ბავშვის ყურადღება და უთხარით: თუ პერანგს ზოლები აქვს. როგორია ეს პერანგი? ზოლიანი პერანგია“. ახლა მე გეტყვი წინადადებას და შენ მიპასუხე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დედამ უთხრა ანის: “შენ ვერ შეჭამ საჭმელს, რადგან ხელებზე ჭუჭყი გაქვს”. როგორი ხელები აქვს ანის? (ჭუჭყიანი); 2. გოგონამ თქვა: “ამ დანას წვეტი აქვს”. როგორია დანა? (წვეტიანი);

		<p>3. ლიზიმ თქვა: “ამ ვარდს ეკლები აქვს”. როგორია ვარდი? (ეკლებიანი).</p> <p>თუ საჭიროა, ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ თითოეულ დავალებაზე.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 3 ქულა.</i></p>
30.	უფროობითი და აღმატებითი ხარისხის წარმოება	<p>მასალა: სურათები.</p> <p>ბავშვს უჩვენეთ სურათები და მაგალითისათვის უთხარით: “შეხედე, ეს სახლი დიდია, ეს უფრო დიდი”. შემდეგ უთხარით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეს კაცი ძლიერია, ეს? (უფრო ძლიერი, ძალიან ძლიერი); 2. ეს მთა მაღალია, ეს? (უფრო მაღალი, ძალიან მაღალი); 3. ეს ფანქარი გრძელია, ეს? (უფრო გრძელი, ძალიან გრძელი). <p>თუ საჭიროა, ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ თითოეულ დავალებაზე.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 6 ქულა.</i></p>
31.	კატეგორიის წევრების ჩამოთვლა	<p>მიიქციეთ ბავშვის ყურადღება და უთხარით: დამისახელე, რა ცხოველები იცი?”</p> <p><i>დაინიშნეთ დრო 1 წუთი.</i></p> <p>თუ საჭიროა, ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ თითოეულ დავალებაზე.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა კატეგორიაში ყოველ სწორად დასახელებულ სახელს.</i></p>
32.	ორ ნაწილიანი წინადადების გამეორება	<p>მიიქციეთ ბავშვის ყურადღება და უთხარით: “ახლა მე გეტყვი წინადადებას და შენ უნდა გაიმეორო ზუსტად ისე, როგორც გეტყვი, მომისმინე“:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დედამ ბავშვებს სათამაშო აჩუქა; 2. სახლის უკან მოედანზე ბიჭები ბურთს თამაშობენ; 3. როდესაც წვიმა გადაიღებს, მამა პარკში სასეირნოდ წაგვიყვანს; 4. დედა შვილს დაპირდა, რომ შოკოლადს სადილობის შემდეგ მისცემდა. <p>თითოეული წინადადება წაუკითხეთ მხოლოდ ერთხელ.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 4 ქულა.</i></p>
33.	ერთნაწილიანი შეტყობინების გადაცემა	<p>მიიქციეთ ბავშვის ყურადღება და უთხარით : „ახლა გეტყვი რაღაცას და შენ უთხარი-მზად ხარ? აბა მომისმინე“:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. უთხარი -----ს დაჯდეს სკამზე; 2. უთხარი -----ს ტაში დაუკრას.

		<i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 2 ქულა.</i>
34.	ორნაწილიანი შეტყობინების გადაცემა	<p>მიიქციეთ ბავშვის ყურადღება და უთხარით: „ახლა გეტყვი რაღაცას და შენ უთხარი-მზად ხარ? აბა მომისმინე“:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. აჩვენეთ ბავშვს წიგნი და უთხარით: „უთხარი -----ს მოვიდეს ჩემთან და ეს წიგნი აიღოს“; 2. აჩვენეთ ბავშვს წიგნი და უთხარით: „უთხარი -----ს გადაშალოს წიგნი და დადოს მაგიდაზე.“ <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 2 ქულა.</i></p>
35.	სამნაწილიანი შეტყობინების გადაცემა	<p>მიიქციეთ ბავშვის ყურადღება და უთხარით: „ახლა გეტყვი რაღაცას და შენ უთხარი მზად ხარ? აბა მომისმინე“:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მიეცით ბავშვს წიგნი და უთხარით: „უთხარი -----ს აიღოს ეს წიგნი, მომცეს ჭიქა და თოჯინა დადოს მაგიდაზე“; 2. მიეცით ბავშვს კუბი და უთხარით: „უთხარი -----ს აიღოს ეს კუბი, მომცეს მანქანა და თეფში დადოს მაგიდაზე.“ <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე. ჯამში 2 ქულა.</i></p>
36.	მარტივი შეკითხვის დასმა	<p>მასალა: მარტივი სიუჟეტური სურათი</p> <p>მიუთითეთ ბავშვს სურათზე გამოსახულ ერთ ობიექტზე და ჰკითხეთ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეს რა არის? (აჩვენებთ თეფშს მაგიდაზე) დაელოდეთ პასუხს, დიახ, ეს თეფშია. ახლა შენ მკითხე ამ სურათზე და მე გიპასუხებ. თუ საჭიროა გაუმეორეთ მითითება; 2. “სად არის ჭიქა? დაელოდეთ პასუხს, დიახ ჭიქა მაგიდაზეა. ახლა შენ მკითხე ამ სურათზე და მე გიპასუხებ“. <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიპასუხებთ დავალებაზე (თუ დასვამს შეკითხვებს). ჯამში 2 ქულა.</i></p>

რეცეპტული ენა

№	დავალება	აღწერა
---	----------	--------

<p>1.</p>	<p>ერთსაფეხურიანი მოქმედებების შესრულება</p>	<p>მასალა: ჭიქა, ყუთი, წიგნი, სათამაშო.</p> <p>აჩვენეთ ბავშვს მაგალითი, აიღეთ სათამაშო და უთხარით : „ნახე, რა გავაკეთე?“ „ ავიღე სათამაშო“ .</p> <p>შემდეგ, დაუდეთ ბავშვს წინ ეს ნივთები (ყველა ნივთი ერთად მიეწოდება) და უთხარით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. აიღე ბურთი; 2. გადაშალე წიგნი; 3. დაუკარი ტაში; 4. მომეცი ჭიქა; 5. დაახურე ყუთს თავსახური. <p>თუ საჭიროა , ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად შეასრულებს მოქმედებას. ჯამში 5 ქულა.</i></p>
<p>2.</p>	<p>მოსმენილი სიტყვის გაგება</p>	<p>მასალა: ბურთი, წიგნი, სკამი (საგნები წინასწარ დადეთ ოთახში სხვადასხვა ადგილზე ისე, რომ ბავშვი ხედავდეს).</p> <p>ბავშვს სთხოვთ, გაჩვენოთ დასახელებული 3 საგანი.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მაჩვენე სად არის ბურთი? 2. მაჩვენე სად არის წიგნი? 3. მაჩვენე სად არის სკამი? <p>თუ საჭიროა, ინსტრუქცია კიდევ ერთხელ გაუმეორეთ.</p> <p><i>მიანიჭეთ 1 ქულა, თუ სწორად გიჩვენებთ ან იყურება შესაბამისი ობიექტის მიმართულებით. ჯამში 3 ქულა.</i></p>
<p>3.</p>	<p>კითხვის შესაბამისი გამოსახულების ჩვენება</p>	<p>მასალა: სურათები</p> <p>ბავშვის წინ დებთ 4 ბარათს (მათ შორის ტორტის ბარათს), ტორტის ბარათზე ადებთ საჩვენებელ თითს და ეუბნებით (აი ტორტი), შემდეგ ეკითხებით: სად არის:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სკამი; 2. გოგო; 3. კოვზი; 4. ბურთი; 5. ძაღლი; 6. ჭიქა; 7. დანა; 8. მანქანა; 9. ვაშლი; 10. ბანანი; 11. კატა; 12. ხელი;

